ლელო

№268
(12 338)

16 ნოემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირაძე ვერ ითამაშებს. შესაძლოა, მენთეშაშვილიც დაგვაკლდეს

გუშინ, დოჰაში. საქართველოს ნაკრების ვარჯიში ალ გარაფას სტადიონზე. ქვემოთ - კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე

დღეს. ყატარი-საქართველო

დავით ცაბაძე
დოჰადან

თბილისიდან ყატარის დედაქალაქ დოჰამდე ფრენას სამი საათი დასჭირდა. ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები აეროპორტში დახვდნენ ქართულ დელეგაციას და სასტუმრო „რამადა პლაზაში“ დააბინავეს ჩვენი გუნდი.

დოჰაში ცხელა, ტემპერატურა 31 გრადუსს აღწევს. ყატარი საოცრად მდიდარი ქვეყანაა და ეს ყველგან იგრძნობა. ლიტრი ბენზინი 20 ცენტია. ადგილობრივი მცხოვრები, თუკი მისი ორივე მშობელი ყატარის მოქალაქეა, 30 წლიდან პენსიას იღებს - 2 500 აშშ დოლარს. დოჰას მშენებლობა 1980 წელს დაუწყიათ, მანამდე კი ამ ქალაქის ადგილზე უდაბნო ყოფილა.

„რამადა პლაზაში“ დაბინავებული ნაკრები საღამოს 18:15 სტადიონზე გაემგზავრა სავარჯიშოდ. წვრთნა, რომელმაც საათი და 15 წუთი გასტანა

ადგილობრივ კლუბ „ალ გარაფას“ სტადიონზე ჩატარდა. დღეს ყატარისა და საქართველოს ნაკრებები სწორედ ამ არენაზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ქართველთა ვარჯიშამდე „ალ გარაფაზე“ ყატარის ნაკრებმა ივარჯიშა. მასპინძლები ვარჯიშს მორჩნენ და ყატარის ნაკრების ურუგვაელი თავკაცი ხორხე ფოსატს გავესაუბრე.

- მართალი გითხრათ საქართველოს ნაკრებზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ის კი გამიგია, რომ კარგი ფეხბურთელები გყავთ - კალაძე, არველაძე, კობიაშვილი... კიდევ ერთი ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშობს და ერთიც კარგ რუსულ კლუბში. გავიგე ისიც, შოტლანდიას რომ მოუგეთ, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი ათამაშეთ. ამასთან ნაკრებს საკმაოდ ცნობილი კლაუს ტოპმიოლერი წვრთნის.

2

ფაჩულია სასტარტო ხუთეულს დაუბრუნდა

13

გახსენი...
ყაზბეგი
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს. ყატარი-საქართველო

სირაძე ვერ ითამაშებს. შესაძლოა, მენთეშაშვილიც დაგვაკლდეს

ლაშა სალუქვაძე, გიორგი შაშიაშვილი და მალხაზ ასათიანი გუშინდელ ვარჯიშზე

პირველი გვერდიდან

- თქვენს ნაკრებზე რას იტყოდით?

- ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ. კარგია, რომ ამ პერიოდში წარმატებებიც გვაქვს.

- სრული შემადგენლობა შეკრიბეთ, თუ ტრავმების გამო პრობლემები გაქვთ?

- მხოლოდ ორი ფეხბურთელი გვაკლია.

- ურუგვაელი ბრძანდებით და ალბათ თამაშის სამხრეთამერიკულ სტილს ანიჭებთ უპირატესობას. თქვენი გუნდიც ამ სტილში თამაშობს?

- დიახ, ყველანაირად ვცილობ ჩემმა გუნდმა შემტევი, ტექნიკური და ლაღი თამაში აჩვენოს. ეს ხან გამოგვდის და ხან - არა.

- თქვენი გუნდიდან რომელ სათამაშო რგოლს გამოარჩევდით?

- სათამაშო რგოლების მიხედვით ფეხბურთელების გამორჩევა არ მჩვევია. მოდით ასე გიპასუხებთ, ყველა რგოლში დაბალანსებული გუნდი გვყავს.

- ხვალ რა შედეგს ელით? ყატარელი ქომაგები თქვენს ვარჯიშს რომ უყურებდნენ ისიც კი თქვეს, საქართველომ ურუგვაის ამხანაგურ მატჩში მოუგო და ხვალ ურუგვაელი ხორხე ფოსატი ყატარის ნაკრებით რევანშს შეეცდებაო.

- (იცინის) არა, არანაირ რევანშზე არ ვფიქრობ. კარგად ვიცი საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია და ხვალ რთული მატჩი გველის. 21 ნოემბერს მორიგი ოფიციალური მატჩი გვაქვს და მინდა ქართველებთან ტესტ-მატჩი იმ თამაშისთვის მოსამზადებლად გამოვიყენო.

- შანსებს როგორ გაანაწილებდით?

- ვფიქრობ, საქართველოს ჩვენზე ოდნავ მეტი შანსი აქვს.

- ხვალ ორი ფორვარდით ითამაშებს თქვენი გუნდი?

- ამას ვერ გეტყვით. ისე კი ჩვენი გუნდი 2 ან 3 ფორვარდით თამაშობს. ერთი

თავდამსხმელით თამაში ჩემი სტილი არაა.

კლაუს ტოპმიოლერი

ამით ფოსატისთან საუბარს მოვრჩი და ყატარის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშეს ყატარის ნაკრების შემადგენლობა ვთხოვე.:

მეკარეები: მოჰამედ საქერი (ალ სადი), აბდილაზიზ ალი (ალ გარაფა), ჰუსეინ ალი (ს.კ. ყატარი).

მცველები: სელმან მესბეჰი (ალ რაიანი), იბრაჰიმ აბდულა (ალ არაბია), ბილალ მოჰდი, საად ალსამარი, მუსტაფა მოჰდი (ყველა ალ გარაფა), აბდულა კონი (ალსადი). Mუგიბ ჰამიდი (ალსილია), აჰმედ მოჰდი (ალაჰლი), აბდულრაჰმან მესაბი (ალ რაიანი).

ნახევარმცველები: აბდულაზიზ ქარემი (ალ არაბია), ვასამ რიზიკი (ალ სადი), ვაჰიმ მოჰდი (ალ სილია), ვალჰიდ აჰმედი (ალ ქორი), ფაჰიდ ალშამარი (ალ გარაფა), ჰუსეინ იასირი (ბრაგა, პორტუგალია).

თავდამსხმელები: მეშაალ აბდულა (ალ სილია), ანდერს სებასტიანი (ს.კ. ყატარი), მირჰანი ალზაინი (ალ ვაკრა), ალი ქასიმი (ალ ვაკრა), ფაჰად ალშამარი (ალ გარაფა), საიდ ბეჩირი (ალ არაბია).

რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, კლაუს ტოპმიოლერმა ჩვეულებრივი წვრთნა

ჩაატარა. მოედნის გარშემო ნელი სირბილი, მოთელვა, კვადრატი და გრძელი და მოკლე პასები, კარში დარტყმები და ორკარა ნახევარ მოედანზე ბურთთან მაქსიმუმ ორი შეხებით. თავიდანვე გეტყვით, რომ გუშინ ინდივიდუალურად ივარჯიშა **დავით სირაძემ**. ის მხოლოდ მოედნის გარშემო ნელი სირბილით შემოიფარგლა. როგორც თავად გვითხრა, კლუბში თამაშისას მას მეტოქემ ქუსლში ჩაარტყა და ტკივილები ახლაც აწუხებს.

ვარჯიშს შუა ნაწილიდან გამოეთიშა **ზურაბ მენთეშაშვილი**. მას კუნთი აქვს

დაჭიმული. დანარჩენებმა კი წვრთნაში სრულად მიიღეს მონაწილეობა:

ალსანიშნავისა ისიც, რომ ჩვენი გუნდის ვარჯიშს ყატარში მცხოვრები ქართველი დაესწრო მეუღლესთან და პატარა შვილებთან ერთად. ის ექიმია და

6 თვეა რაც ერთ-ერთ შეიხთან მუშაობს. მისი თქმით ყატარში სამი ქართველი ექიმია და სამივე სხვადასხვა შეიხთან მუშაობს.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ კლაუს ტოპმიოლერს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

- ტრავმის გამო კობიაშვილი გამოგვაკლდა, გოგუა თბილისში ჩასვლისას

შემოგვიერთდება. გუნდში ჩინებული ატმოსფეროა. ბიჭები საკმაოდ მონდომებულები არიან.

- ხვალ სასტარტო შემადგენლობაში დებიუტანტებიც იქნებიან?

- სასტარტო შემადგენლობა უკვე მოხაზული მქონდა, მაგრამ სირაძისა და

მენთეშაშვილის მდგომარეობა ალბათ გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს.

- ისინი ხვალ ვერ ითამაშებენ?

- მენთეშაშვილს აქვს შანსი ითამაშოს, მაგრამ რისკი დიდია და შეიძლება თავი

შევიკავოთ. სირაძის თამაში კი გამორიცხულია.

- ორკარას თამაშისას ასათიანი შუაში თამაშობდა, ხვალაც ნახავარდაცვაში ხომ არ ვიხილავთ?

- არა, ეს არ იყო ხვალინდელი მატჩის მონახაზი. ასათიანი დაცვაში ითამაშებს.

- ხვალ იმ შემადგენლობით და სქემით ითამაშებთ, როგორც თბილისში ლიტვასთან?

- არა, ხვალ ამხანაგური მატჩია. ეს ტესტია და სხვადასხვა ტაქტიკურ ვარიანტებს მოვსინჯავთ, რომლებიც შემდეგ გამოგვადგება. ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ერთად გამოცდილებიც გვყავს გუნდში და ამ ნაზავით ჩვენს ნაკრებს მჯერა, წარმატებული თამაში შეუძლია.

ყატარიდან რეპორტაჟი გამოირიცხა

ვნახავთ საქართველო-ლიტვას?

ყატარისა და საქართველოსა ნაკრებთა ამხანაგური მატჩის ტელერეპორტა;! გარკვეული მცდელობის მიუხედავად არ შედგება.

შეხვედრის ტრანსლირება "საზოგადოებრივ მაუწყებელს" სურდა, მაგრამ ყატარულმა მხარემ ქართველები გაურკვევლობაში ჩააგდო. მათ ვერ დაადგინეს, ვისგან შეიძლებოდა ჩვენების უფლების შესყიდვა და კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი რამ. აქედან გამომდინარე, გუშინ "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" გადაჭრით გვითხრეს, რომ რეპორტაჟს არც ერთი ქართული არხი აღარ აჩვენებს.

რაც შეეხება საქართველო-ლიტვის 21 ნოემბრის მატჩს, ამ შემთხვევაში ტელერეპორტაჟის იმედი ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ საბოლოოდ მაინც უცნობია, რომელი არხი გადასცემს შეხვედრას. როგორც ადრე გაუწყეთ, შესაძლოა, ლიცენზიაწართმეული "იმედის" ნაცვლად, შეხვედრა "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" გადასცეს. თუმცა ზუსტი პასუხი გუშინ გვიანობამდე არც ამ საკითხზე ჰქონდათ.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

არის ასეთი ქვეყანა

ყატარის ნაკრების გუშინდელი ვარჯიში

საქართველოს ნაკრები ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ისეთ აზიურ ქვეყანაში ჩავიდა, სადაც ცხოვრების დონე დასავლეთევროპულს ეტოლება.

ბევლათ ყატარ ასე ეწოდება ოფიციალურად საამიროს, რომელიც ბრიტანეთის იმპერიიდან 1971 წელს გათავისუფლდა. ქვეყანა სპარსეთის ყურეში ყატარის ნახევარკუნძულზე მდებარეობს და დაახლოებით ექვსჯერ პატარაა საქართველოზე. მოსახლეობა 850 ათასი ადამიანია, დედაქალაქი კი - დოჰა. დედაქალაქსა და მის გარეუბნებში ცხოვრობს ყატარის მოსახლეობის 80 პროცენტი.

თევზჭერა და მარგალიტის მოპოვება - ყატარელები თავს ამით ირჩენდნენ გასული საუკუნის 40-იან წლებამდე, მერე კი იქ ნავთობისა და ბუნებრივი აირის დიდი მარაგი აღმოაჩინეს ინგლისელებმა და ყატარის ეკონომიკაც ამაზე აეწყო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყატარში ნავთობის და გაზის მოპოვება-ექსპორტის გარდა სხვა სფეროებიც განვითარდა, მათ შორის სპორტიც. ბოლო წლებში ყატარმა რამდენჯერმე უმასპინძლა აზიურ თამაშებს და 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატიც შეიქნა. "ხალიფა ინტერნეშენლ სტედიუმი", სადაც თამაში უნდა გაიმართოს 50 ათასს მაყურებელს იტევს. 2006 წელს ამ სტადიონზე გაიმართა აზიის თამაშები.

ყატარის სახელმწიფო ენა არაბულია, თუმცა ინგლისური იქ უკვე თითქმის ყველამ იცის. არაბულ-ინგლისურია ყატარული ტელეკომპანია "ალ ჯაზირაც" - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული არხი.

პრობლემები ყატარშიც არის. ამ ქვეყანაში ბევრი ემიგრანტი ჩადის სამუშაოს მოსაპოვებლად სამხრეთ აზიიდან და სექსუალურად ყველაზე პრობლემურ რეგიონადაც იქცა - ერთ ქალზე 1.8 კაცი მოდის, რამეთუ ემიგრანტების აბსოლუტური უმრავლესობა მამაკაცია. ყატარში ბოლო დროს საემიგრაციო წესები გაამკაცრეს და მატულობს დეპორტირებულთა რიცხვი.

ყატარში კონსტიტუციური მონარქიაა - ქვეყანას ხალიფა და პრემიერმინისტრი მართავენ. ყატარულ ფეხბურთს ადგილობრივი ფეხბურთის ასოციაცია განაგებს, ამ ასოციაციის წევრი დიდია, რომ 2011 წლის აზიის თასს ფეხბურთში ყატარი უმასპინძლებს. ასოციაციის პრეზიდენტი ხალიფა **ჰამადის** ვაჟია რეალურად საქმეებს კი გენერალური მდივანი **საუდ ალ მოჰანადი** განაგებს.

უმაღლეს ლიგაში ათი გუნდია. ბოლო ორი წელია ქვეყნის ჩემპიონი "ალ სადი" ხდება, სადაც ადრე რომარიოსაც კი უთამაშია. გუნდს ახლა ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი **კო ადრიაანსე** წვრთნის.

ყატარში ახლაც ბევრი ლეგიონერი თამაშობს. მათი წლიური საშუალო ხელფასი 500 ათასი ევროა.

ყატარის ეროვნულ ნაკრებში 1980-86 წლებში დაბადებული ფეხბურთელები თამაშობენ, გამონაკლისი მხოლოდ 33 წლის მეკარე **ჰუსაინ ალ რომაიჰია**. აზიის თასზე ყატარის ნაკრების ყველაზე დიდი წარმატება 2000 წელს მეოთხედფინალში გასვლაა. ყატარის ნაკრებს მხოლოდ ერთი ლეგიონერი ჰყავს, თუ არ ჩავთვლით ნატურალიზებულ ურუგვაელ სებასტიან ქუინტანას.

ეროვნულ გუნდს ახლა ურუგვაელი **ხორხე დანილ ფოსატი** წვრთნის. ერთ დროს ის ურუგვაის ეროვნულ გუნდსაც ხელმძღვანელობდა.

დავით თავართქილაძე
ნიკოლოზ ნეფარიძე

ხალიფასტედიუმმა აზიის თამაშებს უმასპინძლა

კობიაშვილი პირველი არხის თასზე

ლევან კობიაშვილი ამჯერადაც ვერ ახერხებს საქართველოს ნაკრების დახმარებას, თუმცა იგი თავს უკეთ გრძნობს და მალე ტრავმას სრულად მოიშუშებს. კობიაშვილი "შალკეს" შემადგენლობაში უკვე ვარჯიშობს და არაა გამორიცხული, სანაკრებო დღეების დასრულების შემდეგ მოედანს მალევე დაუბრუნდეს. უფრო კონკრეტულად კი, შესაძლოა, იგი "ხუმარათა" 18-კაციან განაცხადში მომავალ "უიქ ენდზე" მოხვდეს.

ამასობაში კი გაირკვა, რომ "შალკეს" ხელმძღვანელობა რუსეთის პირველი არხის თასზე აპირებს მონაწილეობას. გერმანელებს ამ ტრადიციული ტურნირის ორგანიზატორთათვის საბოლოო თანხმობა ჯერ არ უთქვამთ, მაგრამ სავარაუდოდ, სპონსორი "გაზპრომი" გელზენკირხენელთა დათანხმებას შეძლებს.

პირველი არხის თასი 2008 წლის 21-29 იანვარს, ისრაელში გაიმართება. "შალკეს" გარდა, იქ მოსკოვის "სპარტაკი" და ცსკა, კიევის "დინამო", დონეცკის "შახტიორი" და იერუსალიმის "ბეითარი" არიან მინვეულნი.

ლევან ჯანეზაშვილი

ბლოხინი ტოპმიოლერს არ ეთანხმება

უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ოლეგ ბლოხინს** მცირე ხნის წინათ კიევის "დინამოს" გაწვრთნა შეთავაზეს. ამასთანავე, მას უფლება ეძლეოდა შეეთავსებინა უკრაინის ნაკრების მწვრთნელობაც.

ოლეგ ბლოხინმა შეთავსებით მუშაობა კატეგორიულად იუარა და განაცხადა, რომ **კლაუს ტოპმიოლერის** მსგავსად მუშაობას არ აპირებს, ამას მიუღებლად თვლის: "ნაკრებსა და გუნდში ერთდროულად მუშაობა მიუღებელია და აბსურდულიც. ასე ნორმალურად ვერსად ვიმუშავებ და წარმატებაზე საუბარიც ზედმეტია. ის ვარიანტი, რომელიც კლაუს ტოპმიოლერმა აირჩია - ერთდროულად "კაიზერსლაუტერნიც" და საქართველოს ნაკრებიც - ჩემთვის მიუღებელია."

მერაბ მამულაშვილი

ოლეგ ბლოხინი

ლიტველთა განრიგი და მატჩის ოფიციალური პირები

ლიტვის ეროვნული ნაკრები და ოფიციალური დელეგაცია თბილისში 19 ნოემბერს ჩამოვა. იმავე დღეს, 19 საათზე, ბალტიელები პირველ ვარჯიშს ჩაატარებენ, 20 ნოემბერს, მატჩის წინა დღეს კი სტუმართა გუნდი ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს.

ლიტველთა ოფიციალურ დელეგაციაში შედიან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლიუტაურას ვარანავიჩიუსი**, გენერალური მდივანი **იულიუს კვედარასი**, მენეჯერი **ვლადიმირს ბუზმაკოვასი**, მარკეტინგის დირექტორი **პაეფგენ ტონი**, საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელი **ვივა ზიზაიტე** და ნაკრებთა დირექტორი **რობერტას ტაუტკუსი**. ლიტველთა დელეგაცია სასტუმრო "ბატესტაში" დაბინავდება.

საქართველო-ლიტვას მაკედონიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. არბიტრი **ალექსანდრ სტავრევი** იქნება, ასისტენტებად **მარიან კიროვსკი** და **ლუბომირ კრშტევსკი** არიან გამწესებულნი, მეოთხე მსაჯი კი **დიმიტარ მეჩკაროვსკია**. მსაჯთა დამკვირვებლად უეფამ შვეიცარიელი **არნოლდ შლუხტერი** დანიშნა, დელეგატად კი ბულგარელი **ივან ლეკოვი**.

მატჩი 21 ნოემბერს, ეროვნულ სტადიონზე, საღამოს 8-ის ნახევარზე დაიწყება.

ლევან ჯანეზაშვილი

რუსებთან ბერძნები განგვსჯიან

საქართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, საქართველო-ლიტვის ეროვნული და საქართველო-რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩების ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ეს ორი შეხვედრა დაგეგმილ დროსა და ადგილზე შეუფერხებლად გაიმართებოდა.

საქართველოსა და რუსეთის ახალგაზრდულები ერთმანეთს 20 ნოემბერს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაუპირისპირდებიან. მატჩი საღამოს 7 საათზე დაიწყება.

რუსული დელეგაცია თბილისში 18 ნოემბერს, გამთენიისას ჩამოვა, პირველ თბილისურ ვარჯიშს კი სტუმართა ნაკრები 17 საათზე ჩაატარებს. რუსები მეორე დღეს 19 საათზე ივარჯიშებენ, შინ კი 21 ნოემბრის დილას გაემგზავრებიან.

შეხვედრას ბერძენი მსაჯები მოემსახურებიან, დელეგატი ალბანელი ბუჯარ კასმია, მსაჯთა დამკვირვებელი კი - გერმანელი **ბერნდ ჰაინემანი**.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

გადადებული მატჩების თარიღები დადგინდა

საქართველოს პროფესიული ლიგის საშეჯიბრო კომიტეტს საგანგებო მდგომარეობის გამო კალენდარში იძულებითი ცვლილებების შეტანა მოუხდა. როგორც იცით, უმაღლეს ლიგაში მთლიანად გადაიდო მე-11 ტური, პირველ ლიგაში კი მე-12 ტურის მატჩების ჩატარება ვერ მოხერხდა.

გადაიდო სუპერთასის მატჩი რუსთავის "ოლიმპსა" და თბილისის "ამერს" შორის, რომელიც 5 დეკემბერს იყო დანიშნული. მას შარშან "ფოლკსვაგენმა" გაუწია პატრონობა, გერმანული ავტოკომპანიის კავკასიურმა წარმომადგენლობამ პროფესიული ფეხბურთის ლიგასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ასე მივიღეთ "ფოლკსვაგენის თასი".

მატჩების ჩატარების თარიღებთან დაკავშირებით არაერთი კითხვა დაგროვდა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივანს, პაატა ბურჯალიანს მივმართეთ.

- პაატა, როდის და სად ჩატარდება "ფოლკსვაგენის" თასის გათამაშება? თავდაპირველად გაჩნდა ცნობა, თითქოს 5 დეკემბერს შეხვედრას ზუგდიდი უმასპინძლებდა, მერე სხვაგვარი ინფორმაციები შევიტყვეთ. რეალურად რა ხდება?

- ჯერ კიდევ საბოლოო პასუხი არ შემიძლია გაგცეთ. შაბათს, 16 ნოემბერს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომაა დანიშნული და სწორედ იქ გადაწყდება სუპერთასი სად გაიმართება. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში თამაში რეგიონში ჩატარდება.

- ანუ ზუგდიდში აღარ ჩატარდება?

- ორ ვარიანტს განვიხილავთ, გორსა და ზუგდიდს. ორივე ქალაქში ახალი სტადიონი ააშენეს, რაც ჩვენს პირობებში დიდი მოვლენაა. საერთოდ, რეგიონებში რაც უფრო მეტი მატჩი ჩატარდება, მით კარგი იქნება. ეს ჩვენი ფეხბურთის გამოცოცხლებას წაადგება. რეგიონები უნდა წავახალისოთ. იქ ხალხს დიდი ფეხბურთი მოენატრა. გვსურს ეს ტრადიციად ვაქციოთ.

სხვათა შორის, ანალოგიური პრაქტიკა ბევრ ქვეყანაშია დანერგილი, თასის, სუპერთასის და სანაკრებო შეხვედრების მაინც და მაინც დედაქალაქში ჩატარება სულაც არაა სავალდებულო.

სამწუხაროდ, ადრე ამის შანსი არ გვქონდა, რადგან ნორმალური სტადიონი რეგიონში თითქმის არ იყო. ახლა შანსი მოგვეცა. "ფოლკსვაგენის" თასის გათამაშება მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს, საჭიროა შოუ-პროგრამა. ამის გამოცდილება რეგიონებში თითქმის არ აქვთ. ლიგა დავეხმარებით და ამას ჩვენ თავზე ავიღებთ. მაყურებელს მხოლოდ ფეხბურთით ვერ მოვიზიდავთ, შოუ აუცილებელია.

- რამდენად მართალია, თითქოს ზუგდიდის სტადიონს შედარებით უარესი საფარი აქვს და მატჩი გორში ჩატარდებაო?

- ორივე სტადიონს თავისი პლუს-მინუსები გააჩნია. ლიგის გამგეობის წევრები დაადგენენ, სად აჯობებს მატჩის ჩატარება. თარიღი კი დადგენილია - 9 დეკემბერი.

- 5 დეკემბერს არ გეგმავდით?

- ჩემპიონატი 2 დეკემბერს უნდა დასრულებულიყო და სუპერთასის თარიღი აქედან დავადგინეთ. საგანგებო მდგომარეობის გამო, თარიღები გადავწიეთ.

- ზუგდიდის სტადიონის რეკონსტრუქციაზე ბევრი დაიწერა. გორის არენის მდგომარეობაზე კი ბევრი არაფერი ვიცით.

- ძალიან კარგად შეარემონტეს ორივე ტრიბუნა, ინდივიდუალური სკამები დაამონტაჟეს, მოაწყეს ვიპ და პრეს-ლოჟები, უკრაინიდან ახალი ტაბლო ჩამოიტანეს. აქვე გეტყვით, რომ გორის და ზუგდიდის ხელმძღანელობა ყველანაირ თანადგომას გვპირდება მატჩის ორგანიზაციაში.

- "ფოლკსვაგენის თასის" საპრიზო ფონდი რამდენი იქნება?

- იმდენივე, რაც შარშან, ეს შეთანხმება "ფოლკსვაგენთან" შარშან გაფორმდა. კომპანიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ტარიელ ხეჩიკაშვილს თანამშრომლობის გახანგრძლივება სურს და ეს ბოლო შეხვედრაზე გვითხრა. ის ეხმარება ქართულ სპორტს, ჩვენ ფეხბურთს, მისი გულშემატკივარია.

მან შარშანდელი გათამაშების შესახებ "ფოლკსვაგენის" ცენტრალურ ოფისს ყველანაირი ინფორმაცია მიანოდა, ვიდეო, ფოტო და პრესის თარგმნილი მასალები.

შარშანდელი გათამაშება მაღალ დონეზე ჩატარდა. "ფოლკსვაგენთან" კონსულტაციები გრძელდება და იმედია, თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

უფრო კონკრეტულად კი 2007 წლის დარჩენილი ოფიციალური შეხვედრები ასეთი თანმიმდევრობით გაიმართება:

თასის ჯგუფური ეტაპი. გალ. მატჩი

17 ნოემბერი

ბათუმი-ბორჯომი

უმაღლესი ლიგის XII ტური

24 ნოემბერი

სიონი-ბორჯომი

მგლეები-ვიტ ჯორჯია

დილა-სპარტაკი

ოლიმპი-მერანი

ლოკომოტივი-დინამო

ზესტაფონი-ბათუმი

მესხეთი-ამერი

თასის ჯგუფური ეტაპი. VI ტური

27 ნოემბერი

ტორპედო-მესხეთი

ამერი-სპარტაკი

მაღაროელი-ვიტ ჯორჯია

დინამო-ლოკომოტივი

მერანი-ბორჯომი

ოლიმპი-ბათუმი

კახეთი-მგლეები

ზესტაფონი-დილა

უმაღლესი ლიგის XIII ტური

1 დეკემბერი

სპარტაკი-ოლიმპი

ამერი-ზესტაფონი

ბათუმი-ლოკომოტივი

ბორჯომი-მგლეები

ვიტ ჯორჯია-მესხეთი

2 დეკემბერი

დინამო-დილა

მერანი-სიონი

უმაღლესი ლიგის XI ტური

5 დეკემბერი

ბორჯომი-ოლიმპი

ბათუმი-მესხეთი

ამერი-ვიტ ჯორჯია

სპარტაკი-ლოკომოტივი

6 დეკემბერი

დინამო-ზესტაფონი

სიონი-მგლეები

მერანი-დილა

მერაბ მამულაშვილი



მთელი კვირის ათასი წვრილმანი

ნოემბრის ქარ-წვიმაში თბილისი თუხთუხებდა. ყველაფერი ისე დამთავრდა, რომ ისევ სხვისი შემყურე გავხდით. რას იტყვიან ჩვენზე, რას გვირჩევენ და გვიბრძანებენ.

ქართული ფეხბურთის საქმეც ასეა. ფეხბურთი ჩვენთან თავს მარტო ვერ გაიტანს. ნოემბრის თუხთუხში ალბათ იმის დროც იყო, ფეხბურთზე გვეფიქრა. რა მოხდება, თუ ქვეყანა აირ-დაირევა? როგორღა განხორციელდება საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა?

ხელისუფლების დახმარების გარეშე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც ვერ გაიტანს თავს, თუნდაც იმიტომ, რომ კლაუს ტოპმიოლერის ჯამაგირს ვერ გადაიხდის. უფულოდ დარჩება რამდენიმე კლუბი, ვერ აშენდება სტადიონები...

ქვეყანას არჩევანის გაკეთების შანსი მაინც მისცეს. ბოლო ორი წელია, ამის შესაძლებლობა არ აქვს ქართულ საფეხბურთო სამყაროს, მაგრამ მაინც გამოუჩნდება წინსვლის შანსი, თუ ფეხბურთის განვითარების პროგრამა ამოქმედდება.

ბევრს ჰგონია, რომ ცარიელ კარში ბურთის გატანა ადვილია. რამდენიმე თავდამსხმელს დავეკითხე, ეს მართლა ასეა, თუ არა. მჯეროდო, რომ ეს არ იყო გულუბრყვილო კითხვა და თითქმის ყველამ ერთნაირი პასუხი გამცა - ცარიელ კარში ბურთის გატანა არ არის იოლი, თუნდაც იმიტომ, რომ თავდამსხმელი ცარიელ კართან ბურთით ძალიან იშვიათად რჩება.

დღეს ცარიელ კართან დარჩა საქართველო და ქართული ფეხბურთიც. ქვეყანას აქვს შანსი, ანგარიში წაიყვანოს, ან ისევ დამარცხებული დარჩეს. მაგრამ ცარიელ კარში გოლის გატანა, თურმე ძნელი ყოფილა და თუ შანსს ვერ გამოიყენებ, ხომ იცით, ცხოვრება შეცდომებს არ პატიობს.

ცარიელ კარში ბურთის გატანას სჭირდება კარგი ნერვები და კარგი ფიზიკური მომზადებაც - თუ ჯანზე ვერ ხარ, გადამწყვეტ დარტყმას ზუსტად ვერ შეასრულებ.

საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამბობდა, ორომტრიალი ადამიანს აკაჟებსო. მისი თეორიით დღეს საქართველო და მისი ფეხბურთიც ჯანზე უნდა იყოს და ბურთი ცარიელ კარს არ უნდა ააცილოს.

ცარიელ კართან

პოლიტიკაშიც და ფეხბურთშიც ბევრი გაიძვერაა, მაგრამ კლასიანი მმართველები ყველგან ცოტანი არიან. ქომაგი და შემფასებელი კი ყველას ჰყავს. ჩვენმა ერთმა ძალიან მოდურმა მწვრთნელმა მითხრა, იმას ეკლერი და ხიზილალა ბავშვივით კი უყვარს, მაგრამ საკუთარ ხალხზე მენტალურად ბევრად წინ დგასო.

ასეა, ყველას საკუთარი აზრი და მიკროსამყარო აქვს, მაგრამ ქართულ ფეხბურთს დღეს მილიონები ძალიან სჭირდება და ეს საკამათო არ უნდა იყოს ქვეყნის რაგინდარა მმართველისთვის - სხვანაირად ცარიელ კარში ბურთს ვერ გავიტანთ.

გასულ უქმეებზე ძალიან გემრიელი ტური უნდა გამართულიყო ეროვნულ ჩემპიონატში. "ამერი" "ვიტ ჯორჯიას"ისტუმრებდა, "დინამო" კი "ზესტაფონს", მაგრამ ნოემბრის ქარტეხილმა ტური გადაგვიდო.

უვნებელი დარჩა ეროვნული გუნდი - დღეს ყატარში გააგორებს ბურთს, 21 ნოემბერს კი ლიტვას დაუხვდება და თუ დაამარცხებს, შვიდგუნდიან ჯგუფში მეხუთე ადგილს დაიკავებს. ლიტვა ურიგო გუნდი არ უნდა იყოს, ამ შესარჩევში იტალიასთან სტუმრად ფრესაც გამორჩა. ტოპმიოლერს კონტრაქტის გაგრძელება გარანტირებული კი აქვს, მაგრამ ლიტვის გადასწრება მისთვისაც თავმოყვარეობის საკითხი უნდა იყოს. ემოციის განმეორება არ არსებობს და ჩვენს ნაკრებსაც ლიტვასთან ვერ ექნება ის მუხტი, რაც თბილისში შოტლანდიასთან ჰქონდა. ბალტიისპირელებთან თამაშს სულ სხვა განწყობა და მუღამი დასჭირდება.

ტოპმიოლერმა ალექსანდრე იაშვილის დარად აღარ გამოიძახა გიორგი დემეტრაძე, ოცდაათ ნელს გადაცილებულთაგან მხოლოდ ლევან ცქიტიშვილს უხმო, შემოდგომის თამაშებს მაქსიმალურად იყენებს ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოსაცდელად და გუნდში სამ ახალწვეულს დაუძახა - როინ კვასხვაძეს, ამირან სანაიას და ნიკა გელაშვილს. რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ტოპიმ ისევ გამოიძახა ნაკრებში "ბორჯომის" შოთა გრიგალაშვილი. ჭერ კლაუსი გრიგალაშვილს მაშინაც იწვევდა ეროვნულ გუნდში, როცა ის თბილისის "დინამოს" სამატჩო განაცხადში არ შეჰყავდათ.

არა გვგონია, ლიტვასთან მატჩი ცარიელ კარში ბურთის გატანას ჰგავდეს. ლიტვის ცარიელ კართან ბურთი ჯერაც მისატანია.

"ლელო" კი ნოემბრის თუხთუხის გამო სამი დღე უქმად დარჩა, მაგრამ ხანდახან უქმოდ ყოფნაც სარგოა. "ქვეყანა რომ ისუნთქო, საჭიროა ოცნება", - ასეთი იყო უაილდის სიტყვა.

ქვეყანა კი დღეს ცარიელ კართან დგას.

დავით თავართქილაძე

ზესტაფონი ამხანაგურადაც გამარჯვებულია

გუშინ "ზესტაფონმა" ამხანაგური მატჩი გამართა პირველლიგელი "ნორჩი დინამოელის" წინააღმდეგ. შეხვედრა მოსალოდნელი სცენარით წარიმართა, ფეროელებმა თავიდანვე იგდეს ხელთ ინიციატივა და მეტოქეს ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს. მე-16 წუთზე ანგარიში ზესტაფონელთა ახალგაზრდა თავდამსხმელმა **ლაშა ჩაჩიბაიამ** გახსნა, 83-ეზე კი თამაშს წერტილი **გიორგი ჭელიძემ** (ნუგზარის ძმე) დაუსვა.

"ზესტაფონმა" გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა. **თემურ მახარაძემ** ნაკრებებში გამოძახებული ხალხიც მოისაკლისა და გუნდის რამდენიმე ლიდერიც დაასვენა. იმერელთა რიგებში ამ ფეხბურთელებმა იასპარეზეს:

ჭანტურია (ჯალაღონია), ვ. ქორიძე (გელაჭეიშვილი), საჯაია, ხუმარაშვილი, ს. თოდუა (სურმავა), შ. ჯიშკარიანი (გავაშელაშვილი), გორგიაშვილი (ახალბედაშვილი), გ. ნუგ. ჭელიძე (მაისურაძე), ჩაჩიბაია, ფიფია, სოფრომაძე.

24 ნოემბერს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი "ზესტაფონი" ბათუმს უმასპინძლებს.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

რევიშვილის ახალი კონკურენტი

ნუკრი რევიშვილს ძლიერი კონკურენტები არც აქამდე აკლდა, ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახალგაზრდა ქართველ მეკარეს ყაზანის "რუბინის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება კიდევ უფრო გაუჭირდება.

რუსეთში სატრანსფერო სეზონი უკვე გაიხსნა და პირველი შენაძენი სწორედ "რუბინმა" გააკეთა – ყაზანელებმა პრემიერლიგიდან გავარდნილი "კუბანიდან" **ვლადიმირ გაბულოვი** გადაიბირეს. ეს უკანასკნელი რუსეთის ეროვნული ნაკრების წევრია, **იგორ აკინფეევის** ტრავმისას კი **გუს ჰიდინკი** კარში ადგილს ხშირად ანდობდა. ინგლისთან გადამწყვეტ მატჩში მოედანზე სწორედ იგი იყო. ჩრდილოეთ ოსეთში დაბადებულ გაბულოვს სხვადასხვა დროს "ალანიაში", მოსკოვის "დინამოსა" და ცსკა-შიც უთამაშია.

ჯერჯერობით, უცნობია, დარჩება თუ არა რევიშვილი "რუბინში". შეგახსენებთ, ამ სეზონში მას ძირითადში ადგილი მხოლოდ ორჯერ ანდეს, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ყურბან ბერდიევი** ძირითადად, ლატვიელ **ალექსანდრ კოლინკოს** ენდობოდა.

ლევან ჯანეზაშვილი

სეპაჰანი ურავაში გაჩერდა

ისპაჰანის "სეპაჰანი" აზიის ჩემპიონთა თასს ვერ შესწვდა - ფინალის საპასუხო შეხვედრაში იაპონურ "ურავა რედსთან" სტუმრად 0:2 დამარცხდა, სეპაჰანში კი ამ გუნდების შეხლა 1:1 დასრულდა.

ურავაში თამაშს 59 ათასი მაყურებელი დაესწრო. სპარსული ვებგვერდების ცნობით იაპონელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. **ჯაბა მუჯირი** მაჯრულად ითამაშა, თუმცა "სეპაჰანის" დაცვა და მეკარე ორ გაშვებულ გოლს ვერ გადაარჩინა.

როგორც უნდა იყოს, "სეპაჰანმა" მაინც ბევრს მიაღწია - 19 წლის შემდეგ სპარსული გუნდი პირველად გავიდა აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ისპაჰანელთა ამ წარმატებაში მუჯირმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა - როცა ტრავმა არ ჰქონდა, თერთმეტეულში სულ თამაშობდა.

შეგახსენებთ, რომ "სეპაჰანი", როგორც აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი, მაინც ითამაშებს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში - ფიფას ექვსგუნდიანი ტურნირი დეკემბერში გაიმართება.

დავით თავართქილაძე

გიგიაძე ზარიაში?

უკრაინული პრესის ცნობით, დიდია იმის ალბათობა, რომ **ვასილ გიგიაძემ** ახტირკის "ნეფტიანიკი" დატოვოს და კარიერა ლუგანსკის "ზარიაში" გააგრძელოს. 30 წლის ქართველი ფორვარდი "ნეფტიანიკში" ზაფხულში გადავიდა და თავი დიდად არ გამოუჩენია. ახტირკული კლუბის ხელმძღვანელობა მისი გაშვების წინააღმდეგი არაა, "ზარიას" შეფები კი ვასოს უფრო მეტ ნდობას ჰპირდებიან.

უფრო სავარაუდოა, რომ გიგიაძე ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ზარიას" იჯარით მიაშურებს, ტრანსფერის გამოსყიდვაზე კი საუბარი, ალბათ, მომავალ ზაფხულს დაიწყება. შეგახსენებთ, გიგიაძე "ნეფტიანიკში" "კრივბასიდან" გადავიდა და იქ საქმეები არასახარბიელოდ წაუვიდა. თუ წინა სეზონში იგი უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობისთვის ბოლო ტურამდე იბრძოდა, ამ ჩემპიონატში ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია. "ნეფტიანიკის" ბოლო რამდენიმე მატჩში გიგიაძე მოედანზე საერთოდ არ შეუშვიათ.

ლევან ჯანეზაშვილი

ვასილ გიგიაძე

ამისულაშვილი გაამართლეს

ალექსანდრე ამისულაშვილის თავს ბოლო დროს მომხდარი უსიამოვნო ამბავი, საბოლოოდ ქართველი მცველისთვის კარგად დასრულდა - ვლადივოსტოკში ქალის გაუპატიურების მცდელობაში ეჭვმიტანილი ამისულაშვილი გაამართლეს. სასამართლომ ფეხბურთელის ქმედებაში დანაშაული ვერ აღმოაჩინა და შესაბამისად მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრა.

შეგახსენებთ, რომ ვლადივასტოკის 25 წლის მაცხოვრებელმა, ვინმე ალისამ ამისულაშვილს 4 ნოემბერს უჩივლა. მისი მტკიცებით, ბარში მეგობრებმა ნალჩიკის "სპარტაკის" ერთ-ერთი ფეხბურთელი გააცნეს, რომელმაც შემდეგ ტაქსისკენ გააცილა, მერე კი გააუპატიურა. ალისამ მოითხოვა, ვინც ეს სამარცხვინო საქმე შემომკადრა, მკაცრად დასაჯეთო და ხელი ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველ მცველს დაადო.

პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელმა **ავრორა რიმსკაიამ** განაცხადა: *"სარჩელის შემომტანსა და ეჭვმიტანილს შორის ძალადობრივი გზით სექსუალური ურთიერთობა არ დადასტურდა."*

ამისულაშვილის წინააღმდეგ ბრალდებები აბსურდული რომ იყო, ამას უკვე რუსული მედიაც ადასტურებს. "კომსომოლსკაია პრავდა" იმ დარაჯის სიტყვებს იშველიებს, რომელიც იმ ღამეს მალაზიასთან მორიგეობდა. ის არ მალავს, რომ გოგონა იმდენად გამომწვევად იქცეოდა, კინაღამ თავად გააპატიურა ერთ-ერთი ფეხბურთელიო. შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ ის გოგონა ფულის გამოძალვაში შემჩნეული ადრეც ყოფილა და საქმეც დაიხურა.

ამისლაშვილი კი მაინც არ აპირებს გაჩუმებას და ალისას სასამართლოში ჩივილს უპირებს, რაც გუშინ თავად დაგვიდასტურა.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

ტორპედოს ძირითადში ქართველი გამოჩნდა

დარასელია ახალი სეზონის იმედადაა

გედევან დარასელია ქართველი გულშემატკივრისთვის უცნობი მოთამაშეა. 19 წლის მარცხენა მცველი რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, მოსკოვის "ტორპედოს" წევრია და იმედოვნებს, რომ მომავალ წელს ძირითადში ითამაშებს.

"შარშან, სექტემბერში მოსკოვის "ტორპედოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. თუმცა გუნდში ვარჯიში მოგვიანებით დავიწყე. სავიზო პრობლემების გამო თბილისში ნახევარი წელი ჩავრჩი. ძალიან გვიან შევუერთდი გუნდს, მაგრამ ახლა სავიზო პრობლემა აღარ მაწუხებს, რუსეთში დაუბრკოლებლად შევალ", - გვითხრა დარასელიამ.

ქართველ მოთამაშეებს რუსეთში მიმოსვლის პრობლემა ბევრჯერ შექმნიათ და ეტყობა, აქედან გამომდინარეობს დარასელიას ჩანაფიქრი: *"არ გამოვრიცხავ, რუსეთის მოქალაქეობა მივიღო. რუსეთის პირველ ლიგაში გუნდს მხოლოდ ექვსი უცხოელის აყვანის უფლება აქვს. საქართველოს პასპორტზე უარის თქმას ნაღდად არ ვაპირებ, იქნებ ორმაგი მოქალაქეობა მივიღო... დავინტერესდი და მითხრეს, რომ ასეთი უფლება გამაჩნია. ამით ლეგიონერის პრობლემას მოვიხსნი და ძირითადში მოხვედრის მეტი შანსი გამიჩნდება"*.

დარასელია ამ პრობლემამ იმიტომაც დააფიქრა, რომ მომავალი სეზონი მისთვის გადამწყვეტი იქნება: *"სეზონისთვის "ტორპედო" მომზადებას ასრულებდა, როდესაც ვიზა მომცეს. გუნდში სერგეი პეტრენკომ მიმიყვანა. ჩასვლის დროს კი გიორგი იარცევი დამხვდა, რომელმაც მითხრა, ორმხრივ მატჩში დამიმტკიცე, რაც შეგიძლიაო. ავუხსენი ჩემი ვითარება, რომ მოუმზადებელი ვიყავი. დუბლებში გადამიყვანა და თვენახევარში ძირითადში დაბრუნებას შემპირდა. სამწუხაროდ, სამი თვე დუბლებში მამყოფა. მერე მწვრთნელიც შეიცვალა, რამილ საბიტოვი დაგვინიშნეს და ის უკვე მენდო. ორი თვის წინათ გადამიყვანა ძირითადში და ბოლო ოთხი მატჩიც უნდა მეთამაშა. წელის ტრავმამ ამის შანსი წამართვა, მხოლოდ ბოლო ტურში "ბალტიკასთან" შეცვლაზე, სულ რაღაც სამი წუთი ვითამაშე. მთავარი ისაა, რომ ამ მატჩის შემდეგ საბიტოვმა მითხრა, რომ მომავალ სეზონში ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა. მერე ჩემზე პრესკონფერენციაზეც ისაუბრა, ეს არის დიდი მომავლის მქონე ბიჭი და მომავალ სეზონში ძირითადში იხილავთო. სამწუხაროდ, "ტორპედო" პრემიერლიგას ვერ დაუბრუნდა, მეექვსე ადგილს დასჯერდა. 20 დეკემბრიდან მომზადებას ვიწყებთ და მიზანი მხოლოდ რუსული ფეხბურთის ელიტაში დაბრუნებაა. საბიტოვი ახალგაზრდებზე დაყრდნობას აპირებს და ეს მე ძირითადში მოხვედრის იმედს მაძლევს.*

რაც მთავარია, მოსკოვის "ტორპედო" ძალიან მდიდარი გუნდია. აბა, ვინმე წარმოიდგენს, რომ მისი ბიუჯეტი 15 მილიონი დოლარია? ძალიან კარგი პირობები აქვთ. ვერც ერთი ქართული გუნდი მასთან ახლოსაც ვერ მივა.

თუკი საბიტოვის დაპირება სიტყვებად არ დარჩება, მჯერა, რუსეთში ვითამაშებ. უკვე შევეჩვიე იქაურ ფეხბურთს, ფიზიკურადაც მოვუმატე და ახლა მეტი თამაში მჭირდება. ესეც ჩემზეა დამოკიდებული, ძირითადში ადგილს მწვრთნელი ვერ შემპირდება. ეგაა, რომ რუსისგან განსხვავებით, ქართველს გაცილებით მეტი მონდომება მჭირდება, მწვრთნელს რომ დავუმტკიცო გუნდში ჩემი ყოფნის საჭიროება. სხვათა შორის, თავიდან გუნდში არ მიმიღეს კარგად, მაშინ რუსეთთან ურთიერთობა განსაკუთრებით დაგვეძაბა. თუმცა ბიჭებთან დავახლოვდი, დავმეგობრდი და პრობლემებიც აღარ არსებობს. სხვათა შორის, მილიციაც აღარაა აგრესიული. ქუჩაში ორჯერ გამაჩერეს და როდესაც შეიტყვეს, ფეხბურთელი ვიყავი, ბოდიში მომიხადეს".

გედევან დარასელია იმედოვნებს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახებენ: *"საქართველოდან ისე წავედი, ბევრი არც მიცნობდა. არც მიკვირს, გერმანელი მწვრთნელები ჩემით რომ არ დაინტერესდნენ. ისინი, ელემენტარულად, არც მიცნობენ. იმედი მაქვს, "ტორპედოს" ძირითადში მოვხვდები და მერე მაინც გამიცნობენ"*.

მერაბ მამულაშვილი

ტორპედოს ქართველი ფეხბურთელები: ირაკლი გეფერიძე და გედევან დარასელია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

რობერტო დონადონის ალტერნატივად კარლო ანჩელოტი მოიაზრება

მოსალოდნელი დანიშვნა

დონადონის ანჩელოტი შეცვლის?

დიდია შანსი, რომ გლაზგო იტალიის ნაკრების მწვრთნელის ბოლო თავგადასავალი აღმოჩნდეს

17 ნოემბერს იტალიის ნაკრებს წლის მატჩი აქვს ჩასატარებელი. "სკუადრა აძურა" გასვლით საკვალიფიკაციო შეხვედრას გამართავს გლაზგოში, სადაც პასუხი უნდა გაეცეს მეტად საჭირბოროტო კითხვას - ითამაშებს თუ არა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე. შესაბამისად, სასწორზეა შემოდებული **რობერტო დონადონის** სანაკრებო მომავალიც. იტალიელ ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ არასასურველი შედეგის შემთხვევაში, "დონს" ან თავად მოუწევს განცხადების დაწერა, ან დააწერინებენ.

ფაქტია, რომ იტალიის ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი მეტად არასტაბილურად, შეიძლება [illegible], ულიმლამოდ ჩაატარა. განსაკუთრებით მძიმე [illegible] სტარტი - საშინაო ფრე ლიტვასთან (1:1) და სრული კაპიტულაცია პარიზში (1:3). მართალია, მერე სიტუაცია გამოსწორდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ "სკუადრა აძურის" ბედი დღემდე ბუნდოვანია, შესაძლო სკოტური ფიასკოს შემთხვევაში, მწვრთნელის საკითხს აუცილებლად გაღახედავენ.

დღეს ბევრი აღიარებს, რომ დონადონის დანიშვნა შეცდომა იყო. გავიხსენოთ, რა ვითარებაში მოხვდა ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ეს ის დღეები იყო, როცა "კალჩოპოლის" სკანდალის გამო, იტალიის საფეხბურთო საზოგადოება სრულიად შოკირებული, ფეხბურთის ფედერაცია კი პარალიზებული გახლდათ. მაშინ, "ფედერკალჩოს" დროებით სათავეში ჩაუდგა 76 წლის ადვოკატი **გვიდო როსი**, რომელმაც, თავის მხრივ, თანაშემწედ იტალიის ნაკრებისა და "მილანის" ექსხახევარმცველი **დემეტრიო ალბერტინი** დანიშნა. ალბერტინი დონადონის მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელია, შესაბამისად, დონადონიც სწორედ მისი პროტეჟე გახლავთ. ექსპერტების აზრით, ეს იყო ნაჩქარები და გაუაზრებელი გადაწყვეტილება, რამაც "სკუადრა აძურას" ევრომომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. შესაძლოა, ფეხბურთის თავები ვარაუდობდნენ, რომ **მარჩელო ლიპის** შემდეგ ნაკრები ინერციით გაგრძელებდა სვლას ახალი მწვერვალებისკენ, რომ დონადონის გამოუცდელობა არ იყო მთავარი პრობლემა და ასე შემდეგ...

...მაგრამ სწორედაც რომ პრობლემა აღმოჩნდა. შეიძლება, ამის საპირისპიროდ **იურგენ კლინსმანის** მაგალითი მოვიყვანოთ. დიახ, "კლინსი" ისე დაინიშნა ბუნდესგუნდის მწვრთნელად, არათუ რომელიმე ნაკრებში, უსახელო კლუბშიც კი ერთი დღე არ ჰქონდა ნამუშევარი. მაგრამ სამაგიეროდ, კლინსმანს ჰქონდა ქარიზმა და ავტორიტეტი, ჰქონდა კონცეფცია, თუ რა გზით უნდა წასულიყო გერმანიის ნაკრები...

დონადონის შემთხვევა განსხვავებულია. ის იყო მოკრძალებული "ლივორნოს" დამრიგებელი, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, ისიც ვთქვათ, რომ ეს ტოსკანური კლუბი "დონმა" უეფას თასზე გაიყვანა. თუმცა ნაკრები მაინც სპეციფიკური სამსახურია, მით უმეტეს, იტალიის ნაკრები, სადაც მხოლოდ ვარსკვლავებთან გაქვს საქმე. ამ ვარსკვლავებთან ურთიერთობის აწყობა კი არ არის ადვილი საქმე, თუ საამისო სკოლა არ გაქვს გავლილი.

ექსპერტების უმეტესობა ფიქრობს, რომ დონადონის საუკეთესო ალტერნატივა **კარლო ანჩელოტია**. განსხვავებით **ფაბიო კაპელოსგან**, კარლეტოს არაერთხელ უთქვამს, რომ "მილანიდან" წასვლის შემდეგ სიამოვნებით მოსინჯავდა ძალებს იტალიის ნაკრებში. ანჩელოტის ზურგსუკან უზარმაზარი გამოცდილებაა - "პარმა", "იუვენტუსი", "მილანი"... მან იცის ტიტულების გემო და, რაც მთავარია, ისიც იცის, როგორ უნდა მოიგოს ეს ტიტულები. ანჩელოტი ეხმარებოდა **არიგო საკის**, რომელიც 90-ან წლებში "სკუადრა აძურის" თავკაცი იყო...

კარლოს "მილანთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული. თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია სწრაფად იმოქმედებს, შესაძლებელია, ანჩელოტი მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მაინც დაიბევოს. თუმცა დონადონის ჯერ კიდევ აქვს შანსი. ეს შანსი გლაზგოა. მან უნდა მოუგოს გუნდს, რომელმაც ორჯერ დაამარცხა საფრანგეთი და თან ისე, რომ გოლიც არ გაუშვია, უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია ერთი კონკრეტული, გადამწყვეტი მატჩის წარმატებით დასრულება...

ევრო 2008. შოტლანდია-იტალია, უკრაინა-საფრანგეთი

ან გამარჯვება, ან არაფერი

დომენეკი თავის შეგირდებს მეტოქეთა დაპირისპირების ყურებას უკრძალავს. გუფონი: არ გვეშინია!

ბოლო პერიოდში **რაიმონ დომენეკი** უცნაური კომენტარებითა და ქცევით გვაკვირვებს. როგორც ჩანს, ის დარწმუნდა, რომ იტალიელებზე თავდასხმით იზარალა და ახლა შურისძიების წყურვილი კლავს. მისი უკანასკნელი განცხადება, რომ თავის ფეხბურთელებს შოტლანდია-იტალიის მატჩის ყურებას აუკრძალავს, აპენინურ პრესაში დომენეკის ახალ გამოხდომად აღიქვეს. აი, რა კომენტარს აკეთებს ფრანგების მწვრთნელი უეფას ოფიციალურ ვებგვერდთან საუბარში:

"ჩვენთვის შოტლანდია-იტალიის მატჩი არ არსებობს. ზუსტად ვიცი, სად დგას ტელევიზორები ჩვენს ბაზაზე. შაბათს ყველა მათგანს გამოვრთავ. სახიფათოა, ელოდო შედეგს, რომელიც, შეიძლება, ვერც მიიღო. არ მინდა, ბიჭებმა ხასიათი გაიფუჭონ. ჩვენ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის კიევში და სწორედ ამ მატჩისთვის საკადრისად მომზადებაა საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. მირჩევნია, ფეხბურთელებმა ბანქო ითამაშონ, გლაზგოს მატჩის შედეგი კი მეორე დღეს გაიგონ".

ამ გაუგებარი არგუმენტის შემდეგ დომენეკი უშუალოდ კიევურ მატჩზეც აკეთებს კომენტარს: *"უკრაინის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია, შესაბამისად, მას მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსები აღარ აქვს, იოლ დაპირისპირებას არ უნდა ველოდოთ. მეტიც, შეიძლება, უკრაინელები ახლა უფრო სახიფათონიც იყვნენ. ჩვენთვის ეს მატჩი ნიშნავს ან გამარჯვებას, ან არაფერს, რადგან საფრანგეთსა და შოტლანდიას თითო თამაში დარჩათ ჩასატარებული, იტალიას კი ორი".*

საუბრის ბოლოს კი დომენეკი დარწმუნებით აცხადებს, რომ იტალიის ნაკრები ფრეზე ითამაშებს, რადგან "ეს სწორედ მათი სტილია, მათ სხვანაირად არ შეუძლიათ". ამ სიტყვებზე "სკუადრა აძურის" ნახევარმცველ **მასიმო ამბროზინის** გულიანად ეცინება. მილანელს სწამს, რომ იტალია წარმატებით ჩააბარებს შოტლანდიურ ტესტს: *"უნდა დავარწმუნო ბატონი დომენეკი, რომ გლაზგოში ფრისთვის არ მივდივართ. მისი სიტყვები სასაცილოა. იტალიის ნაკრებს მათემატიკა არ აინტერესებს, ჩვენ ქულებს არ ვითვლით, ჩვენ თითოეულ მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძვით".*

"ჰემპდენ პარკის" მატჩს ოპტიმიზმით ხვდება "აძურის" კიპერი **ჯანლუიჯი ბუფონიც**. ის თანაგუნდელებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს და ურჩევს, ყურადღება არ მიაქციონ პრესას, სადაც საქმეში ჩაუხედავი ხალხი რაღაცეებს "ჩმახავს". ამას გარდა: *"ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს. შიში მაშინ შეიძლება გქონდეს, როცა გამოუცდელი ხარ. იტალიის ნაკრები კი მსოფლიო ჩემპიონია და მინდა, ეს გავახსენო იმათ, ვისაც მოკლე მეხსიერება აქვს. ესეც არ იყოს, დღევანდელ "აძურიში" არიან ფეხბურთელები, რომლებიც სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ. ასე რომ, თუკი ვინმეს უნდა ეშინოდეს, ეს უფრო შოტლანდიაზე ითქმის. თუმცა ეს ის გუნდია, რომელსაც აქვს მტკიცე ხასიათი და ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ეს არ არის შოტლანდიის მეოთხე დივიზიონის კრებული. მე კი, როგორც მეკარე, პირველ რიგში მათ ფორვარდებზე ვიქნები კონცენტრირებული. ვთვლი, რომ მაკფადენი და მილერი მაღალი რანგის თავდამსხმელები არიან".*

შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელ **ალექს მაკლიშს** კი სჯერა, რომ მისი გუნდი მსოფლიო ჩემპიონს არაფერს დაუთმობს და რომ... როგორც "პირველი მერცხალის" კაპიტანი იასონ კვირკველია იტყოდა, "ბიჭები ბრდღვნიან ყველაფერს":

"ჩვენ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს ვეთამაშებით და ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი. დიახ, მათ მეტი აქვთ გამოცდილება, დიახ, ისინი ჩვენზე ძლიერები არიან, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ჩვენ ეს დავამტკიცეთ კიდეც საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრებით. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე არავის სჯეროდა, რომ შოტლანდია ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა და ევრო 2008-ზე მოხვედრის შანსს ბოლომდე შეინარჩუნებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ შეგვიძლია ყველაზე რთული ამოცანების გადაჭრა, და შეგვიძლია, რომ განვეწყოთ ერთი, თუნდაც ძალიან ძლიერი მეტოქის დასამარცხებლად, განვეწყოთ და დავამარცხოთ კიდეც" - იქადნება მაკლიში BBC-სთან ინტერვიუში.

რაიმონ დომენეკი იტალიას ისევ კბენს

მილანური ამბები: ამაური 17 მილიონად, გურკუფი მიდის, ემერსონი ვარჯიშობს

"კონტროკამპოს" ინფორმაციით, "მილანი" "პალერმოს" ფორვარდ **კარვალიო ამაურის** ყიდულობს. იგივე წყარო ამტკიცებს, რომ "როსონერი" სიცილიელებს 17 მილიონ გირვანქას სთავაზობს. "მილანში", თურმე, მიაჩნიათ, რომ ბრაზილიელი ამაური მისივე თანამემამულე **ალეშანდრე პატოსთვის** იდეალური პარტნიორი იქნება. "კონტროკამპოს" ვარაუდით, ტრანსფერი, შეიძლება, ამ ზამთარსვე განხორციელდეს.

"ჩენელი" კი იტყობინება, რომ "მილანი", შეიძლება, **იოან გურკუფმა** დატოვოს. ფრანგ ნახევარმცველს სამშობლოდან ერთ-ერთი იქაური გრანდი შეეხმიანა, თუმც კლუბის ვინაობას არ ასახელებენ. 21 წლის გურკუფს ამ სეზონში მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული. ის აცხადებს, რომ მზადაა, "მილანის" ძირითადში მოსახვედრად იბრძოლოს, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, სხვა წინადადებებიც განიხილოს.

ამასობაში კი **ემერსონმა** გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა. როგორც თავად ფეხბურთელი აცხადებს, უკვე შეუძლია, მომავალ უიქენდზე "კალიარის" წინააღმდეგ ითამაშოს.

სერია A, როგორც დაგეგმილი იყო...

გუშინ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო სხდომა გაიმართა, რომელზეც ბოლოხანს მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებსა და კრიზისიდან გამოსვლის გზებზე იმსჯელეს. ერთ-ერთ საკითხად განიხილებოდა ჩემპიონატის (ყველა დონეზე) გარკვეული ვადით შეჩერებაც. თუმცა ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს. ძალაში დარჩა ადრე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ამ უიქენდზე სერია B-სა და C-ში მორიგი ტურის შეხვედრები გადადებულია. რაც შეეხება სერია A-ს, მე-13 ტური დაიქმულ დროს, 24-25 ნოემბერს გაიმართება.

ბოჭი ჯენოასთან

"რომას" კაპიტანი **ფრანჩესკო ტოტი** გამოჯანმრთელდა და მზადაა, მომავალ ტურში (სტუმრად, "ჯენოასთან") გუნდს ძველებურად უკაპიტნოს. "პუპონემ" გუშინ ჯგუფთან ერთად ივარჯიშა. შეგახსენებთ, რომ "ჯალოროსის" კაპიტანი ოქტომბერში, "სპორტინგთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დაშავდა.

ვიერის ახალი კონტრაქტი

იტალიური პრესის ცნობით, **კრისტიან ვიერი** ამ დღეებში "ფიორენტინასთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. 34 წლის ფორვარდი ბოლო პერიოდში კარგ ფორმაშია, რაც **ჩეზარე პრანდელის** აფიქრებინებს, რომ ის გუნდს მომავალ ჩემპიონატშიც გამოადგება. ვიერის მოქმედი ხელშეკრულება სეზონის ბოლოს ინურება. "ფიორენტინის" სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო** მას კიდევ ერთწლიან კონტრაქტს შესთავაზებს.

იუვენტუსს საპატა აინტერესებს

"ITALIANOSFUTBOLIS" ინფორმაციით, "იუვენტუსს" **კრისტიან საპატა** მოსწონოს. კოლუმბიელი მცველი "უდინეზეში" თამაშობს. "იუვეს" გარდა, მისით "მილანი" და "ინტერიც" აირიან დაინტერესებულნი. მიმომხილველთა აზრით, "ბებერ ქალბატონს" გარკვეული უპირატესობა აქვს. საქმე ისაა, რომ "იუვენტუსსა" და "უდინეზეს" მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობაა. უდინელები აცხადებენ, რომ საპატა გუნდს ზაფხულამდე არ დატოვებს, მერე კი ყველაფერი მოლაპარაკებების ამბავიაო...

მორატი: კაკას იბრა სჯობია

მასიმო მორატი აცხადებს, რომ "ოქროს ბურთს" **კაკაზე** მეტად **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** იმსახურებს. ცნობილია, რომ "მილანის" ბრაზილიელი ფლეიმეიქერი "ფრანს ფუტბოლის" მიერ დანესებული ჯილდოს ნომერ პირველი ფავორიტია და მიაჩნიათ, რომ 2 დეკემბრისთვის, როცა ამ ჯილდოს გადაცემის ცერემონიალი უნდა გაიმართოს, გასარკვევი არც არაფერია. თუმცა "ინტერის" პრეზიდენტს მიაჩნია, რომ იბრაჰიმოვიჩზე წინ კაკას დაყენება უსამართლობაა. მორატი თვლის, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ზლატანი მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდია და "ოქროს ბურთიც" მას უნდა გადაეცეს. ცნობისთვის, სერია A-ს წარმომადგენელს ეს პრიზი 17-ჯერ აქვს მიღებული, მაშინ, როცა პრიმერა-დივიზიონელებმა 12-ჯერ გაიმარჯვეს, ბუნდესლიგელებმა 9-ჯერ, პრემიერლიგელებმა კი მხოლოდ 5-ჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექს მაკლიში თბილისიდან ძალიან განბილებული და იმედგაცრუებული კი გაბრუნდა, მაგრამ ის, რაც მის გუნდს საქართველოში დაემართა, უკვე დაივიწყა და ახლა მხოლოდ მომდევნო თამაშზე ფიქრობს. მომდევნო თამაში კი გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი ჩვეულებრივი საფეხბურთო მატჩი: ხვალ, გლაზგოში, შოტლანდიელები იტალიის ნაკრებს მასპინძლობენ და გამარჯვების შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატზე გავლენ, მსოფლიოს ჩემპიონებს კი ფინალური ეტაპის მიღმა დატოვებენ. გუშინდელ ნომერში იტალიური მხარის ვნებებზე ვწერდით, დღეს კი სქოთების დამრიგებლის ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც გერმანულმა „კიკერმა“ გამოაქვეყნა.

ალექს მაკლიში და შოტლანდია იტალიასთან მატჩისათვის ირაზმებიან

ინტერვიუ ალექს მაკლიშთან

ღმერთს ვთხოვ გამარჯვებას

საქართველოსთან მარცხი დავიწყებულია, ახლა მთელი შოტლანდია ხვალინდელი მატჩით ცხოვრობს...

- მისტერ მაკლიშ, თქვენი აზრით, რა არის მთავარი იმისათვის, რომ შოტლანდიამ იტალია დაამარცხოს, რა სჭირდება და რას უსურვებთ თქვენს გუნდს პირველ რიგში?

- ბიჭებს პირველ ყოვლისა სრული და 100 პროცენტიანი კონცენტრაციისკენ მოვუწოდებ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს იტალიის ნაკრებთან წარმატების მიღწევის ერთ-ერთი საიდუმლოა. მთავარია, დაცვაში უშეცდომოდ ვითამაშოთ. თუ შაბათსაც ისე ვითამაშებთ, როგორც ამ ციკლში „ჰემპდენ პარკზე“ ვთამაშობდით, მაშინ იტალიელებს მათ ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი მატჩი მოელით. შემიძლია, წინასწარ გაგიმხილოთ, რომ მაინცდამაინც შემტევ ტაქტიკას არ ავირჩევთ.

- კი მაგრამ, შოტლანდიას ხომ მხოლოდ მოგება აწყობს?

- ფრის შემთხვევაშიც გვრჩება გარკვეული შანსი: საფრანგეთმა უკრაინაში უნდა წააგოს. მაგრამ ჩვენ იტალიასთან მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, სხვისი იმედი ვერ გვქნება, საკუთარი ბედი თვითონვე უნდა გადავწყვიტოთ. იტალიასთან რომც წავაგოთ, ხალხს მაინც არასდროს დაავიწყდება ის, რასაც შოტლანდიამ ამ შესარჩევ ციკლში მიაღწია. სიკვდილის ჯგუფში ჩვენ დიდხანს ვლიდერობდით და ფავორიტებიც მაგრად ვანერვიულეთ. ახლა კი, საბოლოო სენსაციას მხოლოდ ერთი ნაბიჯი გვაშორებს. რაც ყველაზე სასიამოვნოა, შოტლანდიას ძალიან ახალგაზრდა გუნდი ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი ჩვენია.

- მაგრამ თუ საბოლოოდ მესამე ადგილზე გახლავთ, იმედგაცურება მაინც ძალიან დიდი იქნება...

- ჰო, მაგრამ წილისყრის შემდეგ, ულამაზეს სიზმარშიც კი ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ ბოლო მატჩში, იტალიელებთან, ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის გადამწყვეტი ბრძოლა გვექნებოდა.

- იტალიას, ევროპის ჩემპიონატზე ვერმოხვედრის შემთხვევაში, უფრო ბევრი აქვს დასაკარგი, ვიდრე შოტლანდიას. იტალიის ნაკრები საგზურის გარდა საკუთარი პრესტიჟისთვის იბრძვის და ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ფაქტორი მეტოქეს ორჯერ უფრო გააძლიერებს?

- რაც არ უნდა მონდომებული, მოტივირებული და გააფთრებული იყოს იტალია, ჩვენ კარგად გვესმის, რომ მსოფლიოს ჩემპიონს ვეთამაშებით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ იტალიელი ფეხბურთელებიც ადამიანები არიან და მათი დამარცხება შესაძლებელია. საკმარისია, სწრაფი გოლი გავიტანოთ და ავანერვიულოთ, რომ დარწმუნებული ვარ, მდგომარეობის გამოსწორება გაუჭირდებათ. ერთიც ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ანგარიშს გავხსნით. მას მერე, რაც ჩვენ საფრანგეთის ნაკრებს ორივე თამაში მოვუგეთ, შოტლანდია არავისთან აღარ არის აუტსაიდერი. იტალიელებმაც ძალიან კარგად იციან, რომ შოტლანდია გლაზგოში ყოველთვის ძალიან ძლიერია.

- არიან კი თქვენი ფეხბურთელები საკმარისად დისციპლინირებულნი იმისათვის, რომ კონტროლი არ დაკარგონ, უხეშობები არ დაიწყონ და საბოლოოდ კაცნაკლულები არ დარჩნენ?

- ჩვენ ბრიტანულ სტილში ვითამაშებთ, ანუ, შოტლანდიის ნაკრები ზომიერად აგრესიული იქნება და მოედანზე მიმდინარე პროცესებს გააკონტროლებს. მაგრამ დიდი სიფრთხილე გვმართებს, ბიჭებმა არ უნდა მიაქციონ ყურადღება რა ხდება მათ გარშემო, ვინ რას ამბობს ან ვინ რას აკეთებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იტალიელები პროფესიონალი სიმულანტები არიან. რომელიმე ჩვენიანის მოედნიდან გაძევება ყველაფრის დასასრული იქნება, რადგან კაცნაკლული გუნდი ყოველთვის კონტროლს კარგავს.

- იტალიის ნაკრებს რა სუსტი წერტილები აღმოუჩინეთ?

- ფაქტია, რომ ინდივიდუალური ოსტატობით ნამდვილად გვჯობიან. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ იტალიის ნაკრებს ჩვენნაირ სტილში მოთამაშე გუნდებთან წარმატების მიღწევა ყოველთვის უჭირდა. ახლაც კარგად მახსოვს მსოფლიოს 2006 წლის მატჩები, იტალია-აშშ და იტალია-ავსტრალია, რომელთა მოგებაც „აძურის“ ძაღლან გაუჭირდა. ჩემს შეგირდებს ორივე ეს შეხვედრა ვაყურებინე და ისინიც უფრო ოპტიმისტურად განეწყვნენ. მოკლედ, ღმერთს ვთხოვ, რომ ეს თამაში მოგვაგებინოს!

- საგზურის მოპოვება პირადად თქვენი კარიერის პიკი იქნება?

- არა! თუ ევროპის ჩემპიონატზე გავალთ, თამამად შემიძლია, რომ უშუალოდ ფინალურ ეტაპზეც სენსაციაზე ვიოცნებო.

გოტფრიდ ლენცი

ვალენსიელთა ახალმა მწვრთნელმა **რონალდ კუმანმა ტრანსფერებზე მუშაობა დაიწყო**

ვალენსია

ბარახას ბედი გაურკვეველია

კუმანი შემადგენლობის გაძლიერებას ითხოვს

რონალდ კუმანი "ვალენსიის" ექიმების ვერდიქტს ელოდება. მან ჯერაც არ იცის, შეძლებს თუ არა, **რუბენ ბარახა** მომდევნო დღეებში ვარჯიშს. "ღამურების" ვეტერანმა ნახევარმცველმა გუშინდელი ვარჯიში ნაადრევად დატოვა. სპარინგ მატჩისას რუბენს **ედუ** ძალიან უხეშად ეთამაშა და ტრავმა მიაყენა. კუმანს იმედი ჰქონდა, რომ მისი შეგირდი, ექიმების დახმარების წყალობით, რამდენიმე წუთში დაბრუნდებოდა მოედანზე. თუმცა ჰოლანდიელის ოპტიმიზმი საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა. ექიმებმა ფეხბურთელი უმალ სამედიცინო კაბინეტში გააქანეს. საგულდაგულო შემოწმების შემდეგ, მას აქილევსის მყესის ტრავმა დაუდგინეს. ჯერ-ჯერობით უცნობია, რამდენი ხანი დასჭირდება ბარახას სრულ რეაბილიტაციას.

ამასობაში, კუმანმა სხვა საქმეებისთვისაც მოიცალა. "ვალენსიის" დამრიგებელმა ხელმძღვანელობას შემადგენლობის გაძლიერების საკითხი დაუყენა. მისი აზრით, ახალი სისხლი ყველაზე მეტად ნახევარდაცვას სჭირდება. კუმანმა კონკრეტული კანდიდატიც დაასახელა. მისი რჩეული წარმოშობით ბრაზილიელი, ნატურალიზებული **მეჰმეთ აურელიოა**. ის "ფენერბაჰჩეს" ღირსებას იცავს. 30 წლის მეჰმეთი თურქულ ლიგაში 2001 წელს მოხვდა. მაშინ მან "ტრაბზონსპორთან" გააფორმა კონტრაქტი. საკმაოდ ტექნიკურმა ნახევარმცველმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ თურქული გრანდების ყურადღება უმალ მიიპყრო. მას "ფენერბაჰჩემ" მრავალმილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. სტამბოლელები კუმანის ინიციატივას საკმაოდ მტკივნეულად შეხვდნენ. ისინი ამთავითვე აცხადებენ, რომ აურელიოს გასხვისებას არაფრის დიდებით დაეთანხმებიან. ასეთი კატეგორიულობის მიუხედავად, ვალენსიელები ოპტიმიზმს არ ჰკარგავენ. კუმანს სჯერა, რომ საწადელს იოლად მიაღწევს. როგორც ჩანს, ბატონ რონალდს ფეხბურთელის პოზიცია ამხნევებს. აურელიო კარიერის პრიმერა დივიზიონში გაგრძალების პერსპექტივით აღფრთოვანებულია. თურქული "სფორის" ინფორმაციით, მან კლუბის ხელმძღვანელობას კატეგორიულად დაუყენა საკითხი, რათა მოლაპარაკებებში ჩაერთონ და "ვალენსიის" შეფების წინადადება მოისმინონ. მიმომხილველების პროგნოზით, ტრანსფერის გაჩარხვა მართლაც არ იქნება რთული და მეჰმეთ აურელიო "მესტალიაზე" იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე გადაბარგდება. ამ პროგნოზს "ღამურების" მიერ დასახელებული სავარაუდო სატრანსფერო თანხა მეტ დამაჯერებლობას სძენს. **ხუან ბაუტისტა სოლერმა** "ფენერბაჰჩეს" ექვსი მილიონი ევრო შესთავაზა. რა თქმა უნდა, ეს არ არის კოლოსალური თანხა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არც მეჰმეთ აურელიოა **ზინედინ ზიდანი**, რომ მის სანაცვლოდ ათეულობით მილიონი გადაიხადონ.

ატლეტიკოს საიანვრო გეგმები

"ატლეტიკო" **ჯონი ჰეიტინგათი** დაინტერესდა. "აიაქსს" ახალგაზრდა მცველის გაყიდვა არ სურს. ესპანური სააგენტოები იუწყებიან, რომ ჰეიტინგას აგენტი მადრიდელებს ოთხწლიანი კონტრაქტის პირობებზე მოურიგდა. ფეხბურთელი ესპანეთში სეზონის ბოლოს უნდა გაემგზავროს. გასულ ზაფხულს ჰეიტინგას "ჩელსი" აკვირდებოდა. "აიაქსის" მაშინდელი თავკაცი **ჰენკ თენ კეიტი** ახლა ლონდონელების მეორე მწვრთნელია. ასე რომ ამ ფეხბურთელის საკითხი დღის წესრიგიდან სულაც არ მოხსნილა. უფრო პირიქით, იანვრის ბაზარზე "არისტოკრატების" გააქტიურებასაც უნდა ველოდოთ.

"ატლეტიკოს" მეორე სამიზნეა რომაელი მცველი **ამანტინო მანსინი**. ბრაზილიელს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს, მაგრამ მან პირობების განხილვაზე უარი თქვა. მანსინის მიაჩნია, რომ უკეთეს ანაზღაურებას იმსახურებს. გასულ კვირას მადრიდელთა სპორტული დირექტორი **ხესუს გარსია პიტარკი** "სპორტინგი"-"რომას" ჩემპიონთა ლიგის მატჩს (2:2) დაესწრო. მას, რა თქმა უნდა, მანსინის ასპარეზობა აინტერესებდა. კიდევ ერთი გარემარბი, რომელმაც "როხიბლანკოს" ყურადღება მიიპყრო, პორტუელი **რიკარდო კვარეშმაა**. ამ ბიჭს "ბარსელონაც" ეპატიჟება. "ატლეტიკოსა" და "ბარსელონის" დუელში კატალონიელები უსიტყვო ფავორიტებად ითვლებიან.

არსენალის ორი ფრანგული ტრანსფერი

"არსენალს" მონაკოელი თავდამსხმელის **სერჟ გაკპეს** შეძენა სურს. 20 წლის ფრანგ ფეხბურთელს, დიდი ხანია, აკვირდებიან. **არსენ ვენგერს** ეს ბიჭი ძალიან მოსწონს, მაგრამ მის შეძენას არა იანვარში, არამედ სეზონის ბოლოს აპირებს. მოსიე ვენგერმა პრინსიპატელთა კიდევ ერთი ფეხბურთელი ამოიღო მიზანში: "მონაკოს" სათადარიგო გუნდის ნახევარმცველი **ჟოან მოლო**. "დეილი მეილის" ცნობით, "მეთოფეები" ამ 18 წლის ყმაწვილს იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე იყიდიან. მოლო საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. მან "ლივერპულის", "ტოტენჰემის", "ევერტონისა" და "ინტერის" ყურადღებაც მიიპყრო.

საბერძნეთი მოთელვას აპირებს

ევროპის ჩემპიონმა საბერძნეთმა მალტასა და უნგრეთთან დასკვნითი მატჩებისათვის 21 კაციანი შემადგენლობა დაასახელა. **ოტო რეჰაგელმა** არ გამოიძახა გამოცდილი თავდამსხმელი **ანგელოს ხარისტეასი**. სამაგიეროდ, მის ნაცვლად პანათინაიკოსელ **ვანგელის მანციოსს** უხმო. ამ ბიჭმა ნაკრებში სადებიუტო მატჩი თბილისში ჩაატარა და მას მერე ეროვნულ გუნდში მხოლოდ ექვსჯერ ითამაშა. ბერძნებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური უკვე მოიპოვეს. მათთვის დარჩენილ შეხვედრებს მხოლოდ საოქმო დანიშნულება აქვთ.

მეკარეები - ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (არისი);

მცველები - გურკას სეიტარიდისი (ატლეტიკო), მიხალის კაპსისი (აპოელ), სოტირიოს კირიაკოსი (აინტრახტი), იანის გუმასი (პანათინაიკოსი), ლუკას ვინტრა (პანათინაიკოსი), ტრაიანოს დელასი (აეკ), ვასილის ტოროსიდისი (ოლიმპიაკოსი), ხრისტოს პაცაკოლუ (ოლიმპიაკოსი), ნიკოს სპიროპულოსი (პანიონიოსი);

ნახევარმცველები - სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი), ანგელოს ბასინასი (მალიორკა), ალექსანდროს ციოლისი (პანათინაიკოსი), გეიორგიოს კარაგუნისი (პანათინაიკოსი), კოსტას კაცურანისი (ბენფიკა);

თავდამსხმელები - დიმიტრიოს სალპიგიდისი (პანათინაიკოსი), ვანგელის მანციოსი (პანათინაიკოსი), ფანის გეკასი (ლევერკუზენი), იოანის ამანატიდისი (აინტრახტი), გეიორგიოს სამარასი (მანჩესტერ სიტი), ნიკოს ლიბეროპულოსი (აეკ).

თურქეთი: ხუთი დებიუტანტით ნორვეგიაში

თურქეთის ნაკრების თავკაცმა **ფათიჰ თერიმმა** ნორვეგიასთან ხვალინდელი უპრინციპულესი მატჩისთვის 24 ფეხბურთელი გამოიძახა. გასაკვირი ის არის, რომ სიაში ხუთი დებიუტანტია. თერიმმა უარი თქვა "ბეშიქთაშის" გამოცდილ მცველებზე, **იბრაჰიმ თორამანსა** და **იბრაჰიმ უზულმეზზე**, რაკი მათმა გუნდმა "ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგაში 0:8 წააგო. ნაკრებში პირველად ითამაშებენ **სედათ ბაირაქი, იბრაჰიმ ქასი, გოქან გონული, ჰაირეთინ იერლიქაია** და **სემიჰ სენთურქი**. თურქებს 18 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე მყოფ ნორვეგიას ორით ჩამორჩებიან.

მეკარეები - რუშთუ რექბერი(ბეშიქთაში), ვოლქან დემირელი (ფენერბაჰჩე), სერქან ქირინთილი (ანკარაგიუჯუ);

მცველები - სერვეთ ჩეთინი (გალათასარაი), ჰაირეთინ იერლიქაია (სივასფორი), სედათ ბაირაქი (სივასფორი), დენიზ ბარისი (ფენერბაჰჩე), გოქან გონული (ფენერბაჰჩე), იბრაჰიმ ქასი (ბეშიქთაში), ემრე ასიქი (ანკარასფორი);

ნახევარმცველები - არდა თურანი (გალათასარაი), მეთმეთ აურელიო (ფენერბაჰჩე), იუსუფ შიმშექი (დენიზლისფორი), გიოქდენიზ კარადენიზი (ტრაბზონსფორი), ჰამით ალთინთოფი (ბაიერნი), ემრე ბელოზოღლუ (ნიუკასლი), ილდირაი ბაშთურქი (შტუტგარტი), თუნჯაი სანლი (მიდლსბრო);

თავდამსხმელები - ჰაქან კადირ ბალთა (გალათასარაი), მეჰმეთ ილდიზი (სივასფორი), სემიჰ სენთურქი (ფენერბაჰჩე), ნიჰათ ქავეჩი (ვილიარეალი), ფათიჰ თექე (ზენიტი), სერჰათ ნიაზი აქინი (ანდერლეხტი).

პარაგვაელთა ჩაშლილი მზადება

ხვალ პარაგვაი ეკვადორთან მუნდიალის შესარჩევ მატჩს გამართავს. ოთხშაბათს კი ჩილეს ესტუმრება. საბრალო პარაგვაელებს დაძაბული კვირა ჰქონდათ. ასუნსიონის გარეუბან იპანში მათ საწვრთნელ ბანაკს ქარიშხალმა გადაუარა. ბაზას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. ორი დღის განმავლობაში ფეხბურთელები უშუქოდ იყვნენ, მინდორი დატბორილი იყო და ვარჯიში არ ხერხდებოდა. ამ შემთხვევამ ფეხბურთელებს გვარიანად წაუხდინა ხასიათი. მათ პრობლემებს ისიც ართულებს, რომ ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ბენფიკელი თავდამსხმელი **ოსკარ კარდოსო**, ხოლო წამყვანი მცველის, **ხულიო სესარ კასერესის** (ის მექსიკური უნალის ღირსებას იცავს) თამაშის საკითხი ბოლო მომენტში გადაწყდება.

ორი გადადგომა არგენტინაში

გუშინ უმწვრთნელოდ დარჩა ორი არგენტინული კლუბი. "კოპა სუდამერიკანიდან" სენსაციური გავარდნის შემდეგ (ორი მატჩის ჯამში არგენტინულ "არსენალთან" 2:4) "რივერ პლეიტის" თავკაცმა **დანიელ პასარელამ** ქუდი დაიხურა და წავიდა. ის "მილიონარიოსში" ერთი წლის წინ დაინიშნა. მისი შეგირდები მიმდინარე აპერტურის საჩემპიონო მარათონს დიდი ხნის წინ გამოეთიშნენ, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ პასარელას გუნდმა ლიბერტადორესის თასის ნლევანდელ გათამაშებაში გაიმარჯვა. თანამდებობა დატოვა "ველეს სარსფილდის" მექსიკელმა თავკაცმა **რიკარდო ლავოლპემაც**. ბოლო ერთ წელიწადში ის მეორე კლუბს გამოეთხოვა. ერთი წლის წინ ლავოლპე "ბოკა ხუნიორსიდანაც" წავიდა. მან ამ კლუბში მხოლოდ ოთხი თვე გაატარა.

სერხიო რამოსი რეალის ერთ-ერთი ლიდერი გახდა

რეალი

რამოსის ახალი კონტრაქტი

"რეალი" **სერხიო რამოსს** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. ახალგაზრდა მცველს მოქმედი ხელშეკრულების პირობები არ აკმაყოფილებდა. სამეფო კლუბმა გადაწყვიტა, მისი წლიური ანაზღაურება 3.5 მილიონ ევრომდე გაზარდოს. რამოსი გუნდის ერთ-ერთ ვიცე-კაპიტნად გამოაცხადდება. ის ამ პრივილეგიას **მიჩელ სალგადოს** ჩამოართმევს და სტატუსით **რაულს, იკერ კასილიასსა** და **გუტის** გაუთანაბრდება. "რეალის" პრეზიდენტი რამონ კალდერონი იმედოვნებს, რომ რამოსთან ურთიერთობას უმოკლეს ხანში მოაგვარებს. ამ ფეხბურთელს "მილანმა" დაადგა თვალი. ერთი კვირის წინ "როსონერიმ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ სერხიო რამოსის შეძენა სურდა. მადრიდელთა რეაქციამ არ დააყოვნა. კონტრაქტის სხვა დეტალები უახლოეს დღეებში გახმაურდება.

ფრანგული სააგენტოები საინტერესო ინფორმაციას ავრცელებენ - ხოსე მარია გუტიერესმა ერთ დღეში 200 ათასი გირვანქა დახარჯაო. რამდენიმე დღის წინ გუტი და მისი საცოლე **არანჩა დე ბენიტო** მონაკოში გაემგზავრნენ. მათ ახალი სახლისათვის ავეჯის შეძენა სურდათ. გუტიერესები სახლს კუნძულ იბიზაზე აშენებენ. ფრანგმა მიმომხილველებმა ხოსე მარიასა და მისი მეგობრის ქმედება **დევიდ** და **ვიქტორია ბექჰემების** ექსტრავაგანტულობას შეადარეს. იქვე გაიხსენეს, რომ ბექჰემის "რეალში" ყოფნისას გუტი დევიდის თითქმის იდენტურ ვარცხნილობას ატარებდა.

ხავიერ სავიოლა უარყოფს ინფორმაციას, თითქოს "რეალში" თავს არაკომფორტულად გრძნობდეს. "ბარსელონის" ყოფილმა თავდამსხმელმა მადრიდელთა ძირითადში დამკვიდრება ვერ მოახერხა. **ბერნდ შუსტერი** მას გამუდმებით თადარიგში ამყოფებს. სავიოლა ამბობს, რომ ის პოზიტიურადაა განწყობილი: *"ვთამაშობ გუნდში, სადაც უამრავი ვარსკვლავია. "რეალიდან" წასვლა აზრადაც კი არ მომსვლია."*

სამეფო კლუბზე საუბარს სატრანსფერო ამბით დავასრულებთ. მადრიდელები "ვასკო და გამის" ნახევარმცველ ფილიპ კოუტინიოთი დაინტერესდნენ. ეს ბიჭი 16 წლისაა. მას ბარსელონელ **ლეო მესის** ადარებენ. **კოუტინიო** "რეალთან" კონტრაქტს მომავალ კვირაში გააფორმებს. ზაფხულამდე ის ბრაზილიაში დარჩება და ესპანეთს მომავალი სეზონიდან მიაშურებს.

სამხრეთი აფრიკა: გაფიცულები იმუქრებიან

ორიოდე დღის წინ გაუწყეთ, რომ სამხრეთ აფრიკაში ორი სამუნდიალო სტადიონის აშენება ვერ ესწრება. ერთ-ერთია დურბანის **მოზეს მაბიდას** სახელობის არენა. ერთი კვირის წინ მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და შრომის პირობების გაუმჯობესება მოითხოვეს. მათ ხელფასის მომატება სურთ. გუშინწინ მუშები გაფიცვით არ დაკმაყოფილდნენ და ქალაქის მუნიციპალიტეტთან საპროტესტო აქცია გამართეს. გუშინ მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელმა მორიგი შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა. თუ მუშათა მოთხოვნები უმოკლეს დროში არ დაკმაყოფილდება, დურბანელთა აქციას სხვა სტადიონებზე მომუშავე ადამიანებიც შეუერთდებიან. ეს კი სამშენებლო სამუშაოების პარალიზებას გამოიწვევს. 2010 წლის მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **დენი ჯორდაანი** ირწმუნება, რომ კომპრომისის მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებს. პროფკავშირები მოითხოვენ, მინიმალური ანაზღაურების გაზრდას საათში 1.62 დოლარამდე, აგრეთვე ყოველთვიური პრემიის გაზრდას 222 დოლარამდე. მდგომარეობას ართულებს ის, რომ 25 ნოემბერს დურბანში 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა უნდა გაიმართოს. ამ ქალაქში ფიფას 3000 დელეგატს ელოდებიან.

ბექჰემი და არმანი დაქორწილდნენ

დევიდ **ბექჰემმა** მორიგი სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა. ამიერიდან ის **ჯორჯო არმანის** მოდის სახლთან ითანამშრომლებს. კონრაქტის ხანგრძლივობა უცნობია. "დეილი მეილის" ცნობით, გალაქტიკო 20 მილიონ გირვანქას მოიხვეჭს. არმანისთან თანამშრომლობა ბექჰის მენეჯერების წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ინგლისელი მიმომხილველები წერენ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბექჰემის არასაფეხბურთო შემოსავლები 28 პროცენტით შემცირდა. მენეჯერთა ამოცანა იყო იმის დამტკიცება, რომ დევიდ ბექჰემი ჯერ კიდევ ღირებული ბრენდია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ტრავმების გამო არა ერთი მატჩი გაუცდა, ევროპიდან ამერიკაში გადაბარგდა და ისევ ტრავმების გამო "გალაქსიში" უფერული დებიუტი გამოუვიდა. ბექჰემს სარეკლამო კონტრაქტები აკავშირებს "ადიდასთან", "პეპსისთან", "მოტოროლასა" და პარფიუმერულ კომპანია "კოტისთან", რომელიც მისი და **ვიქტორიას** სახელობის სუნამოს უშვებს. იმასაც შეგახსენებს, რომ ბექზის კვირეული ხელფასი 500 ათას გირვანქას შეადგენს. ის მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია.

ინგლისის ნაკრები

ფეხბურთელები მაკლარენის ბედს ვერ გადაწყვეტენ

როგორ შეუძლია აბრამოვიჩს რუსეთის ნაკრებისათვის განკუთვნილი 2 მილიონის უკეთ დახარჯვა...

თუ ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავა, **სტივ მაკლარენს** ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. საეჭვოა, საფეხბურთო ასოციაციამ მას თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზოს. მაგრამ ამბობენ, რომ მაკლარენს ნაკრების ლიდერები უჭერენ მხარს. იმასაც ამბობენ, რომ შესარჩევი ტურნირის დასრულებისთანავე ისინი ასოციაციაში მივლენ და მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელებას შეეცდებიან. **მაიკლ ოუენი** ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. **სტივ ჯერარდის** აზრით, მწვრთნელის დანიშვნა და გათავისუფლება ფეხბურთელების კომპეტენციაა არ არის. არც ოუენს და არც ჯერარდს არაფერი სმენიათ იმის შესახებ, თითქოს ფეხბურთელებს ასოციაციაში მისვლა ჰქონდეთ დაგეგმილი. მაკლარენის ბედი ხვალ, თელ ავივში გადაწყდება. თუ რუსეთი ისრაელის ნაკრებს დაამარცხებს, ინგლისი-ხორვატიის ოთხშაბათის მატჩს აზრი დაეკარგება.

რუსების ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შემთხვევაში, **რომან აბრამოვიჩი** თითოეულ ფეხბურთელს 100 ათას გირვანქას გადასცემს. მას 2-მილიონიანი საპრიზო ფონდი აქვს დანესებული. "ჩელსის" ცენტრალური მცველი **ტალ ბენ ჰაიმი** ამბობს, ყველაფერს ვიღონებ, რომ პრეზიდენტს ეს თანხა არ დაეხარჯოსო. თუ ბენ ჰაიმი პირობას შეასრულებს, მადლობას ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები ეტყვიან. **ჯო კოული** კი მის შვებულებას დააფინანსებს. მთავარია, რუსეთმა ისრაელში ქულები დაკარგოს.

"სანმა" არ დაიზარა და აბრამოვიჩს 2 მილიონის დახარჯვის ალტერნატიული ვარიანტები შესთავაზა. პირველი - უყიდეთ ოთხშაბათს "უემბლიზე" მისულ 90 ათას მაყურებელს თითო ბურგერი, სასმელი და მატჩის პროგრამა; მეორე - შეიძინეთ 60 ჰამერი; მესამე - იქირავეთ ლონდონის უძვირფასეს კვარტალში, პარკ სტრიტზე ფეშენებელური სახლი მთელი წლით; და თუ ეს ვარიანტიც არ დაგაინტერესებთ, "მიდლსბროს" თავდამსხმელ **ჟერემი ალიადიერს** გაუფორმეთო კონტრაქტი. ხვალ ისრაელი-რუსეთის მატჩს "ჩელსის" წარმომადგენლობით დელეგაცია დაესწრება. თელ ავივში იქნებიან აბრამოვიჩი და ავრაამ გრანტი. ეს უკანასკნელი ისრაელის ნაკრების ყოფილი დამრიგებელია და ადვილი მსახვედრია, ვის უქომაგებს.

სტივ მაკლარენს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე გასვლა გადაარჩენს

ჟოზე მოურინიო და მისი ასისტენტი სტივ კლარკი: ისინი, შეიძლება, კატალონიაში ვიხილოთ

ესპანური სააგენტოები **ჟოზე მოურინიოს** "ბარსელონაში" დანიშვნას უნინასწარმეტყველებენ. გასულ უქმეებზე კატალონიელები "ხეტაფესთან" დამარცხდნენ. ამ წაგებამ **ფრანკ რაიკაარდის** პოზიციები საგრძნობლად შეასუსტა. ბარსელონელთა პრობლემებზე არა ერთი მასალა შემოგთავაზეთ. გუშინდელმა "მარკამ" გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. კითხვაზე, ვის ისურვებდით მწვრთნელად რაიკაარდის დათხოვნის შემთხვევაში, ფანების უმრავლესობამ მოურინიოს დაუჭირა მხარი. ჟოზეს კანდიდატურას ემხრობა "ბარსელონისა" და "ჩელსის" ყოფილი ვარსკვლავი **ალბერტ ფერერიც**. ის ამბობს, რომ თუ რაიკაარდი თანამდებობას დატოვებს, მის ნაცვლად ძლიერი პიროვნება უნდა დაინიშნოს. ფერერი ასეთად მოურინიოს მიიჩნევს.

"ბარსელონაში" ტრანსფერზე ალაპარაკდა "ჩელსის" გოლკიპერი **პეტრ ჩეხიც**. მან ლონდონელებთან ახალი კონტრაქტი თებერვალში გააფორმა. ხელშეკრულება 2010 წლის ივნისში იწურება. 25 წლის მეკარემ "მირორს" განუცხადა, რომ ლონდონში ძალიან ბედნიერია, მაგრამ თუ კატალონიელები თანამშრომლობას შესთავაზებენ, მათ წინადადებას აუცილებლად განიხილავს. "ბარსელონა" ჩეხის ოცნების კლუბია. ამიტომ ამ ვარიანტზე უარის თქმას არ აპირებს.

ჟოზე მოურინიო **არსენ ვენგერს** აკრიტიკებს. "არსენალის" თავკაცმა ნიშნის მოგებით განაცხადა, პორტუგალიელმა 225 მილიონი გირვანქა დახარჯა, მაგრამ წარმატება ვერ იყიდაო. მოურინიომ კი მიუგო, სამი წლის განმავლობაში ინგლისური ფეხბურთისათვის უფრო მეტი გავაკეთე, ვიდრე ვენგერმა 11 წელიწადში, ჩვენი საკადრო პოლიტიკა ინგლისელი ფეხბურთელების ტრანსფერებზე იყო აგებული, "არსენალში" კი პრობლემას იოლად, უცხოელი მოთამაშეებით წყვეტდნენო. მოურინიო უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსაზრებას, თითქოს "ჩელსიმ" ზედიზედ ორი საჩემპიონო ტიტული ტრანსფერებში დახარჯული მილიონების ხარჯზე მოიპოვა. ის არც იმ მიმომხილველებს ეთანხმება, რომლებიც ამბობენ, იმ დროს, როცა "არისტოკრატები" ბოსი მზა ვარსკვლავებს ყიდულობდნენ, ვენგერი ვარსკვლავებს ზრდიდაო.

მოსალოდნელი დანიშვნა

მოურინიო და ჩეხი ბარსელონაში?

ჯერჯერობით კი უმუშევარი ჟოზე ვენგერს აკრიტიკებს...

"ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ "ჩელსის" გარდა, ფულს არავინ ხარჯავს? "არსენალსაც" არ დაუშურებია მილიონები, როცა ახალ გუნდს ქმნიდა. მან ტიერი ანრი, მარკ ოვერმარსი, დენის ბერგკამპი, პატრიკ ვიეირა, ემანუელ პეტი და ბევრი სხვა ფეხბურთელი შეიძინა. განა მათი ტრანსფერები ძვირი არ იყო? ვენგერმა სწორედ იმ ფეხბურთელებით მოიპოვა ტიტულები, მოიგო დრო და განიმტკიცა ავტორიტეტი. ვენგერი შესანიშნავი მწვრთნელია. პირველ ეტაპზე ისიც ისე მუშაობდა, როგორც ჩვენ."

ვენგერს უცხოელ ფეხბურთელებთან დაკავშირებით მტკიცედ ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს. მას არ მიაჩნია, რომ ლეგიონერები ახალგაზრდა ინგლისელებს გზას ულობავენ. მოსიე არსენს მაგალითად მოჰყავს საუკეთესო ინგლისელი მოთამაშეები, რომლებიც პრემიერლიგის გრანდებში თამაშობენ. მოურინიოს "ბრალდების" საპასუხომ მან საინტერესო განცხადება გააკეთა: *"ჩემს ჩამოსვლამდე 30 წლის განმავლობაში ინგლისურ ფეხბურთში უცხოელები თითქმის არ თამაშობდნენ. 1996 წლის შემდეგ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. ბოლო 11 წელიწადში ინგლისის ნაკრებსა და ინგლისურ კლუბებს გაცილებით უკეთესი შედეგები აქვთ."*

მოურინიო რიტორიკულ შეკითხვას სვამს: *"ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ "ჩელსის" გარდა, ფულს არავინ ხარჯავს? "არსენალსაც" არ დაუშურებია მილიონები, როცა ახალ გუნდს ქმნიდა. მან ტიერი ანრი, მარკ ოვერმარსი, დენის ბერგკამპი, პატრიკ ვიეირა, ემანუელ პეტი და ბევრი სხვა ფეხბურთელი შეიძინა. განა მათი ტრანსფერები ძვირი არ იყო? ვენგერმა სწორედ იმ ფეხბურთელებით მოიპოვა ტიტულები, მოიგო დრო და განიმტკიცა ავტორიტეტი. ვენგერი შესანიშნავი მწვრთნელია. პირველ ეტაპზე ისიც ისე მუშაობდა, როგორც ჩვენ."*

ვენგერს უცხოელ ფეხბურთელებთან დაკავშირებით მტკიცედ ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს. მას არ მიაჩნია, რომ ლეგიონერები ახალგაზრდა ინგლისელებს გზას ულობავენ. მოსიე არსენს მაგალითად მოჰყავს საუკეთესო ინგლისელი მოთამაშეები, რომლებიც პრემიერლიგის გრანდებში თამაშობენ. მოურინიოს "ბრალდების" საპასუხომ მან საინტერესო განცხადება გააკეთა: *"ჩემს ჩამოსვლამდე 30 წლის განმავლობაში ინგლისურ ფეხბურთში უცხოელები თითქმის არ თამაშობდნენ. 1996 წლის შემდეგ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. ბოლო 11 წელიწადში ინგლისის ნაკრებსა და ინგლისურ კლუბებს გაცილებით უკეთესი შედეგები აქვთ."*

მანჩესტერ იუნაიტედი

ფერგის ახალი კონტრაქტები

ვან დერ სარი, ევრა და ბრაუნი ოლდ ტრეფორდზე დარჩებიან...

ედვინ ვან დერ სარს ახალ კონტრაქტს უფორმებენ. "მანჩესტერ ივნინგ ნიუსი" იუწყება, რომ ვეტერანი მეკარე ერთი წლით გააგრძელებს თანამშრომლობას. მისი დღევანდელი ხელშეკრულება ივნისში იწურება. ახალ კონტრაქტს დეკემბრის მიწურულს ან იანვრის დასაწყისში მოეწერება ხელი. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. 37 წლის ვან დერ სარი კარიერას, სავარაუდოდ, "იუნაიტედში" დაასრულებს. ის "ოლდ ფრეფორდზე" 2005 წლის ზაფხულიდან მოღვაწეობს. ორწლინახევრის წინ ედვინი "ფულჰემიდან" 2 მილიონ გირვანქად გადაიყვანეს. ეშმაკების მაისურით მან უკვე 82 მატჩი ჩაატარა. სათამაშო ფორმის ფერის მანჩესტერელმა გულშემატკივრებმა მას "ულეს მწვანე გიგანტი" შეარქვეს. ედვინის სიმაღლე 197 სანტიმეტრია.

ახალი კონტრაქტი გაუმზადეს **პატრის ევრასაც**. "დეილი სტარის" ცნობით, ფრანგი განაპირა მცველი კლუბში კიდევ ხუთი წელი დარჩება. ამ ხნის განმავლობაში მას 15 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. 26 წლის ევრა "ეშმაკების" ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. ის "მენუში" გასული წლის იანვარში "მონაკოდან" გადავიდა. მანჩესტერელებმა 5.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ევრამ "იუნაიტედის" შემადგენლობაში 47 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი შეაგდო.

და კიდევ ერთი ფეხბურთელის შესახებ, რომელიც "იუნაიტედთან" ასევე გააგრძელებს თანამშრომლობას. საუბარია **ვესლი ბრაუნზე**. მას ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ბრაუნს კვირაში 30 ათას გირვანქას უხდიან. მისი ხელფასი 20 ათასით გაიზრდება. სერ ალექს ფერგიუსონი ბრაუნს ინგლისის ყველაზე ტექნიკურ მცველად მიიჩნევს. ვესლი "მანჩესტერის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

ბარსელონა ჟურნალისტების წინააღმდეგ

პოპულარულმა გამოცემამ რონალდინიოს შესახებ თითიდან გამოწოვილი ინფორმაცია გაავრცელა, კატალონიელები პასუხს ითხოვენ...

რონალდინიოსა და ბარსელონელი ვარსკვლავების გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება...

გუშინ "დიარიო ასში" რონალდინიოს შესახებ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა. მადრიდული გაზეთის პუბლიკაცია იმავე დღეს სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა. კატალონიურმა საფეხბურთო წრეებმა გამოცემის სტატია მათი სათაყვანებელი კლუბის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებად აღიქვეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, "დიარიო ასის" პუბლიკაცია სტილის დაცვით შემოგთავაზოთ:

"ბარსელონის" ხელმძღვანელები, ფეხბურთელები და გულშემატკივრები, ახლა უკვე კატალონიური პრესაც მთელი კატეგორიულობით ითხოვს, რომ რონალდინიო სათადარიგოთა სკამზე დავდეს. გაუჩო თითქმის ორი წელია საშინლად თამაშობს, მაგრამ პოზიციებს არა და არა თმობს. საზოგადოებისთვის ეს გარემოება გაუგებარი და მიუღებელია. ინჩასების უდიდეს ნაწილს, მიმომხილველებსა და ექსპერტებს ძალიან მყარი არგუმენტები აქვთ იმის დასამტკიცებლად, რომ ბრაზილიელი დასაკას იმსახურებს. შეუძლებელია, ასეთმა უკმაყოფილებამ უკვალოდ ჩაიაროს... კატალონიელები რადიკალური გადაწყვეტილებების მისაღებად მზად არიან.

პირველი შედეგი უკვე სახეზეა. თავად "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ გაახმაურა, რომ "რეკრეატივოსთან" პრიმერა დივიზიონის მომდევნო ტურის შეხვედრაში რონალდინიო არ იასპარეზებს. ალბათ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 24 ნოემბერი გარდამტეხი დღე გახდება. ბრაზილიელმა მიმდინარე სეზონში უკვე გამოტოვა რამდენიმე თამაში, მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევა იქნება. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ რონალდინიოს მომდევნო თამაშებშიც "დაასვენებენ". რაიკაარდი იტყვის, რომ გაუჩო ბრაზილიის ნაკრებში ჩატარებულმა ორთაბრძოლებმა ძალიან დაღალა და მას ამოსუნთქვა სჭირდება. მთავარი მწვრთნელი შეეცდება, კეთილი მიზნებისთვის აუცილებელი არდადეგები მაქსიმალურად დიდ ხანს გაწელოს და რონალდინიოს ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდებამ უხმაუროდ, უმტკივნეულოდ ჩაიაროს. ერთი შეხედვით, რომელიმე ფეხბურთელის სათადარიგოთა სკამზე დასმა ამდენ ინტრიგასა და საქმეების ხლართვას არ საჭიროებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ რონალდინიოს ძალიან ჭირვეული ხასიათი აქვს და აჟიოტაჟის ატეხვით, გუნდში ძალიან ცუდი ატმოსფეროს დანერგვა შეუძლია. ჩვენი ინფორმაციით, გაუჩოს გაყიდვა გადაწყვეტილი საქმეა, უბრალოდ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობას ამ საქმის უხმაუროდ და უმტკივნეულოდ მოგვარება სურს."

დაგვეთანხმებით, მართლაც ძალიან თამამი სტატიაა. "ბარსელონის" ხელმძღვანელობის გაცოფება რომ არა, შეესაძლოა, ვინმეს ეფიქრა, რომ კატალონიელები ამ მზაკვრულ გეგმას მიჰყვებოდნენ. თუმცა **ჩიკი ბეგირისტაინის** *მკაცრი განცხადებით ცხადი ხდება, რომ რონალდინიოს არავინ ერჩის: "თავს უფლებას მივცემ, ღიად ვისაუბრო და საზოგადოებას განვუმარტო, თუ რას ემსახურება "დიარიო ასის" სტატია. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს გაზეთი, ისევე როგორც "დიარიო მარკა" მადრიდის "რეალის" ღია გულშემატკივარია. მათი მიზანი დაძაბულობის შექმნა, ეჭვების გაჩენა და რონალდინიოს "ბარსასთან" დაპირისპირებაა. ზოგჯერ მგონია, რომ "დიარიო ასი" და "დიარიო მარკა" ერთმანეთის კონკურენტები სულაც არ არიან და ერთი და იგივე ადამიანებისგან იმართებიან. ისინი მონაცვლეობით გვესხმიან თავს. ალბათ, იმ იმედით, რომ სზვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ხალხს არარსებულის რეალობად აღქმა აიძულონ. რას ნიშნავს, რონალდინიოს გაყიდვა გადაწყვეტილი საქმეა?! საიდან შეიძლება ეს ინფორმაცია ჰქონდეთ? არგუმენტად ჩვენს მიერვე ოფიციალურად გავრცელებულ ინფორმაციას იშველიებენ. ვთქვით, რომ ბრაზილიის ნაკრებში თამაშით დაღლილ რონალდინიოს "რეკრეატივოსთან" დავასვენებთ. განა ეს იმის საფუძველს იძლევა, რომ განვაცხადოთ, ბრაზილიელის განაჩენი გამოტანილიაო? 24 ნოემბრის მატჩთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ბრაზილიელ ფეხბურთელთან ერთად იქნა მიღებული. ის რაიკაარდს უსიტყვოდ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ათასობით კილომეტრის გადალახვა, პერუსა და ურუგვაისთან ბრძოლა ძალიან დამღლელი იქნება და სჯობს, "რეკრეატივოსთან" არ ითამაშოს. მოვა დრო და ყველა დაინახავს, რომ "დიარიო ასის" სტატია მტკნარი სიცრუეა, რომელიც "ბარსელონაში" სიტუაციის არევას ემსახურება. ისინი ხომ "რეალის" ფანები არიან და ცდილობენ სათაყვანებელ გუნდს ამ ფორმით ემსახურონ. ჩვენ შეთანხმებულები ვართ, რომ რონალდინიოს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისით უკმაყოფილოები ვართ და მით უმეტეს, გუნდიდან გაგდება გვინდა. ვმუშაობთ, რათა "ბარსა" გამოცოცხლდეს. გაუჩო კეთილსინდისიერად შრომობს. ასე რომ, "დიარიო ასს" ძალიან ვთხოვთ, თავი დაგვანებონ და სიყალბის გავრცელებით ჩვენთვის პრობლემების შექმნას ნუ ეცდებიან."*

გუშინ თავად **რონალდინიოს** *მოკლე განცხადებაც გავრცელდა. სამხრეთამერიკელი ბეგირისტაინის სულისკვეთებას იზიარებს და ამბობს, "ბარსელონის" ხელმძღვანელობის სრულ მხარდაჭერას ვგრძნობო. საქმეს მართლაც ისეთი პირი უჩანს, რომ "დიარიო ასმა" მართლაც ცრუ აჟიოტაჟი ააგორა.*

ტოტენჰემი. მოსალოდნელი ტრანსფერი

რამოსმა კასილიასი მოითხოვა

ესპანელი სპეციალისტი ახალი გუნდის მშენებლობას იწყებს. რეალის მეკარე ამ გეგმის შემადგენელი ნაწილია...

იკერ კასილიასს ლონდონში უხმეს

ხუანდე რამოსმა "ტოტენჰემის თავიდან აშენება გადაწყვიტა. ეს პროცესი კი შემადგენლობის გადახალისების გარეშე, რა თქმა უნდა, არ გამოვა. პირველი ფეხბურთელი, რომლის შეძენის სურვილის ლონდონური კლუბის თავკაცს გაუჩნდა, არც მეტი, არც ნაკლები **იკერ კასილიასია.** "ელ მუნდოს" ინფორმაციით, ესპანელმა სპეციალისტმა გუნდის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა, რათა ყველაფერი გააკეთონ, რომ მადრიდის "რეალის" მეკარე ნებისმიერ ფასად გადაიბირონ. იმავე "ელ მუნდოს" თუ დავუჯერებთ, "ტოტენჰემის" ბოსებმა სენიორ ხუანდეს წინადადება ყურადღებით მოისმინეს და აქტიურად მოქმედების პირობა მისცეს.

დღეს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრიტანელებმა სატრანსფერო თანხად 40 მილიონი ევრო დაასახელეს. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამხელა თანხას მეკარეში არავინ იხდის. 40 მილიონი მართლაც კოლოსალური თანხაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგივე სპეციალისტები ტრანსფერის გაჩარხვის შესაძლებლობას ძალიან სკეპტიკურად უყურებენ. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობისთვის კასილიასი "რეალის" სიმბოლოა. მართალია, მეკარისთვის 26 წელი აბსოლუტურად არაფერია, მაგრამ იკერმა საკმაოდ მცირე დროში უდიდესი ავტორიტეტის მოხვეჭა შეძლო. ამიტომაცაა, რომ ასეთი მაღალი დონის გოლკიპერისა და კლუბის სიმბოლოდ შერაცხული კაცის 40 მილიონად გაყიდვას ექსპერტები ფაქტობრივად, წარმოუდგენლად მიიჩნევენ.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ თავად კასილიასიც ძნელად დასათანხმებელი იქნება. მადრიდელს არაერთხელ უთქვამს, ჩემი გული "რეალს" ეკუთვნის და მსურს, კარიერის ბოლო მატჩი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩავატაროო. სხვათა შორის, წარსულის გამოცდილებაც "ტოტენჰემის" სანინაალმდეგოდ საუბრობს. წინა წლებში კასილიასის გადაბირება არაერთმა გრანდმა სცადა. მათ შორის "მანჩესტერ იუნაიტედმაც", თუმცა იკერმა "ნითელი ეშმაკებისგან" თავი შორს დაიჭირა. არადა, ინგლისელები მას ზღაპრულ გასამრჯელოს სთავაზობდნენ.

და მაინც, შეუძლებელია, ეს ყოველივე ხუანდე რამოსს გათვალისწინებული არ ჰქონოდა. თუ ყველაფერი ამდენად უპერსპექტივოდაა, მაშ რატომ მოინდომა ამ კაცმა საკითხის დღის წესრიგში დაყენება?! პასუხს თავად "ტოტენჰემის" მესვეურები გვცემენ. აი, რას ამბობს კლუბის პრესსამსახურის წარმომადგენელი **ადამ ნორვიჩი:** *"ჯერჯერობით კონკრეტული ლონისძიებები არ გაგვიტარებია. საუბარი მხოლოდ ჩვენს დაინტერესებაზეა. რა თქმა უნდა, შესანიშნავად გვესმის, რომ კასილიასი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გუნდის, მადრიდის "რეალის" ვარსკვლავია. თავისთავად ურთულესია, ასეთ კოლექტივს წამყვანი მოთამაშე გამოსტაცო, მაგრამ ფეხბურთს ბევრად უფრო ხმაურიანი ტრანსფერებიც ახსოვს. უნდა მოგახსენოთ, რომ 40 მილიონი ევრო პირობითი თანხაა. ჩვენ ოფიციალურად არსად გვითქვამს, რომ მაინც და მაინც 40 მილიონს ვიხდით. "ტოტენჰემი" აბსოლუტურად თავისუფალია მოქმედებაში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საწადელს მივაღწიოთ."*

რას უნდა ნიშნავდეს, მოქმედებაში აბსოლუტური თავისუფლება და პირობითი თანხა? ერთადერთი რაც აზრად მოგვდის, ის არის, რომ ლონდონელები საჭიროების შემთხვევაში ამ სატრანსფერო თანხის გაზრდაზე უარს არ იტყვიან. სხვათა შორის, გუნდთან დაახლოებული პირები კონფიდენციალურ საუბრებში ამავეს აცხადებენ. მათი თქმით, შესაძლოა, თანხა ძალიან სერიოზულად გაიზარდოს.

ბეტისი

რუის დე ლოპერა უნდა წავიდეს

გუნდის მეპატრონეს ათიათასობით ადამიანი უპირისპირდება

"ბეტისის" გულშემატკივრები იმდენად გამწარებულები არიან, რომ კლუბის მეპატრონეს **მანუელ რუის ლოპერას** ცოცხლადაც სიამოვნებით შეჭამენ. დაძაბულობა მართლაც სერიოზულ მასშტაბებს იძენს. სევილიის მუნიციპალური პოლიციის შეფები შიშობენ, კონფრონტაცია მსხვერპლით არ დასრულდეს. საქმე ის არის, რომ "ბეტისის" გულშემატკივრები აბსოლუტურად ყველა წარუმატებლობას სნორედ სენიორ დე ლოპერას აბრალებენ. ინჩასებმა მის სახლთან ექსცენტრული საპროტესტო აქცია მოაწყვეს. პოლიციამ რამდენიმე ახალგაზრდა დააკავა. როგორც გაირკვა მათ ეგრეთ წოდებული "მოლოტოვის კოქტეილები" ჰქონდათ გამზადებული, რათა რუის დე ლოპერას საძინებელში შეეგდოთ. მადლობა ღმერთს ეს გადარეულები იზოლირებულნი იქნენ... თუმცა ამით, პროტესტის ტალღა არ შემცირებულა. თავად განსაჯეთ, ანდალუსიის დედაქალაქის ქუჩებში საპროტესტო აქციები იმართება. ისინი ითხოვენ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელმა დე ლოპერამ საკუთარი ქონება გაყიდოს და გუნდს განვითარების საშუალება მისცეს. ხალხის განრისხებით შეშფოთებულმა სენიორ მანუელ რუისმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა: *"ბეტისის" გულშემატკივრების აგრესია, ჩემთვის სრულიად მიუღებელია. მესმის, რომ ვილაცებს ჩვენი მმართველობა არ მოსწონთ, მაგრამ ისინი უნდა აცნობიერებდნენ, რომ გამოხატვის ბევრად ცივილიზებული საშუალებაც არსებობს. მე რა თქმა უნდა, "ბეტისის" კეთილდღეობაზე ვფიქრობ. ამიტომ, არ გამოვრიცხავ აქციების გაყიდვის შესაძლებლობას. თუმცა ამთავითვე ვამბობ, რომ "ბეტისს" უცხო ადამიანს არ მივყიდი. უფრო გასარკვევი რომ იყოს, აქციებს მადრიდელს, ბარსელონელ, ვალენსიელს, ან რომელიმე უცხოელს არაფრით დავუთმობ. "ბეტისის" ყიდვის შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ "ბეტისის" ქომაგ მდიდარ ბიზნესმენებს ექნებათ."*


ბეტისის ექსცენტრული პრეზიდენტის პოზიციები შეირყა

სტივ ბრუსი ბირმინგემიდან ვიგანში?

"ვიგანი" მწვრთნელს ეძებს. კლუბმა "ბირმინგემ სიტის" თავკაც **სტივ ბრუსს** დაადგა თვალი. უფრო მეტიც, ვიგანელებმა "სიტის" მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. ისინი მზად არიან, მწვრთნელი გამოისყიდონ. ბრუსის ტრანსფერისათვის 3 მილიონი გირვანქა გაამზადეს. "ვიგანის" თავმჯდომარე დეივ ველანი "ბირმინგემისაგან" პასუხს ელის. ეს უკანასკნელი შეთავაზებას ინტერესით განიხილავს. ბრუსს ახალ სამსახურში გადასვლა სურს. არცაა გასაკვირი. მას შვიდნიშნა ხელფასი შესთავაზეს და კიდევ ერთი მილიონი გირვანქა პრემიის სახით, თუ კლუბი უმაღლეს დივიზიონში დარჩება. მისტერ სტივი ასისტენტ **ერიკ ბლეკის** ნაყვანასაც აპირებს. ბირმინგემელები კი შიშობენ, რომ უმოკლეს დროში კვალიფიციური მწვრთნელის პოვნა გაუჭირდებათ. მოლაპარაკებები გრძელდება. "ვიგანის" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მწვრთნელთან კონტრაქტს ერთი კვირის განმავლობაში გააფორმებს.

მოდრიჩი ჩელსიში 15 მილიონად

"ჩელსიმ" ზაგრების "დინამოს" მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. ლონდონელები ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველ **ლუკა მოდრიჩით** დაინტერესდნენ. მოდრიჩს სხვა ინგლისური კლუბებიც ეპატიჟებიან. დინამოს უკვე შეეხმიანნენ "ევერტონი", "ვესტ ჰემი" და "მანჩესტერ სიტი". ფეხბურთელი გერმანულმა გიგანტმა, "ბაიერნმაც" მოიკითხა. "ჩელსის" მხრიდან მოლაპარაკებებს კლუბის მეორე მწვრთნელი **ჰენკ თენ კეიტი** უძღვება. მას მოდრიჩის შეძენა ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა ამსტერდამის "აიაქსის" მთავარი მწვრთნელი იყო. "არისტოკრატები" 15 მილიონ გირვანქას ამზადებენ. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ალმანახი

ჯერ იყო „ბოლტონთან“ ვერმოგებული თამაში (2:2), რასაც კარლ-ჰაინც რუმენიგეს მხრიდან ოტმარ ჰიტცფელდის მოულოდნელი კრიტიკა მოჰყვა; მერე იყო სეზონის პირველი მარცხი შტუტგარტში (1:3), იმედგაცრუება, რამაც მიუნხენურ კლუბში სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. ამ ყველაფერს, ორშაბათს, გუნდის წლის საერთო კრება მოჰყვა, სადაც რუმენიგემ ჰიტცფელდს შერიგების ხელი გაუწოდა და „ბაიერნის“ ახალი ფინანსური რეკორდები გადმოალაგა. ერთი სიტყვით, ის კრება ჰარმონიულად მიმდინარეობდა მანამ, სანამ ერთ-ერთი ფანმა არ გააკეთა განცხადება, რითაც მენეჯერი ული ჰაინესი განარისხა და საკუთარ თავზე კონტროლი დააკარგვინა. დაპირისპირება ფანებთან – ესღა აკლდა ბაიერნს...

რეკორდმაისტერი

ბაიერნის ცხელი შეიმოდგომა

ჰაინესი: ის, რომ ალიანს არენაზე მუდამ მოსაწყენი გარემოა, მხოლოდ ფანების ბრალია და არა ჩვენი...

ბაიერნის შტაბი: კარლ ჰაინც რუმენიგე, ული ჰაინესი და ოტმარ ჰიტცფელდი

როგორც უკვე მიხვდით, ყველაფერი იმ ერთი ფანის განცხადებით დაიწყო. თავის ერთწუთიან მონოლოგში ის „ბაიერნისთვის“ ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემას შეეხო – „ალიანს არენაზე“ მუდმივად მოსაწყენ გარემოზე ისაუბრა და თქვა, გუნდის ხელმძღვანელებმა ამის გამოსასწორებლად რაღაც უნდა იღონოთო. ამის გაგონება და **ჰაინესის** *მწყობრიდან გამოსვლა ერთი იყო – ულის თვალები გადმოეკარკლა, თავი ტრადიციულად გაუწითლდა, მისი ხმის ტემბრი კი სტანდარტებს აღარ შეესაბამებოდა.*

„კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს თავი ვინ გგონიათ?“ – ასე დაიწყო ჰაინესმა თავისი მონოლოგი, - *„როგორ ფიქრობთ, ვინ ხართ თქვენ, ფანები? დაუშვებელია ის, რომ ფანებმა ჩვენ გვაკრიტიკონ იმისათვის, რის გამოც ჩვენ წლების მანძილზე უკანალზე ვიხეოდით. ბოლოს და ბოლოს შევძელით და ავაშენეთ სტადიონი, რომლის მშენებლობას 340 მილიონი ევრო დასჭირდა. სამხრეთ ტრიბუნაზე ყველაზე იაფი ბილეთი 7 ევრო ღირს – როგორ ფიქრობთ, თქვენი 7 ევროთი ავაშენეთ ეს გრანდიოზული არენა?*

თქვენს სიტყვებში მე მხოლოდ პოპულისტურ განავალს ვხედავ. სტადიონზე მოსაწყენი გარემოა? ამაში ხომ თქვენ, ფანები ხართ დამნაშავე და არა ჩვენ, ბოსები. დაუჯერებელია ის, რომ კიდევ ჩვენთან გაქვთ პრეტენზიები. რას აღარ ვაკეთებთ მთელი წლის განმავლობაში იმისათვის, რომ თქვენთვის ბილეთი მხოლოდ 7 ევრო ღირდეს, თქვენ კი ასე გვიხდით სამაგიეროს! და საერთოდ, როგორ ფიქრობთ, ვინ გაფინანსებთ? გაფინანსებთ ის ხალხი, ვინც ლოჟებში ზის და ვისაც ფულს ჯიბიდან ძალით ვაცლით. რომ არა ისინი, „ალიანს არენა“ არ გვექნებოდა. რომ არა ისინი, სტადიონზე ისევ იგუნდავებდით და „ბოლტონთან“ მატჩს 66 000 კი არა, 12 000 მაყურებელი დაესწრებოდა. სხვათა შორის, „ბოლტონის“ თამაშზე ყველაზე იაფი ბილეთი 40 ევრო ღირს.

თუ ასე გინდათ, მოძებნეთ გუნდი, რომელიც მომავალში მე-3 ბუნდესლიგაში ითამაშებს. თქვენგან მხოლოდ ის მესმის, რომ „მიუნხენ 1860-ის“ მატჩებზე უფრო კარგი გარემო და ატმოსფეროა, რომ „მიუნხენ 1860“-ში ყველაფერი უკეთესადაა. იქ არაფერი არ არის უკეთესად! ეს გუნდი კინალამ გაკოტრდა და რომ არ გაკოტრდა, ეს ჩვენი, „ბაიერნის“ დამსახურებაცაა.“

ამ სიტყვების ფონზე დროდადრო სტვენა და სხვადასხვა შეძახილები ისმოდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც მენეჯერს დაეთანხმა და ტაში დაუკრა. ულის სკანდალური გამოსვლა **რუმენიგემ** ირონიით გაანეიტრალა – ირონიით, რომელიც „ვერდერისკენ“ და „შალკესკენ“ იყო მიმართული – „ვერდერზე“ თქვა, „მუსიკოსები“ ბოლოს და ბოლოს დაწყნარდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ ჩვენამდე ბევრი აკლიათო, „შალკეზე“ კი უფრო მეტი ციინიზმით გამოსცრა: *„ნუ ნერვიულობ, ული! გაისად აუცილებლად იარსებებს გუნდი, რომელიც 50 წლიან იუბილეს იზეიმებს, ნახევარ საუკუნეს ტიტულის გარეშე!“*

მეორე დღეს კი, ინტერნეტ-ფორუმები სავსე იყო „ბაიერნის“ განაწყენებული ფანების წერილებით, რომლებიც ჰაინესს ლანძღავდნენ. *„ყველამ ვიცით, რა კაცია ული ჰაინესი და რა გააკეთა მან „ბაიერნისთვის“, მაგრამ ამას მაინც არ მოველოდი. „ბაიერნი“ ფანების გარეშე „ბაიერნი“ არ იქნებოდა! მოვითხოვ, რომ ულიმ ამ სიტყვებისთვის ბოდიში მოგვიხადოს, მან შეურაცხყოფა მოგვაყენა! პირადად მე სულაც არ მაინტერესებს, რამდენს იხდიან ადამიანები ლოჟებიდან, მე „ალიანს არენაზე“ მისვლა 30 ევრო მიჯდება. სტუდენტი ვარ და იმისათვის, რომ ეს 30 ევრო დავზოგო, 4-5 საათს რთულად აღსაზრდელ ბავშვებთან ვატარებ,“* – აცხადებს 25 წლის **ბენო ბიუშლები**.

ერთადერთი პუნქტი, რაშიც გულშემატკივრები მენეჯერს ეთანხმებიან, არის ის, რომ *„ალიანს არენაზე“* ყოველთვის მართლაც ძალიან მოსაწყენი გარემოა. *„დიახ, ეს მართლაც ასეა და აბსოლუტურად მართალია ის, რომ ეს ფანების ბრალია და არა ხელმძღვანელების,“* – ამბობს **ანდრეას ჰიორვიკი**, - *„ჩვენს სტადიონზე იდეალური გარემო და განწყობა მხოლოდ მაშინაა, როცა „ბაიერნი“ მადრიდის „რეალს“ ეთამაშება. მე რეკორდმაისტერის ფანი გახლავართ და ყოველთვის, როცა სტადიონზე ვარ, გული მწყდება იმის გამო, რომ „შალკეს“ ფანები გარემოს შექმნას ჩვენზე უკეთ ახერხებენ და „აუფ შალკეზე“ ვნებები ყოველთვის ცხოველურად დუღს. სამწუხაროდ, „შალკეს“ ფანები ამ მხრივ ევროპაში საუკეთესოები არიან. ინგლისის მეხუთე ლიგაშიც კი, 1200 მაყურებელი უფრო უკეთეს გარემოს ქმნის, ვიდრე 69 000 ბაიერნის ფანი „ალიანს არენაზე“*

„კიკერმა“ გუშინდელ ნომერში ჰაინესის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ეს უკანასკნელი ცხელ გულზე გაკეთებულ კარდინალურ განცხადებებს კი ნანობს, მაგრამ მიიჩნევს, რომ საბოდიშო არაფერი აქვს. ული განსაკუთრებით ამ განცხადებებმა გააღიზიანა: *„ჰაინესი ფანებში მხოლოდ კლიენტებს ხედავს, რომლებიც ბილეთებს ყიდულობენ!“ „კარგი იქნება, თუ ფანებს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს, ვიდრე სტადიონს!“*

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი კარი ყოველთვის ყველასათვის ღიაა. აქ საქმე „ბაიერნის“ გულშემატკივრებს კი არა, იმ 120-220 კაციან ჯგუფს ეხება, რომლებიც ყოველთვის უკმაყოფილოები არიან. კონკრეტულად კი იმ ორ ადამიანს, რომლებმაც კრებაზე ისაუბრეს. მათ უნდათ ფრანკ რიბერი, უნდათ ლუკა ტონი, უნდათ ის, უნდათ ეს და ამ ყველაფერთან ერთად მე იმაზეც უნდა ვიზრუნო, რომ თითოეული მათგანის საყვირმა კარგი ხმა გამოსცეს!“ – ამბობს ული და იქვე ამატებს, - *„შესაძლოა, ძალიან ხმამაღლა ვყვიროდი, მაგრამ არა უშავს...“*

ჰაინესს რუმენიგეც ეთანხმება, რომელიც ამბობს, ფანებს არაერთი იდეა შევთავაზეთ, მაგრამ ვერაფერზე ვერ მორიგდნენ, რადგან ფან-კლუბებს შორისაც ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს და ისინი უმალ ერთმანეთს დაჭამენ, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებენო.

იმისათვის, რომ გუნდსა და ფანებს შორის დაპირისპირება არ გამძაფრდეს, რუმენიგემ და ჰაინესმა ფან-კლუბების თავმჯდომარეებს წერილები დაუგზავნეს და მათ მომავალ კვირაში შეხვდებიან. ჰაინესი ბოდიშს არ მოიხდის, ის კი თქვა, როცა სპონტანურ განცხადებას აკეთებ, თანაც ცხელ გულზე, გამორიცხული არ არის, რომ რაღაც არასწორი წამოგცდეს, მაგრამ საბოდიშო კი არავისთან არაფერი მაქვსო.

დაბოლოს: გუშინწინ რუმენიგე, ჰაინესი და **ჰიტცფელდი** ერთ მაგიდას შემოუსხდნენ და 2 საათის განმავლობაში იმსჯელეს. რუმენიგეს თქმით, საუბარი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რამაც შედეგი აუცილებლად უნდა გამოიღოს. შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში რუმენიგემ ჰიტცფელდი მაგრად გააკრიტიკა, ორშაბათს კი მწვრთნელს შეგირების ხელი გაუნოდა, მაგრამ ექსპერტთა დიდი ნაწილი მაინც ეჭვობს, რომ ეს არ იყო გულწრფელი ჟესტი...

გოტფრიდ ლენცი

ფოსტა ვაგნერისგან

ღია წერილი ული ჰაინესს

ძვირფასო ული ჰაინეს, თქვენს ხელში „ბაიერნის“ ბიუჯეტმა 225.8 მილიონ ევროს მიაღწია, რაც ამ გუნდის არსებობის ისტორიაში რეკორდია. წელს „ბაიერნმა“ მისთვის სარეკორდო მოგება ნახა: 18.9 მილიონი ევრო. მაგრამ თქვენ კარგავთ გუნდის ყველაზე დიდ და ძვირფას კაპიტალს – ფანებს! როგორ მიმართეთ კრებაზე გულშემატკივრებს? თქვენ თქვით: „თავი ვინ გგონიათ, როგორ ფიქრობთ, ვინ ხართ თქვენ?“

მე მინდა აგიხსნათ, ვინ არიან ფანები - „ბაიერნის“ განუყოველი ნაწილი, გუნდის სისხლი, ცხოვრება, ბედნიერება, სიხარული და ცრემლები. მათთვის „ბაიერნი“, თითქოს ეს ლამაზი ქალია და არა საფეხბურთო გუნდი. როგორ თქვით, თქვენი 7 ევროთი სტადიონს ვერ ავაშენებდითო?

მინდა აგიხსნათ, რასაც ნიშნავს ის 7 ევრო, ჰერ ჰაინეს. 15 წლის გულშემატკივრისთვის 7 ევრო 70 ევროს ტოლფასია. როგორ გგონიათ, რის ხარჯზე ზოგავს გულშემატკივარი ფულს? კვების ხარჯზე, ჰერ ჰაინესს – უმალ მშიერი დარჩება, ოღონდ თამაში არ გამოტოვოს. და თქვენ სწორედ ასეთ გულშემატკივრებს მიაყენეთ შეურაცხყოფა. თუმცა რას ნიშნავს შეურაცხყოფა, თქვენს საქციელს უფრო სხვა ინტერპრეტაციას მივცემდი: თქვენი ქცევა მოზრდილი ადამიანის მიერ პატარა ბავშვის ცემის იდენტური იყო. რასაც ამბობენ, სრული სიმართლეა: თქვენ მართლაც ძალიან ცივი ხართ, ცივსისხლიანი და აროგანტი.

ფრანც იოზეფ ვაგნერი
ჟილდი

მეკარე გასაჭირში

ლემანი დუისბურგში?

იენსს რიგი დაუდგა: მიუნხენ 1860, ჰოფენჰაიმი, კარლსრუე...

იენს ლემანი გერმანიაში დასაბრუნებლად ემზადება

სად გააგრძელებს კარიერას იენს ლემანი? ეს კითხვა გერმანულ საფეხბურთო წრეებში დღესდღეობით ყველაზე აქტუალურია. ფაქტი ის გახლავთ, რომ თუ გერმანიის ნაკრების კარის დარაჯი ლონდონის „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დაიბრუნებს, იძულებული გახდება, „მეთოფეთა“ რიგები დატოვოს, რადგან იმისათვის, რომ **იოახიმ ლიოვმა** ევროპის ჩემპიონატზე მას ბუნდესგუნდის კარი ანდოს, იენსს სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. მაგრამ რომელ კლუბს სჭირდება 38 წლის მეკარე?

ორიოდ დღის წინ ლემანის განცხადება გაგაცანით, სადაც ეს უკანასკნელი ამბობს, თუ საჭირო გახდა, მეორე ბუნდესლიგაშიც ვითამაშებო. მას მერე მეორე ბუნდესლიგის კლუბები ერთმანეთის მიყოლებით აცხადებენ, რომ იენსის სამსახურზე უარს არ იტყოდნენ. გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, ლემანის გადასაბირებლად მზადყოფნა „მიუნხენ 1860“-მა და „ჰოფენჰაიმმა“ გამოთქვეს. „ლომების“ დამრიგებელი **მარკო კურცი** იენსის ახლო მეგობარია, „ჰოფენჰაიმის“ მენეჯერი **იოხენ როტჰაუსი** კი მისი ბიძაშვილი.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერდნენ, რომ ლემანის აყვანით პირველ ბუნდელსიგაში მოასპარეზე „კარლსრუეც“ დაინტერესდა. როგორც იცით, **ალექსანდრე იაშვილის** გუნდის ძირითადმა გოლკიპერმა **მარკუს მილერმა** სერიოზული ტრავმა მიიღო და დაახლოებით 5-6 თვის მანძილზე ვეღარ ითამაშებს. მიმომხილველების მტკიცებით, ბადენელებს ლემანი სწორედ მილერის შემცვლელად სურთ. ამას გარდა, გამოჩნდა გუნდი, რომელმაც ლემანის გადაბირების სურვილი ოფიციალურად დაადასტურა. ეს გახლავთ „დუისბურგი“, რომელიც პირველ ბუნდესლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა. *„თუ იენსი ლონდონიდან წასვლას გადაწყვეტს, შეუძლია, ჩვენთან გადმოვიდეს. ასეთ მეკარეს უგუნდოდ არავის დატოვებს!“* – განაცხადა „ზებრების“ ბოსმა **ვალტერ ჰელმიხმა**.

„დუისბურგის“ ამჟამინდელ გოლკიპერ **ტომ შტარკეს** ხშირად აკრიტიკებენ, რადგან ბოლო დროს ბევრ შეცდომას უშვებს. ფანები მის სანინაალმდეგო ტრანსფარანტებს გადმოფენენ ხოლმე და ერთი სიტყვით, არცაა გასაკვირი, ლემანის გადაბირების სურვილი პირველად სწორედ „დუისბურგმა“ რომ გამოთქვა. სხვათა შორის, **ფრანც ბეკენბაუერს** ძალიან მოსწონს ის იდეა, რომ გერმანიის ნაკრების მეკარემ ბუნდესლიგის აუტსაიდერში ითამაშოს. ასე მას უფრო ბევრი საქმე ექნება და შესაბამისად, ფორმას სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებსო, მიიჩნევს კაიზერი და იქვე დასძენს, რომ უმჯობესია, ლემანმა სწორედ „დუისბურგის“ რანგის კლუბში ითამაშოს, ვიდრე გრანდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ზვიად მაისურაძე

ახალი ლეგიონერები

ქართველ მორაგბეთა ფრანგული ლეგიონი დღითიდღე იზრდება. ტენდენცია ისეთია, ფრანგული კლუბები ჩვენი ახალგაზრდა მორაგბეების აყვანასა და მათ შემდგომ დაოსტატებაზეც ყაბულს არიან. ელიტარული მეორე დივიზიონის „ორიიაკში" სადაც ეროვნული ნაკრების გარემარბი **მალხაზ ურჯუკაშვილი** თამაშობს, ახლახან ახალგაზრდულ გუნდში ორი ქართველი, ორივე 10 ნომერი - **ბექა ურჯუკაშვილი** და **გიორგი ჯიმშელაძე** ჩაირიცხა. ბექა მახოს ძმისშვილია, ხოლო გიორგი ბორჯღალოსანთა საუკეთესო მეჭურის, **პალიკო ჯიმშელაძის** დისწული გახლავთ.

ფედერალ 2-ის „დომბესთან" ხელშეკრულება გაფორმა და მალე შეუერთდება გუნდს ყოფილი "ყოჩი", საქრთველოს ეროვნული ნაკრების ფულბეკი **თემურ სოხაძე**, რომელიც გასულ სეზონში „ბასტიაში" ასპარეზობდა. „ბასტია" ფინანსური კრიზისის გამო დაიშალა და არსებობა შეწყვიტა.

გამორიცხული არაა, ელიტარული, მეორე დივიზიონის „ლიონში" გააგრძელოს კარიერა „ლიგამუსისა" და საქართველოს ნაკრების ფლანკერმა **ზვიად მაისურაძემ**. მსოფლიო თასის მსვლელობისას მან კონტრაქტი ფედერალ 1-ის „ვილერბანთან" გააფორმა, მაგრამ ამ კლუბმა ბიუჯეტში არსებული დეფიციტის გამო პირობის შესრულებაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ „ვილერბანის" მენეჯერები მაისურაძის „ლიონში" ჩაირიცხვაზე მუშაობენ აქტიურად.

ბესიკ ჯანგავაძე

ფინალს ფრანგი იმსაჯებს

საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩს, რომელიც 25 ნოემბერს შევარდენის სანაკრებო ბაზაზე გაიმართება, ფრანგი არბიტრი განსჯის. საქართველოს რაგბის კავშირმა თხოვნით მიმართა FIRA AER-ს თბილისში კვალიფიციური რეფერის მოვლინების თაობაზე, რომელიც საქართველოში ოთ დღეს დაჰყოფს და ქართველ მსაჯებს სემინარსაც ჩაუტარებს. ფრანგი არბიტრის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

ფინალის ერთი მონაწილეა "ლელო". მეორე 19 ნოემბერს, "ლიგამუსისა" და "ყოჩების" მატჩში გაირკვევა.

ვოლეიბურთი

საოლიმპიადო რეიტინგი

საქა-რთველო

ახლახან ტაილანდში გამართულმა მსოფლიო ტურის ბოლო ეტაპმა ქართული ქალთა დუეტი **საქა-რთველო** რეიტინგში დააქვეითა. ჩვენი წყვილი ამჟამად1572 ქულით 31-ე ადგილზეა, სალიცენზიო ჩათვლაში კი 1200 ქულა დაუგროვდა და 24-ე გამსვლელი ადგილიდან ერთი საფეხურით უკან დაიწია. თუმცა, საბედნიეროდ ეს საბოლოო მაჩვენებელი არაა. წინ კიდევ რვა ეტაპია, რომელიც მომავალ წელს გაიმართება. საქა-რთველოს ლიცენზიის მოპოვების შანსი ცხადია ისევ აქვს. მაგალითისთვის, მე-20 ადგილზე მყოფი იაპონური წყვილი ჩვენს ფეხბურთელებს მხოლოდ სამასი ქულით უსწრებს.

კვლავ უცვლელია ვაჟთა ცხრილი. გეორ-გია სალიცენზიო რეიტინგში 2410 ქულით მე-14 ადგილზეა და თითქმის გარანტირებული აქვს პეკინში მონაწილეობის უფლება.

ტაეკვონდო

ლიცენზიის ძიებაში

„ყველაფერი კეთდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მხარდაჭერით, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ჩვენგან მონაწილე გვყავდეს. ახლა ესაა მთავარი საზრუნავი",- გვითხრა საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **ავთანდილ მიქაძემ**.

მისგანვე შევიტყვეთ, რომ კიდევ რამდენიმე დღეში, საბოლოოდ გაირკვევა, თუ ვინ გაემგზავრება სტამბულში ევროპის ქვეყნების საკვალიფიკაციო ტურნირში საასპარეზოდ. ჩვენი ფედერაცია კანდიდატებიდან ორ-ორ ვაჟს და ქალს შეარჩევს სასტამბულოდ. სწორედ ხსენებული შემადგენლობით გამოჰყავს მონაწილენი ოლიმპიადაზე თითოეულ ქვეყანას. წონებია ვაჟებისთვის: 58, 62, 80 კგ და მძიმე; ქალებისთვის: 47, 57, 67 კგ და მძიმე. ამგვარი შეზღუდვა განპირობებულია იმით, რომ მეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა იასპარეზონ ოლიმპიურ სარბიელზე და მონოპოლია აზიის იმ ქვეყნებს არ დარჩეთ, სადაც ტაეკვონდო სრულყოფილადაა განვითარებული.

სუმო

ლევან გორგაძე: ერთი მოგებაც და ძურიოშია

აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ელიტარული დივიზიონის დებიუტანტი მე-15 მაეგაშირა **ვაკაკირინი** დაამარცხა და კუნძულ კიუშუს ბაშოზე მესამე გამარჯვება ჩაიწერა. დაჯახების და რამდენიმე დარტყმის გაცვლის შემდეგ კოკაიმ მეტოქე ჰატაკიკომიზე დაიჭირა. კოკაის კვლავ დადებითი ბალანსი გაუხდა - 3-2. დღეს ქართველი სუმოისტი მეათე მაეგაშირა **იოშიკაძეს** შეხვდება, რომელსაც სექტემბრის ბაშოზე შეხვდა პირველად და დამარცხდა. იოშიკაძე კიუშუს ბაშოზე ვარსკვლავებს ვერ წყვეტს - 2-3.

მას შემდეგ, რაც მოულოდნელად დამარცხდა მერვე მაეგაშირა **ვაკანოსატო**, კიუშუს ბაშოზე სულ ორი დაუმარცხებელი ფალავანი დარჩა ჩემპიონი (ოძეკი) **ჩიოტაიკაი** და ესტონელი **ბარუტო**. ჩიოტაიკაიმ უმძიმესი სუმოისტი **მიაბიამა** დაამარცხა, რისთვისაც მისთვის ტრადიციული მოკლე დარტყმების სერია გამოიყენა. მიაბიამა ჯერჯერობით ყველა მატჩში ნაგებული დარჩა. ბარუტომ ოსი **ჰაკუროძანი** დაამარცხა ევროპულ დაპირისპირებაში. შეგახსენებთ, რომ ესტონელი სუმოისტი მხოლოდ მე-16 მაეგაშირაა, ბარუტო ტრავმის გამო გავარდა ძურიოს დივიზიონში, თუმცა იქ ტიტული მოიპოვა და უმაღლესში დაბრუნდა. ოთხი მოგება აქვს დიდ ჩემპიონ (იოკოძუნა) **ჰაკუჰოს**, მონღოლმა ყოფილი ოძეკი **დეჯიმა** დაამარცხა. დღეს ტურნირზე აღარ გამოცხადებულა იაპონელთა საყვარელი რიკიში **ტაკამისაკარი**, წინა დღით მან ტრავმა მიიღო და ახლა 6 კვირას გამოტოვებს.

ხვალ შეიძლება საკმაოდ საინტერესო ფაქტის მომსწრენი გავხდეთ, გამარჯვების შემთხვევაში **ლევან გორგაძე** რანგით მეორე, ძურიოს დივიზიონის საგზურს მოიპოვებს. გუშინ ლევანმა **(ტოჩინოშინი)** მაკუშიტას დივიზიონის მეოთხე ნომერი **კირინოვაკა** დაამარცხა ოშიდაშით. ლევანს 3-0 ბალანსი აქვს და დადებითი ბალანსის მოსაპოვებლად მხოლოდ ერთი მოგება აკლია (მესამე დივიზიონიდან ბაშოზე 7-7 ბრძოლას მართავენ). ხვალ ტოჩინოშინის მეტოქე 167 სმ. სიმაღლის **საგაცუკასაა**.

მესამე გამარჯვება მოიპოვა მეოთხე დივიზიონში დაქვეითებულმა **თეიმურაზ ჯუღელმაც (გაგამარუ)**, მან ოკურიდაშის ილეთით **შიმადა** დაამარცხა. გაგამარუს ბალანსი 3-0 გახლავთ, ქართველი ორ სხვა სუმოისტთან ერთად სანდანმეს დივიზიონის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში დაწინაურდა. როგორც ხედავთ, გუშინ იაპონიაში სამივე ქართველმა სუმოისტმა იმარჯვა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კიუშუს ბაშო

ნოემბრის სუპერტურნირი

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

V დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ვაკაკირინი 1:0 (ჰატაკიკომი), ჰაკუჰო-დეჯიმა 1:0, კოტომიცუკი-კაკურიუ 1:0, ჩიოტაიკაი-მიაბიამა 1:0, კისენოსატო-კოტოოშუ 1:0, ამა-კაიო 1:0, ამინიშიკი-ჰომაშო, კოტოშოგიკუ-ასასეკირიუ 1:0, ტოკიტენკუ-კასუგაო 1:0, ტოიონოშიმა-ტოიოჰიბიკი 1:0, კიოკუტენჰო-ტამანოშიმა 1:0, ტამაკასუგა-ტაკეკაძე 1:0, გოეიდო-ფუტენო 1:0, ტოჩინონადა-ვაკანოსატო 1:0, ბარუტო-ჰაკუროძანი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 5-0: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ბარუტო (მაეგაშირა 16); 4-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (ოძეკი), ტოიონოშიმა (მ 4), გოეიდო (მ 6), ვაკანოსატო (მ 8); .. 3-2: კოკაი (მ 13).

VI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-იოშიკაძე, ჰაკუჰო-კაკურიუ, ჩიოტაიკაი-ამინიშიკი, კოტოოშუ-ტოკიტენკუ, კაიო-დეჯიმა, კოტომიცუკი-ჰომაშო, ასასეკირიუ-მიაბიამა, ამა-კოტოშოგიკუ, კისენოსატო-ტოიონოშიმა. გოეიდო-კიოკუტენჰო, ტოიოჰიბიკი-კასუგაო, ტაკეკაძე-ტოჩინონადა, ვაკანოსატო-ტამანოშიმა, როჰო-ტამაკასუგა, ბარუტო-კაკიძოე.



ტოჩინოშინი - ლევან გორგაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი მარიამ დანელია

მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი

დიდი დესანტი და ორი დასაცავი ტიტული ანთალიაში

გუშინ ვერის ბაღთან დღის ხუთი საათისთვის ხელხმრავლობა შეინიშნებოდა, - ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკეები, რომელთა ასაკიც 10-დან 18 წლამდეა, თურქეთისკენ, ქალაქ ანთალიისკენ კომფორტული ავტობუსით დაიძრნენ. საქვეყნოდ ცნობილ თურქულ საკურორტო ქალაქში 17-დან 29 ნოემბრის ჩათვლით ამ ასაკის ბავშვებისთვის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. მასში 35 ქართველი მიიღებს მონაწილეობას, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა, თუმცა მიზეზი იოლი გამოსაცნობია - ანთალია შედარებით ახლოს არის ჩვენი ქვეყნიდან და თუკი ავტობუსითაც წახვალ, ხარჯები ბევრად იკლებს. ამ შეღავათით მშობლებმაც და მწვრთნელებმაც ისარგებლეს და ქართული დელეგაცია 60 კაცამდე გაიზარდა - ესეც თავისებური რეკორდია.

ჭადრაკის მოყვარულს კარგად ემახსოვრება, რომ შარშან, ოქტომბრის ბოლოს ანალოგიური მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში, ბათუმში ჩატარდა. ქართველმა მოჭადრაკეებმა საკმაოდ კარგად იასპარეზეს, თუმცა ჩემპიონები მხოლოდ ორ ასაკობრივ ჯგუფში გავხდით: 12 წლამდელ გოგონაა შორის **მარიამ დანელიამ** იმარჯვა, 16 წლამდელებში კი **სოფიკო გურამიშვილმა.** მარიამი და სოფიკო ამჯერადაც იასპარეზებენ მსოფლიო ჩემპიონატში თუმცა, დანელიას უკვე 14 წლამდელებში მოუწევსძალების მოსინჯვა; გურამიშვილი კი კვლავაც 16-წლამდელებში ითამაშებს და ტიტულის დაცვა პირდაპირი მნიშვნელობით მოუწევს. ცხადია, ტიტული არ ეთმობა მარიამსაც, მაგრამ უფროსებთან ჭიდილში ბევრად რთული იქნება წარმატების მიღწევა.

ალსანიშნავია, რომ ორივენი ერთი მწვრთნელის - დიდოსტატ **ლაშა ჯანჯღავას** მოწაფეები არიან და ამ ტურნირისთვის მასთან ემზადებოდნენ; გურამიშვილს ბატონი **ვალიკო ურიდიაც** ეხმარებოდა. გამგზავრების წინ ჩვენს ნორჩ მსოფლიო ჩემპიონებს მცირე ინტერვიუები ჩამოვართვით - გვსურდა მათი განწყობა შეგვეტყო.

სოფიკო გურამიშვილი: - შესანიშნავ განწყობაზე ვარ და იმედი მაქვს, რომ ანთალიაში წარმატებით გამოვალ. ტიტულის შენარჩუნება რთულია, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვარ და ალბათ მოვახერხებ შესაძლებლობების რეალიზაციას.

- როგორც ვიცი, შენი მწვრთნელი ლაშა ჯანჯღავაა. რაზე იმუშავეთ ბოლო დროს?

- ბატონ ლაშასთან ერთად ვალიკო ურიდიაც მამეცადინებს. ლაშა სადებიუტო პრობლრმრბის ალმოფხვრაში მეხმარებოდა, ურიდია კი - მიტელშპილსა და ენდშპილში.

- სათამაშო პრაქტიკა როგორი გაქვს?

- ბოლოს ერთი თვის წინ ვითამაშე ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატში. მაშინ 18 წლამდე ვაჟებში გამოვედი და საკმაოდ დიდი სკოლაც გავიარე. ასე რომ, არც სათამაშო პრაქტიკის ნაკრებობას განვიცდი.

მარიამ დანელია: - განწყობა მეც მშვენიერი მაქვს და ყველა ღონეს ვიხმარ, რომ შარშანდელი წარმატება გავიმეორო და საქართველოც ვასახელო.

- შარშანდელისგან განსხვავებით წელს ორი წლით უფროსებში გიწევს თამაში. მაინც ფიქრობ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგიძლია?

- რა თქმა უნდა, თუმცა, ცხადია, უფრო რთული იქნება გამარჯვება.

- წინასაშეჯიბრო მზადება შენც ნაყოფიერი გამოგივიდა?

- მწვრთნელ ლაშა ჯანჯღავასთან ვემზადებოდი და დიდი სამუშაოც გავწიე. ძირითადად იმ დებიუტებზე ვიმუშავე, რომელიც ჩემს არსენალშია; ახლისთვის დრო არ დამითმია. ასეთი მიდგომით არსებული ცოდნა გავილრმავე და ვფიქრობ ამან წარმატება უნდა მომიტანოს.

- სათამაშო პრაქტიკა ალბათ შენც სოფიოს მაგვარი გექნება...

- დიახ, მეც ერთი თვის წინ ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზე, თუმცა მაშინდეი შედეგით - მეცამეტე ადგილით - უკმაყოფილო ვარ და დაკარგული ანთალიაში უნდა ავინაზღაურო. იმედია, შევძლებ.

- წარმატებებს გისურვებთ.

კარგ შედეგებს სხვებისგანაც ველით. საბედნიეროდ, გუნდში რამდენიმე გამოკვეთილი ლიდერია... ამ საკითხებზე რამდენიმე კითხვით საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **გოგი მაჭარაშვილს** მივმართეთ, რომელიც დელეგაციის წევრია.

- წარმატებულ გამოსვლას, ცხადია, ველით, მაგრამ პროგნოზის გაკეთება საკმაოდ რთულია. ძალიან იმატა კონკურენციამ და ყოველწლიურად ჭირს ჩემპიონობის მოპოვება. საერთო ჯამში, ყველა სინჯის მედალთა რაოდენობა თუ 5-6 მიაღწევს, კარგ შედეგად ჩაითვლება.

- როგორც ვხედავ, დელეგაციაში მწვრთნელთა რიცხვიც გაიზარდა. თქვენი აზრით, ეს ხელს შეუწყობს ქართველთა კარგ თამაშს?

- უდავოდ. ჩემი აზრით, მწვრთნელთა რაოდენობა საერთო საქმეს ძალიან წაადგება. პირადად მე თბილისელ მოჭადრაკეებს უნდა დავეხმარო, თუმცა ამ საქმეში სხვებიც მომეხმარებიან. აქაურებს ქუთაისელი და ბათუმელი მწვრთნელებიც დაემატებიან, რომლებსაც გზად გავუვლით და შემოგვიერთდებიან. ანთალიაში მოდიან: დავით გურგენიძე, მაყვალა ხანთაძე, გოგი ხომერიკი, ალექსანდრე არსენიძე, გია მენაბდე, ლეონიდ ნევრონოვი. დელეგაციას კი მაყვალა ხანთაძე და გოგი ხომერიკი უხელმძღვანელებენ.

ზვიად შათირიშვილი

კალათბურთი

დანაშაული და სასჯელი

მსაჯებს ნუ შეეხებით!

კალათბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს „ავიამშენი"-თსუ-ს მატჩის შემდეგ მომხდარი ინციდენტი.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მსაჯების მოქმედებით აღშფოთებულმა ავიატორთა წარმომადგენლებმა მატჩის შემდეგ არბიტრისკენ გაიწიეს და მას ხელითაც შეეხნენ.

ასეთი მოქმედებისთვის „ავიას" მეორე მწვრთნელს, **ვაჟა მხეიძესა** და გუნდის უფროსს **ლევან ჭალისურს** 200-200 დოლარის გადახდა და 5-5 მატჩის გამოტოვება „მიესაჯათ".

სადისციპლინო კომიტეტმა არც ის დაივიწყა, რომ „ავიატორები" მსაჯების დაშვებულმა შეცდომებმა გააცხარა და არბიტრებს, **მაკა კუპატაძესა** და **დავით არეშიძეს** 2-2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

ეს საქართველოში არბიტრთა დასჯის მეორე შემთხვევაა. შარშან დეკემბერში შეცდომების გამო **ზაზა მაჩალაძემ** და დავით ბერეკაშვილმა მიიღეს დისკვალიფიკაცია.

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

ნოემბერში, დეკემბერში ან გაზაფხულზე

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრის ჩატარების ადგილი და თარილი გაურკვეველია. ხელბურთის ფედერაციის თავდაპირველი ვერსიით, იგი უნდა გამართულიყო ამ თვის პირველ ნახევარში, ქუთაისის ახალ სპორტის სასახლეში. თუმცა, რაკილა ქუთაისურ სასახლეს ხელმძღვანელობა და მომსახურე პერსონალი ჯერ არ ჰყავდა, მესამე წრის ჩატარება თბილისში გადაწყდა. თუმცა, პრობლემებმა დედაქალაქშიც იჩინა თავი. გვარიანად მოძველებულ გლდანის ხელბურთის კომპლექსში, ამასწინანდელ წვიმიან დღეებში წყალი ჩასულა, ხოლო არმიის სპორტული კომპლექსი დაკავებული აღმოჩნდა. ამას მოჰყვა საგანგებო მდგომარეობა და საბოლოოდ, ხელბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ მესამე წრის შესახებ 19 ნოემბერს, პრეზიდიუმის სხდომაზე იმსჯელოს.

ალსანიშნავია, რომ 19 ნოემბრის სხდომაზე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება. კერძოდ, ეროვნული ნაკრების კონსულტანტმა **იმედო ფხაკაძემ** უნდა წარადგინოს ნაკრების მოსამზადებელი გეგმა "ჩელენჯ ტროფის" ფინალისა და ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა, შეინარჩუნებენ თუ არა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მამუკა მჟავანაძე** და მისი შტაბის წევრები თანამდებობებს.

რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრის სავარაუდო თარილებს, შეჯიბრება განახლდება ნოემბერში ან დეკემბერში. თუმცა, არსებობს უკიდურესი, მესამე ვარიანტიც – გაზაფხულისთვის გადადება.

ყველაზე უპრიანი ალბათ დეკემბრის ვარიანტი იქნება. ეს ხელბურთის ფედერაციასა და ნაკრების ხელმძღვანელობას იმად უნდა აწყობდეს, რომ 19-21 დეკემბერს, გუნდი თურქეთში ჩაატარებს საკონტროლო მატჩებს, ხოლო 20 იანვარს, "ჩელენჯ ტროფის" ფინალი აქვს ნორვეგიაში. შესაბამისად, აქ მოთამაშე ნაკრების წევრები თურქეთისა და ფინალისთვის უფრო კარგ ფორმაში იქნებიან. თუმცა, აქვე არსებობს ერთი პრობლემაც – დეკემბერში გვარიანად ეციება, გლდანისა და ასკ-ის დარბაზებში კი გათბობის სისტემა არ მუშაობს...

მოკლედ, ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ 19 ნოემბერს და ხელბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას.

კობა ხატისაშვილი

ჩოგბურთი

წყვილებზე უარი თქვა

ანა ტატიშვილი

ლა ქუინტას ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია, დღეს დილით გაიმართებოდა მერვედფინალური მატჩი, სადაც 17 წლის **ანა ტატიშვილი** ამერიკელ **ეშლი ჰარკლროუდს** შეხვდებოდა. ჰარკლოუდი ლა ქუინტაში მე-3 ნომრად განეთესეს, ის მსოფლიოს 76-ე ჩოგანია. ეშლი 22 წლისაა, სხვათა შორის, მისი კარიერის ზენიტი ოთხი წლის წინათ იყო, როდესაც 18 წლის გოგონა მსოფლიოს 39-ე ჩოგანი გახდა. შეგახსენებთ, რომ ანა ტატიშვილი მსოფლიოს 279-ე ჩოგანია. ანას წყვილთა თანრიგის მატჩში უნდა ეთამაშა, რუს **ეკატერინა აფინოგენოვასთან** ერთად, თუმცა ამერიკულ წყვილთან (ჰეინესი, ვაშინგტონი) მატჩის წინ ქართველმა და რუსმა ბრძოლაზე უარი თქვეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სროლა

აზერბაიჯანმა და ნიგერიამ იუარეს

გივი ბოსტოლანაშვილი, საქართველოს სროლის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი: - ეს ესაა მივილეთ შეტყობინება ნიგერიიდან და აზერბაიჯანიდან. ამ ქვეყნების ტყვიის მსროლელებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ „საქართველოს თასის" ღია გათამაშებაში, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრეს. შეჯიბრება 20-21 ნოემბერს, თბილისში ჩატარდება ნინო სალუქვაძის ტირში. რაკი უცხოეთიდან არ ჩამოდიან, იასპარეზებენ მხოლოდ თბილისის, ქუთაისის გუნდები და ბათუმის ერთი წარმომადგენელი – სულ 45-46 მსროლელი.

ასევე კალენდარითაა გათვალისწინებული ამ სეზონის ბოლო ტურნირი - თბილისის ღია ჩემპიონატი დეკემბერში. კონკრეტული თარილი ჯერ არ დაგვიდგენია. კალენდარში მხოლო თვეა მითითებული.

თარიღი

გიორგი რევაზიშვილი. დაიბადა 16.11.1974, საგარეჯო. ძიუდო (66 და 73 კგ). მსოფლიო ჩემპიონატის მეორე (1977) და მესამე (1979) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1996), ორგზის მეორე (1995, 97) და სამგზის მესამე (1994, 98, 2000) პრიზიორი. ღირსების ორდენის კავალერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 თებერვალს, ვენეციაში...

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ფიბა-ევროპის ხელმძღვანელობა შეიკრიბა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელა. შეხვედრაზე მთავარი განსახილველი საკითხი ევრო-2009-ის შესარჩევი ეტაპი იყო, თუმცა იქვე განიხილეს გერების, B და C დივიზიონის გუნდების საკითხიც. სამწუხაროდ ფიბას უფროსობამ მხოლოდ A და C ეშელონის ტურნირების სისტემა შეცვალა, B დივიზიონის სტრუქტურა იგივე დატოვა.

ასე რომ, ევრო-2011-ის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ნაკრები 2008 წლის სექტემბერში ჩაერთვება, ჯგუფური ეტაპის პირველ ნახევარს გაისად მოითავებს, ხოლო დასკვნით შეხვედრებსა და ფლეი ოფის მატჩებს 2009 წლის სექტემბერში გამართავს. თუ ზედა ლიგაში გადავედით 2010 წელს შესარჩევ ტურნირს ვითამაშებთ და...

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი გუნდი ითამაშებს ჩვენს დივიზიონში, თუმცა ის კი გარკვეულია, რომ აუტსაიდერები, ლუქსემბურგი, შოტლანდია, ანდორა და ა.შ. B-დან C ეშელონში გადაინაცვლებენ და შოტლანდიაში გაარკვევენ ზედა ლიგაში გადამსვლელის საკითხს.

რაც მთავარია, პრაღაში დადგინდა საკვალიფიკაციო მატჩების მონაწილეთა წილისყრის თარიღი. საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობას იტალიის ქალაქ ვენეციაში, 2008 წლის 16 თებერვალს დანიშნული წილისყრა გაარკვევს.

აქვე, ორიოდე სიტყვით ზედა ლიგაზეც ვთქვათ. 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის მონაწილე რუსეთი, ესპანეთი და ლიტვა 2009 წლის ევროპის პირველობაზე ავტომატურად მოხვდებიან. საბერძნეთი, გერმანია, ხორვატია და სლოვენია ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას და ისინიც უშესარჩევოდ მოხვდებიან პოლონეთში გასამართ 2009 წლის ევროპის ჩემპიონატზე. მათ მასპინძელიც დაემატებათ.

A დივიზიონის დანარჩენი 17 ნაკრები (ბელგია, ბოსნია, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, მაკედონია, უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ლატვია, იტალია, პორტუგალია, სერბეთი, თურქეთი, უკრაინა) სამ ჯგუფად გაიყოფა და შესარჩევ ტურნირს 2008 წლის სექტემბერში ჩაატარებს.

ისღა დაგვრჩენია 16 თებერვალს დაველოდოთ, მანამდე კი სანაკრებო ამბების ნაკლებობა არ უნდა ვიგრძნოთ, რადგან მთავარი მწვრთნელის, **კენ შილდსის** შემცვლელი უცხოელი სპეციალისტი ჯერაც საპოვნია. კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა თქმით, ამ ეტაპზე სათავეში ქართველი მწვრთნელის დანიშვნა გამორიცხულია.

ვაჟა სიმონიშვილი

ახალგაზრდები გაანაწილეს

FIBA-ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატებში რეკორდული რაოდენობის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. 2008 წელს ევროპის 50 ფედერაციის 223 გუნდი ითამაშებს 16, 18 და 20 წლამდელ გოგონების და ჭაბუკების ჩემპიონატებში. პრაღაში FIBA ევროპის ალმასკომზე გადაწყდა თუ სად და როდის გაიმართება 2008 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატები. შეგახსენებთ, რომ შარშან საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებს არ უთამაშია, ხოლო 16 და 20 წლამდელთა გუნდებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი ამოცანას - მათ A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნეს, ორივე ნაკრებმა 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-12 ადგილი დაიკავა.

16 წლამდელ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი A დივიზიონში 15-24 აგვისტოს პესკარაში (იტალია) გაიმართება. B დივიზიონს (იმავე თარიღებში) ბოსნიის დედაქალაქი სარაევო უმასპინძლებს. 18-წლამდელთა ჩემპიონატს (A დივიზიონი) ბერძნული ამალიადა უმასპინძლებს. ჩემპიონატი 25 ივლისს ლაიწყება და 3 აგვისტოს დასრულდება. ქვედა დივიზიონს უნგრული სომბატჰეი უმასპინძლებს. 20-წლამდელთა ჩემპიონატს 1-10 აგვისტოს ლატვიის ქალაქი ვენტსპილსი მასპინძლობს, ქვედა დივიზიონს - რუმინული ტარგუ მურესი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

NBA-ს ქართული ამბები

ზაზა ხუთეულს დაუბრუნდა

ზაზა ფაჩულია „ატლანტა ჰოქსის" ძირითად შემადგენლობას „შარლოტ ბობქეთსთან" საშინაო მატჩში დაუბრუნდა და თანაგუნდელებს სეზონის მესამე გამარჯვებაში დაეხმარა - 117:109.

„ატლანტამ" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი რეკორდი დაამყარა, საწყის მეოთხედში 37 ქულა ჩააგდო, რაც მანამდე ერთხელაც ვერ მოეხერხებინა.

„ჰოქსის" კალათბურთელებმა პირველივე თორმეტწუთეულში 15-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს(37:22) და მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქისთვის გადასწრების უფლება არ მიუციათ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ზაზამ მუხლისა და იდაყვის ტრავმები 18 ოქტომბერს „შარლოტთან" საგამოფენო მატჩში მიიღო და სიმბოლურია, რომ სასტარტო ხუთეულს სწორედ ამ გუნდთან მატჩში დაუბრუნდა.

ფაჩულიას ურიგოდ არ უთამაშია, 18 წუთში 6 ქულა, 4 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა და 3 ჩაჭრა მიითვალა, მაგრამ პირველი წუთების შემდეგ მატჩის მხილველ ბევრ ქომაგს ეგონა, რომ ქართველი ცენტრი თუნდაც ორმაგი დუბლით გამოირჩეოდა. ასე ეგონა „ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტ **სეკუ სმიტს:**

„ზაზამ მატჩი ეფექტურად დაიწყო. საწყისი 8 წუთის განმავლობაში იგი „ჰოქსის" ლიდერად მოგვევლინა და დროის ამ მცირე მონაკვეთში 4 ქულა, 3 ჩაჭრა და 2 მოხსნა გააკეთა. მაგრამ მეორე ნახევარში ფაჩულია გაიყინა და მატჩი 6 ქულით დაასრულა."

ამ შეხვედრის შემდეგ კმაყოფილებას ვერ მალავდა „ატლანტას" თავკაცი **მაიკ ვუდსონი**, რომელმაც სხვებთან ერთად ტანმაღალი ჯორჯიელებიც შეაქო: *„მაღლების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ძირითადად ზაზა ფაჩულია და ელ ჰარფორდი თამაშობენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს სოლომონ ჯონსი და ლორენცენ რაითი. ყველა სხვადასხვა ტიპის მოთამაშეა და ერთმანეთს კარგად ავსებს. სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება აშკარად დაეტყო ზაზას თამაშს, ხოლო ჰარფორდი სათადარიგოთა სკამიდანაც შესანიშნავად გაისარჯა - 13-13 ქულა-მოხსნა გაიფორმა."*

ტრავმის მოშუშების შემდეგ ზაზას პოსაზრებაც საინტერესო უნდა იყოს: *„მართალია, „ბობქეთსთან" მატჩამდე „ვაშინგტონთან" მოვსინჯე ძალები, მაგრამ აშკარაა, რომ რიტმში ჩასაჯდომად მაინც მჭირდება მცირე დრო. ჩემთვის ძალიან რთული იყო დასვენება მაშინ, როცა გუნდი თამაშს-თამაშზე ატარებდა. მართალია, ფიზიკურად ვვარჯიშობდი და საჯარიმოებსაც ვისვროდი, მაგრამ გუნდთან ერთად მომზადება მაინც სხვაა. ვიმედოვნებ, რომ ნელ-ნელა ჩვეულ სისწრაფეს დავიბრუნებ და მეტ სათამაშო დროსაც დავიმსახურებ. რაც შეეხება „ჰოქსის" გამარჯვებას, მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ გუნდი კარგადაა მომზადებული, დაბალანსებული და ნებისმიერი მატჩის წაგება ჩვენთვის დიდი ტრაგედიაა. სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ ფლეი ოფზე ფიქრი, რადგან გაზაფხულზე ერთი მარცხიც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს."*

ვახტანგ ტყეშელაშვილი



ატლანტა-შარლოტი 117:109

37:22, 26:26, 18:26, 36:35

ატლანტა: ლოუ (2ქ, 7მ), ჯ. ჯონსონი (34ქ, 5მ, 10მ), ჯ. სმიტი (15ქ, 5დ), მ. უილიამსი (19ქ, 6მ), ზაზა ფაჩულია (18 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა, 3 შეცდომა, 2 ფოლი), ჰარფორდი (13ქ, 13მ), ჩილდრესი (23ქ), ლიოუ (2ქ), სტაუდმაიერი (3ქ), უესტი.

შარლოტი: ფელტონი (16ქ), რიჩარდსონი (27ქ), ოკაფორი (6ქ, 8მ), ჯ. უოლასი (27ქ), მაკკინსი (8ქ), ჰოლინსი (11ქ), კაროლი (8ქ), დადლი (6ქ), დავიდსონი, ბრეჟეცი

ფაჩულიას მონაგარი

I პერიოდი

10:33	მოხსნა:1 (შეტ:0, დაც:1)
10:17	ჩაჭრა: 1 (უოლასს ჩაუჭრა)
10:11	ორქულიანი ტყორცნა: 2ქ (10:4)
9:28	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
8:47	ფოლი:1
7:27	მოხსნა:2 (შეტ:0, დაც:2)
7:06	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
6:06	მოხსნა:3 (შეტ:0, დაც:3)
5:49	ჩაჭრა:2 (რიჩარდსონს ჩაუჭრა)
5:42	პასი: 1 (ჯონსონი 2ქ, 22:9)
5:01	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
4:51	ჩაჭრა: 3 (ფელტონს ჩაუჭრა)
4:45	ორქულიანი ტყორცნა: 4ქ (24:11)
4:07	ფაჩულია სმიტმა შეცვალა

II პერიოდი

5:00	ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა
4:42	შეცდომა:1
3:11	ჩატენვა: 6ქ (57:39)
1:26	მოხსნა:4 (შეტ:1, დაც:3)
1:25	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი

III პერიოდი

9:56	შეცდომა:2
9:36	პასი:2 (ჯონსონი 2ქ, 65:55)
9:05	შეცდომა:3
8:19	ფოლი:2
6:34	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
6:28	ფაჩულია ჩილდრესმა შეცვალა

 კალათბურთი

როდმანი მწვრთნელობას იწყებს?

საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს გამოცემა Atlanta Journal-Constitution. NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი და ცნობილი სკანდალისტი **დენის როდმანი** სამწვრთნელო კარიერის დაწყებას აპირებს. კერძოდ, როდმანს დიდი სურვილი აქვს მომავალ სეზონში ქალთა NBA-ის გუნდს, „ატლანტას“ ჩაუდგეს სათავეში. ამ კლუბს გაისად დებიუტი ექნება WNBA-ში.

„მიყვარს ეს ქალაქი და ყველაფერი, რაც მის სახელს უკავშირდება. „ატლანტა“ იდეალური ვარიანტია ჩემი სამწვრთნელო კარიერისთვის“, - აცხადებს როდმანი.

„ატლანტას“ მფლობელი **რონ ტერუილიჯერი** დიღემის წინაშეა. მისი თქმით, როდმანის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა მაშინვე გამოიწვევს მისი გუნდის მიმართ დიდ ინტერესს, მაგრამ ამასთან, შესაძლოა უკეთესი იყოს გამოცდილი სპეციალისტის მიწვევა.

ბეგბისთვის სეზონი დასრულდა

საბოლოოდ გაირკვა, რომ წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს „ორლანდო მეჯიქის“ ცენტრალურ თავდამსხმელ **ტონი ბეტის**, რომელსაც მარცხნა მხარი აქვს დაზიანებული. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც კალათბურთელს დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ბეტიმ ტრავმა ერთ-ერთი საკონტროლო მატჩის დროს, თანაგუნდელ **დუაიტ ჰოვარდთან** შეჯახებისას მიიღო.

„მეჯიქის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ უკვე ეძებს ისეთ კალათბურთელს, რომელიც სრულფასოვნად შეცვლის ბეტის. შარშან, ამ უკანასკნელის სტატისტიკური მაჩვენებლები 6.1 ქულასა და 5.2 მოხსნას უტოლდებოდა.

კლივლენდი ბალასტის მოშორებას ცდილობს

სერიოზული ცვლილებები იგეგმება „კლივლენდ კავალიერზის“ რიგებში. კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ უახლოეს დღეებში განახორციელებს მცველ **შენონ პრაუნის** გაცვლას, რათა გუნდში მაღალი მოთამაშისთვის გამოანთავისუფლოს ადგილი.

„კავალიერზს“ შემადგენლობაში თავისუფალი ვაკანსია არ გააჩნია, არადა გუნდს კონტრაქტი აქვს გასაფორმებელი ჯერაც გაფიცულ **ანდერსონ ვარეჯაოსთან** და წლევანდელი დრაფტის 23-ე ნომერ **დემეტრის ნიკოლსთან**.

* * *

გარდა ამისა, ცნობილი ხდება, რომ „კლივლენდი“ შესაძლოა დატოვოს ვეტერანმა მცველმა **ერიკ სნოუმ**. ამ უკანასკნელმა გუნდის ხელმძღვანელობას თავისი კონტრაქტის გამოსყიდვა სთხოვა, რომლის მიხედვითაც, სნოუმ მომავალ ორ წელიწადში 14 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, 34 წლის კალათბურთელმა უკვე გაყიდა კლივლენდის გარეუბანში თავისი სახლი და ატლანტაში დაბრუნდა, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს. სნოუს (შარშან საშუალოდ მატჩში 4.2 ქულა, 4.0 პასი და 2.3 მოხსნა) იმედი აქვს, რომ სწორედ „ატლანტა ჰოქსში“ შეძლებს კარიერის გაგრძელებას.

ᲰᲝᲙᲔᲘ

გრეგცკი 10 ათასს გადაიხდის

ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა „ფინიქს კოიოტზის“ მთავარ მწვრთნელ **უეინ გრეტცკის** 10 ათასი ღოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა. საქმე ეხება რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი ბოლო ტურის მატჩს, როცა „სან ხოსესთან“ მატჩისას, „ფინიქსის“ მცველმა **ნიკ ბოინტონმა** „ზვიგენების“ ფორვარდ **სტივ ბერნიესთან** ჩხუბის პროვოცირება მოახდინა.

NHL-ის წესების თანახმად, მსგავს სიტუაციებში ჩხუბის წამომწყები მოთამაშის კლუბის მწვრთნელი ფულადი ჯარიმით ისჯება, ხოლო თავად ჰოკეისტი ავტომატურად იღებს ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას.

დალასს ახალი მენეჯერი ეყოლება

„დალას სტარზის“ შეფობამ კარისკენ მიუთითა კლუბის გენერალურ მენეჯერს **დუგ არმსტრონგს**. ამ ჩინოვნიკის გადაყენების მიზეზი რეგულარულ ჩემპიონატში „ვარსკვლავების“ ცუდი სტარტი აღმოჩნდა (7 მოგება-7 ნაგება).

„ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდის მმართველობაში ცვლილებები ვარდაუვალია. დარწმუნებული ვარ, გენერალური მენეჯერის შეცვლა „დალასს“ სარგებლობას მოუტანს“, - განაცხადა „სტრაზის“ მფლობელმა **ტომ ჰიქსმა**.

43 წლის არმსტრონგი „დალასის“ სისტემაში 17 წელი მუშაობდა, ხოლო გენერალური მენეჯერის პოსტი 2002 წლიდან ეკავა. გასულ წელს, „სტარზმა“ რეგულარულ ჩემპიონატში 50 მატჩი მოიგო, თუმცა პლეიოფის პირველ ეტაპს ვერ გასცდა, ვინაიდან „ვანკუვერთან“ წააგო.

ლიგაში შედეგიანობამ იკლო

უკანასკნელ პერიოდში, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კვლავ აქტუალური გახდა სათამაშო კარის გადიდების საკითხი. ჩრდილოამერიკელი სპეციალისტები და გულშემატკივრები ისევ მიუბრუნდნენ იმ თემას, რომელიც აგერ უკვე ორი წელია განიხილება NHL-ს უმაღლეს წრეებში.

საქმე ისაა, რომ ლოკაუტის შემდეგ შედეგიანობის ასამაღლებელად გატარებულმა ზომებმა ეფექტურობა დაკარგა. მიმდინარე რეგულარულში დაფიქსირდა მაჩვენებელი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2003-04 წლების სეზონში - ლიგის ყოველ მეექვსე მატჩში, ერთ-ერთი გუნდი ვერ ახერხებს მეტოქის კარის აღებას. სწორედ ამის გამო დადგა დღის წესრიგში კარის ზომების გაზრდის საკითხი.

თუმცა კლუბების გენერალური მენეჯერები იმასაც აღიარებენ, რომ კარის გაზრდა საკმაოდ არაპოპულარული ნაბიჯია და წინასწარ ძნელია იმის თქმა, დადებითად იმოქმედებს თუ არა ის შედეგიანობის ამაღლებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

მინუს ერთი მინუს გუნდია

ძალიან ბევრს ნიშნავს **ტრეისი მაკგრეიდი** "ჰიუსტონისთვის". ამასთან ერთად, "როკეტსი" ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. მაკგრეიდის გარეშე კი ტეხასელთა წინააღმდეგ თამაში ბევრად იოლია, ეს გუშინაც დამტკიცდა.

ტრეისი „ლეიკერსთან“ მატჩში პირველი ნახევრის დასრულებამდე 50 ნამით ადრე დაშავდა. **ლიუკ უოლტონისთვის** ბურთის ართმევას რომ ცდილობდა, წონასწორობა ვერ შეიკავა და მოედანზე დაშვებისას იდაყვი იტკინა. ტრეისის შეხვედრა აღარ გაუგრძელებია, თუმცა მოგვიანებით გაცხადდა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის და ვარსკვლავს მაქსიმუმ, სამი შეხვედრის გამოტოვება მოუხდეს.

იაო მინი კი **კვამე ბრაუნმა** და **ლამარ ოდომმა** შებოჭეს. კვამე **ფილ ჯექსონმა** სასტარტოში დააბრუნა და ამ ზარმაცმა მილიონერმა იაოს ფარქვეშეთში ჩვეულად გალაღების საშუალება არ მისცა. ჩინელმა ცენტრმა საბოლოოდ, თამაშიდან 18-ჯერ სცადა ბედი და მხოლოდ ექვსჯერ ივარგა, ხოლო 20 საჯარიმოდან კი, 6 გააფუჭა. აარადა, "ლეიკერსთან" შეხვედრამდე იაოს საჯარიმოების 90 პროცენტზე მეტი ჰქონდა გამოყენებული.

"ლეიკერსმა" პირველ ნახევარში 18-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და ეს **კობის** გმირობების გარეშეც შეძლო. Bრაიანტმა პირველი 7 სროლიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა.

მაკგრეიდის ტრავმის მიუხედავად, "ჰიუსტონს" მოგების შანსი მაინც ჰქონდა. ბოლო მეოთხედში იაომ ნახევარკაუჭით ბრაუნის ხელებს ზემოდან, Mასპინძელი 83:81 დაანინაურა, რასაც **დერეკ ფიშერისა** და კობის ჯამური 6 ქულა დაერთო და ლიდერობა კალიფორნიელებმა დაიბრუნეს. Mერე კი იყო სხვაობის მინიმუმადე შემცირება და ბოლო წამებზე უამრავი ფოლი, თუმცა "ლეიკერსმა" შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა და "როკეტსთან" სამმატჩიანი ნარუმატებელი სერია დაასრულა.

■ ■ ■

"მაიამის" დაუბრუნდა **დუეინ უეიდი**, მაგრამ ფლორიდელები საკუთარ მოედანზე უსუსტეს "სუპერსონიქსთან" შერცხვნენ.

"სიეტლი" მოუგებელი იყო, თუმცა შაკმა და მისმა თანაგუნდელებმა იმდენი შეცდომა დაუშვეს, რომ სტუმარმა ბოძებული შანსი ბოლომდე შეიერგო და ზედიზედ 8 შეხვედრის წაგების მერე, პირველად გაიხარა.

უეიდს მოლოდინისამებრ, სათამაშო პრაქტიკის უქონლობა დაეტყო. დუეინმა კარგად დაინყო, რამდენიმე საფირმო ურთულესი სროლაც გამოიყენა და **პატ რაილის** უკეთესი მომავლის იმედი ნაწილობრივ მაინც დაუბრუნა.

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ–ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ 117:109

37:22, 26:26, 18:26, 36:35

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (34 ქ. 10 პ), ჩილდრესი (23 ქ. 2 დ), მერვინ უილიამსი (19 ქ. 6 მ), ჯოშ სმიტი (15 ქ. 5 დ), პორფორდი (13 ქ. 13 მ), **ზაზა ფაჩულია (6 ქ. 4 მ. 3 ჩ. 2 პ).**

შარლოტი: ჯ. რიჩარდსონი (27 ქ. 3 ჩ), ჯ. უოლასი (27 ქ. 6 მ. 3 დ), ფელტონი (16 ქ), ჰოლინზი (11 ქ. 6 მ).

Გ. ᲡᲢᲔᲢᲘ–ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 104:111

40:25, 24:26, 21:31, 19:29

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (29 ქ. 10 პ), ე. ჰარინგტონი (20 ქ. 8 მ. 3 ჩ), ბიედრინსი (18 ქ. 11 მ), აზუბუიკე (16 ქ. 6 მ), ბარნსი (12 ქ. 7 მ. 6 პ. 2 დ).

დეტროიტი: რ. უოლასი (22 ქ. 9 მ), პრინსი (22 ქ), რ. ჰამილტონი (22 ქ), რ. მიურეი (15 ქ. 12 პ. 6 მ), მაქსიელი (14 ქ. 14 მ. 3 დ).

ᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ–ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 84:81

18:17, 23:27, 22:9, 26:17

კლიპერსი: კამანი (14 ქ. 18 მ. 4 დ), მაგეტი (13 ქ), კასელი (13 ქ), ტომ ტომასი (12 ქ), მობლი (10 ქ. 7 პ).

ნიუ იორკი: ზ. რენდოლფი (16 ქ. 19 მ), კარი (16 ქ. 12 მ), მარბერი (13 ქ), ჯ. კროუფორდი (12 ქ. 2 ჩ).

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ–ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ 110:93

25:20, 27:18, 26:23, 32:32

დენვერი: ენტონი (25 ქ), აივერსონი (20 ქ. 7 პ), კენიონ მარტინი (14 ქ. 2 ჩ. 2 დ), კლეიზა (10 ქ. 9 მ. 2 ჩ), ჯეი. აარ. ხმიტი (10 ქ. 3 ჩ), ეემბი (5 ქ. 13 მ. 5 დ).

პორტლენდი: ოლდრიჯი (15 ქ. 9 მ), ჯეკი (13 ქ), უებსტერი (12 ქ. 6 მ), ტ. აუთლო (12 ქ), როი (10 ქ), ლაფრენცი (10 ქ).

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ–ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ 108:103

21:21, 24:27, 26:21, 37:34

მინესოტა: მაკკენტსი (33 ქ), ე. ჯეფერსონი (23 ქ. 7 მ. 3 დ), ა. უოკერი (19 ქ. 2 ჩ).

საკრამენტო: კრეგ მარტინი (22 ქ. 6 პ), ბ. მილერი (17 ქ. 8 მ), არტეტა (17 ქ. 6 პ. 3 ჩ), უდრიხი (17 ქ. 3 ჩ).

Ნ. ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ–ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 95:76

26:20, 17:23, 30:22, 22:11

ნიუ ორლეანი: პიტერსონი (27 ქ. 6 მ), დევიდ უესტი (16 ქ. 6 მ), ჩენდლერი (14 ქ. 10 მ), პოლი (13 ქ. 10 მ. 4 ჩ).

ფილადელფია: უ. გრინი (20ქ), ა. მილერი (17 ქ), დალუმბერი (13 ქ. 13 მ).

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ–ᲘᲣᲢᲐ 88:92

22:18, 14:21, 23:25, 29:28

ტორონტო: ე. პარკერი (19 ქ), მუნი (15 ქ. 2 ჩ), ბოშერ (14 ქ. 7 მ), ტი. ჯეი. ფორდი (13 ქ. 8 პ. 2 ჩ), ჰამფრიზი (4 ქ. 14 მ. 2 ჩ).

იუტა: ბუზერი (23 ქ. 14 მ. 2 ჩ), დ. უილიამსი (22 ქ. 2 ჩ), ოქური (13 ქ. 6 მ), ბრაუერი (12 ქ. 6 მ).

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ–ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ 103:90

28:15, 28:26, 27:25, 20:24

ვაშინგტონი: არენსი (30 ქ. 11 პ), კ. ბაბლერი (25 ქ. 7 მ. 4 ჩ), ჰეივუდი (16 ქ. 11 მ. 2 დ), სონგაილა (12 ქ).

ინდიანა: მ. დენიელსი (19 ქ. 3 ჩ), ჯ. ონილი (17 ქ. 9 მ. 3 დ), ტინსლი (15 ქ), დ. გრეინჯერი (11 ქ. 2 დ), მ. დანლიეი-უმცროსი (11 ქ), ს. უილიამსი (10 ქ).

ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ–ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ 116:117 0

29:28, 27:27, 23:26, 29:27, 8:9

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (39 ქ. 14 პ. 13 მ. 2 დ), გუდენი (23 ქ. 12 მ. 2 დ), ილგაუსასი (18 ქ. 11 მ), გიბსონი (16 ქ. 2 ჩ).

ორლანდო: დ. ჰოვარდი (35 ქ. 16 მ. 4 დ), ნელსონი (21 ქ. 11 პ. 7 მ. 2 ჩ), რ. ლიუისი (20 ქ. 2 ჩ), თურქოღლუ (13 ქ), ბოგანსი (11 ქ), არეოიო (10 ქ).

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ–ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 91:69

17:23, 19:11, 26:20, 29:15

ბოსტონი: გარნეტი (16 ქ. 8 მ. 3 ჩ), პირსი (15 ქ. 2 ჩ), რ. ალენი (14 ქ. 6 პ. 5 მ), რონდო (13 ქ), ტ. ალენი (13 ქ), კ. პერკინსი (10 ქ).

ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (21 ქ. 6 მ), კიდი (19 ქ. 9 მ. 7 პ), ს. უილიამსი (14 ქ. 7 მ. 4 დ).

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ–ᲡᲘᲔᲢᲚᲘ 95:104

25:30, 16:31, 27:19, 27:24

მაიამი: რ. დევისი (19 ქ), უეიდი (15 ქ. 3 ჩ), ჯეისონ უილიამსი (14 ქ), მურინგი (13 ქ. 6 მ), შ. ონილი (10 ქ), პასლემი (9 ქ. 11 მ. 2 ჩ).

სიეტლი: უილკოქსი (20 ქ. 10 მ. 3 ჩ), უილკინსი (19 ქ), დიურანი (18 ქ), დელონტე უესტი (16 ქ).

ᲛᲘᲚᲬᲣᲙᲘ–ᲛᲔᲛᲤᲘᲡᲘ 102:99

22:18, 25:23, 31:30, 24:28

მილუოკი: რედი (31 ქ. 6 მ), ბოგუტი (23 ქ. 12 მ. 4 დ), მეისონი (15 ქ. 3 ჩ), ვილიანოვა (13 ქ), მო უილიამსი (10 ქ. 12 პ. 3 ჩ).

მემფისი: გეი (26 ქ. 2 ჩ), მ. მილერი (17 ქ), გასოლი (16 ქ. 7 მ), მილიჩიჩი (10 ქ. 13 მ. 4 დ).

ᲐᲠᲘᲖᲝᲜᲘ–ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ 90:93

22:25, 27:36, 22:14, 19:18

ჰიუსტონი: მინი (26 ქ. 13 მ. 3 ჩ), უელსი (21 ქ. 10 მ. 3 დ. 2 ჩ), ალსტონი (11 ქ. 7 პ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (30 ქ. 8 მ. 5 პ), ფიშერი (13 ქ), ოდომი (10 ქ. 7 მ. 2 ჩ).

NHL რეგულარული ჩემპიონატი

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ–ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ 2:4

1:1, 0:2, 1:1

გოლები: 1:0 ლანგენბრუნერი-1 (ზაიაცი-6, ოდუია-3), 1:1 დოუესი-4 (დრური-8), 1:2 დუბინსკი-2 (იაგრი-13), 1:3 იაგრი-4 (გომესი-7, როყსიუალი-5), 1:4 მ. სტაალი-1 (გომესი-8, შენეპაბი-6), 2:4 ლანგენბრუნერი-2 (პარიზე-10, რახუნეკი-4).

ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ–ᲩᲘᲙᲐ�გᲝ 4:2

1:1, 2:0, 1:1

გოლები: 0:1 კეიტი-3, 1:1 ნეში-12 (ფიოდოროვი-8, ვიბორნი-6), 2:1 ფიოდოროვი-4 (ფუტი-3, ნეში-7), 3:1 ფრიტშე-2 (ჩიმერა-6), 4:1 ჩიმერა-5 (მალორტა-6), 4:2 ბიფუგლიენი-2 (ლანგი-12, მ. იოჰანსონი-3).

ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘᲞ–ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 6:1

0:0, 5:0, 1:1

გოლები: 1:0 რეინჯერი-3 (ლეკავალიე-16, სენტ ლუისი-16), 2:0 ლეკავალიე-10, 3:0 სენტ ლუისი-6 (ლეკავალიე-17, ულეტი-7), 4:0 ლეკავალიე-11 (ლუნდინი-3), 5:0 პროსპალი-12 (რეინჯერი-10), 5:1 ჯ. ჰემილტონი-5 (ლაროუზი-4, გრემი-1), 6:1 ლეკავალიე-12 (სენტ ლუისი-17, ლუნდინი-4).

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ–ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 3:4 (Გ)

1:3, 0:0, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 ტ. მიტჩელი-3 (რონნიკი-6), 1:1 ი. ლეპტინენი-5 (მოროუ-10, მოდანო-5), 1:2 სეტოგუჩი-6 (ჯ. ტორნტონი-15), 1:3 მარლო-4, 2:3 მოროუ-8 (ი. ლეპტინენი-12, რიბეირო-11), 3:3 პაგმანი-8 (მიტჩინენი-1, ი. იოკინენი-4).

ბულიტები გაიტანეს: სეტოგუჩი (სან ხოსე), მარლო (სან ხოსე).

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ–ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ 0:1 (Გ)

0:0, 0:0, 0:0, 0:0

ბულიტები გაიტანეს: ჰემსკი (ედმონტონი).

სკანდალის ექო

რასმუსენის აღიარება

დანიელმა ველოსიპედისტმა **მიქაელ რასმუსენმა** აღიარა, რომ ტურ დე ფრანსის წინ, სავარჯიშოდ მექსიკაში არ გამგზავრებულა და თავისი ადგილსამყოფელის შესახებ, ველოსიპორტის საერთაშორისო კავშირს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

მაისსა და ივნისში დანიელმა ველოსიპედისტმა ორი ალალბედი დოპინგტესტი გააცდინა, ამის მიზეზად კი სწორედ მექსიკაში, სავარჯიშო ბანაკში ყოფნა დაასახელა. თუმცა, ტურ დე ფრანსის დროს, ერთ-ერთმა იტალიელმა ველოსიპედისტმა განაცხადა, რომ რასმუსენი იტალიაში სწორედ იმ პერიოდში ნახა, როცა ის ნესით მექსიკაში უნდა ყოფილიყო.

ამ ინფორმაციის გაჟღერებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ჰოლანდიურმა გუნდმა "რაბობანკმა" რასმუსენი ფრანგული ტურიდან მოხსნა. არადა, იმ მომენტში დანიელი ველოსიპედისტი ყვითელი მაისურით ასპარეზობდა და დიდი შანსი ჰქონდა იმისა, რომ რბოლასაც მოიგებდა. "რაბობანკის" ხელმძღვანელობამ თავისი გადაწყვეტილება ველოსიპედისტის მიერ ტყუილის თქმით ახსნა.

"იმ დროს მექსიკაში მართლაც არ ვყოფილვარ. საზოგადოებასაც და ველოსიპორტის საერთაშორისო კავშირსაც ტყუილი ვუთხარი, რასაც ძლიერ ვნანობ", - აღიარებს რასმუსენი, ვინც თურმე ტურის წინ, მექსიკის ნაცვლად, მართლაც იტალიაში იმყოფებოდა, სადაც ცოლქმრულ პრობლემებს აგვარებდა.

დანიელი ველოსიპედისტი კატეგორიულად უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს, ის ინტენსიურად იყენებს ერითროპოეტინსა (EPO) და დინეპოს. ორივე პრეპარატი სისხლში ნითელი ბურთულების მოსამრავლებლად გამოიყენება. ამასთან, დინეპოს ადამიანის უჯრედებისგან ამზადებენ.

რასმუსენი ამბობს, რომ მას თავისი გუნდის ხელმძღვანელობა არ მოუტყუებია. *"მათ ყოველთვის კარგად იცოდნენ, თუ როდის და სად უნდა ვყოფილიყავი. ძალიან გამიკვირდა, როცა ტურიდან ჩემი მოხსნის მიზეზად ჩემს მიერ ნათქვამი ტყუილი დაასახელეს. ეს ხომ ნამდვილი აბსურდია"*, - ამბობს რასმუსენი, ვისაც ჰოლანდიურმა გუნდმა კონტრაქტი ვადაზე ადრე გაუწყვიტა და ახლა ის თავისუფალი აგენტია.

რასმუსენის თქმით, 4-19 ივნისს ის იტალიაში იმყოფებოდა, სადაც რეგულარულად ჰქონდა კონტაქტები გუნდის სხვა წევრებთან. უფრო მეტიც, 7 ივნისს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბერგამოში ის "რაბობანკის" სპორტულ დირექტორ **ერიკ ბროიკინკსაც** შეხვედრია. 25 ივნისს კი საფრანგეთის სამხრეთში, პირენეის მთიანეთში გადასულა, სადაც ტურისთვის მზადება გაუგრძელებია. ავიარეისის ბილეთი მას "რაბობანკმა" შეუძინა. პირენეის მთიანეთში კი მასთან ერთად, გუნდისვე რამდენიმე თანამშრომელი გამგზავრებულა. თუ რატომ თქვა ტყუილი თავისი ადგილმდებარეობის შესახებ, ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ არ სურდა, ვარჯიშის დროს პრესის ყურადღება მიექცია.

დამოუკიდებელმა გამოძიებამ, რომელიც ჰოლანდის ქალაქ უტრეხტის პოლიციამ, "რაბობანკის" მეთვალყურეობით ჩაატარა, დაადგინა, რომ რასმუსენს არ ჰქონდა ტურზე ასპარეზობის უფლება, რისი მიზეზიც მის მიერ შეგნებულად გაცდენილი დოპინგტესტები იყო. ამის თაობაზე, გუნდის ხელმძღვანელობამ არაერთი გაფრთხილება მიიღო დანიის ველოსპორტის ფედერაციისგან, მაგრამ გაფრთხილება უგულვებელყოფილ იქნა.

დამოუკიდებელი გამოძიება უტრეხტის პოლიციის შეფმა **პეტერ ფოგელსანგმა** ჩაატარა. საქმის მასალები 48 გვერდს მოიცავს. რასმუსენი გამოძიების შედეგების თაობაზე კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. ის ამბობს, რომ ჯერ არ გასცნობია ფოგელსანგის მიერ ჩატარებული ძიების მასალებს. ამასთან, ველოსიპორტის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას გეგმავს.

მერაბ ლორთქიფანიძე

ნადალი ნახევარფინალში გასვლას ზეიმობს

მასტერსის თასი

ორი ესპანელი ნახევარფინალში

შანხაიში მიმდინარე მასტერსის თასზე უკვე გამოვლინდა ორი ნახევარფინალისტი – სეზონის ბოლო, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონობისთვის ბრძოლას, ოქროს ჯგუფიდან ორი ესპანელი, **დავიდ ფერერი** და **რაფაელ ნადალი** გააგრძელებს.

გუშინ კორტზე პირველები ნადალი და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** გამოვიდნენ. მათგან ნადალი ნახევარფინალში თამაშის შანსს ინარჩუნებდა, ჯოკოვიჩისთვის კი ეს შეხვედრა არაფრის მომცემი ფორმალობა იყო, რადგან წინა ორი მატჩის წაგების გამო, მას შემდეგ ეტაპზე თამაშის ყველანაირი შანსი დაკარგული ჰქონდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნადალმა იოლად დაამარცხა ჯოკოვიჩი, თუმცა ამით ნახევარფინალის საგზური არ გაუნაღდებია. ყველაფერი დამოკიდებული იყო მეორე შეხვედრაზე, რომელშიც მის მეგობარ ფერერს მეტოქედ ფრანგი **რიშარ გასკე** ჰყავდა. თუ ამ თამაშს ფრანგი ორ სეტში მოიგებდა, ნახევარფინალშიც ის გადიოდა, ნადალი კი გარეთ რჩებოდა. დანარჩენ შემთხვევებში კი ნახევარფინალის საგზურს ნადალი დაეუფლებოდა.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ესპანელებს უნდოდათ. ნადალმა ორი სეტი იმყოფინა კალაპოტიდან ამოვარდნილი სერბის დასამარცხებლად, შემდეგ კი ფერერმა გასკეს მოგების არანაირი შანსი არ დაუტოვა. ეგ კი არა, მას თითო სეტში მხოლოდ თითო გეიმი დაუთმო.

"ეს მიმდინარე ჭერქვეშა სეზონში ჩემი საუკეთესო თამაში იყო. ამ მოგების მიუხედავად, ტურნირის დატოვებაც რომ მომიხდეს, მაინც შინ კარგ განწყობაზე გავემგზავრები", - განაცხადა ნადალმა, ვინც ამ სეზონში საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო, მერე კი უიმბლდონის ფინალში, მსოფლიოს პირველ ჩოგან **როჯერ ფედერერთან** დამარცხდა.

ნადალმა ჯოკოვიჩთან შეხვედრა აგრესიულად დაიწყო. ის ნებისმიერი ადგილიდან ცდილობდა შეტევაზე გადასვლას და ხშირად მიზანსაც აღწევდა. სერბიც კარგად ირჯებოდა. ის ყოველი ქულისთვის ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ თამაშის დასაწყისში, ბადეზე მოხვედრილი ბურთის ნყალობით, ნადალს ბრეიკი დაუთმო და აქედან მოყოლებული, მდევრის როლში ყოფნამ მოუწია. მეხუთე გეიმში ჯოკოვიჩი კიდევ ერთხელ შეცდა – საკმაოდ იოლი ბურთი ბადეს მოარტყა და კიდევ ერთი ბრეიკი აჩუქა მეტოქეს. მართალია, მათგან ერთის გაქვითვა მოახერხა, მაგრამ უფრო მეტი ვეღარ შეძლო და სეტიც დათმო.

მეორე სეტი უფრო დაძაბული გამოდგა. კარგა ხანს, ჩოგბურთელები მეტოქის სერვის-გეიმის მოგებას ვერ ახერხებდნენ. მეშვიდეში კი, როგორც იქნა, ესპანელმა საწადელს მიაღწია და 4:3 დაწინაურდა. მომდევნო გეიმში სერბმა ბოლო ძალები მოიკრიბა და გაიბრძოლა. მან ორი ბრეიკ პოინტიც კი მიიღო, მაგრამ მათი ქულად ქცევა ვეღარ მოახერხა. მომდევნო ორ გეიმში მეტოქეებმა "თავიანთი" ქულები იოლად მოიპოვეს და ნადალმა შეხვედრა გამარჯვებით დაასრულა.

"ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ სადღაც შორს წავიდე, სადაც არავის ვნახავ. გასული სეზონით კმაყოფილი ვარ. სხვა თუ არაფერი, ხუთი ტურნირი მოვიგე და აშშ-ის ღიას ფინალში ვითამაშე. თანაც, რეიტინგში მესამეზე ვარ. მოკლედ, ჩემთვის ეს მეტად წარმატებული სეზონი იყო. მერმის კი უფრო მეტის მიღწევას ვეცდები, სხვა შემთხვევაში, ჩემს გამოსვლას წარუმატებლად შევაფასებ", - განაცხადა ჯოკოვიჩმა, ვინც პირველად ითამაშა მასტერსის თასზე.

რაც შეეხება ფერერისა და გასკეს შეხვედრას, ესპანელისთვის ეს მატჩი იოლი გასეირნება გამოდგა. პირველი სეტის მოსაგებად ესპანელმა 26 წუთი იმყოფინა, სულ კი ფრანგს 59 წუთში გაუსნორდა. სხვათა შორის, დაახლოებით ერთი თვით ადრე, მან გასკე იაპონიის ღიას ფინალში 6:1, 6:2 დაამარცხა, ამჯერად კი მეტოქეს მხოლოდ ორი გეიმის მოგების საშუალება მისცა.

დეგი ერთ წყვილში

ამერიკელებმა, **ვენუს** და **სერენა უილიამსებმა** გადაწყვიტეს, ავსტრალიის ღია პირველობის წყვილთა ტურნირზე ერთ დუეტში ითამაშონ. ამგვარად, ისინი ერთ წყვილში დიდი სლემის ტურნირზე ბოლო ხუთ სეზონში პირველად ითამაშებენ.

უილიამსებს ერთად დიდი სლემის ექვსი ტიტული (ორ-ორჯერ ავსტრალიასა და უიმბლდონზე, თითოჯერ კი აშშ-სა და საფრანგეთში) აქვთ მოპოვებული, ერთხლაც (სიდნეიში) ოლიმპიურ ოქროს დაეუფლნენ, თუმცა ამის მიუხედავად, ავსტრალიაში ერთად გამოსვლისთვის ტურნირის ორგანიზატორებისგან უაილდ ქარდი სჭირდებათ.

2003 წელს დებმა ერთად ავსტრალიის ღია მოიგეს, მას შემდეგ კი ერთად გასულ სეზონში, უიმბლდონზე იასპარეზეს, რომელსაც მეორე წრეში, სერენას ტრავმის გამო გამოეთიშნენ. ვენუსმა წლევანდელი უიმბლდონი ერთეულებში მოიგო, სერენა კი ავსტრალიის ღიას ჩემპიონი გახდა. ისინი ყოველთვის ამბობენ, რომ წყვილებში ერთად მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობენ. თუმცა, ამ სიამოვნებას ისინი ხშირად ტრიუმფამდე მიჰყავს ხოლმე.

"ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ვენუსს და სერენას ჩვენს ტურნირზე ერთ წყვილში თამაში სურთ. ჩვენის მხრივ, მათ უაილდ ქარდი გარანტირებული აქვთ, რაც ფანებს ძალიან გაახარებს", - განაცხადა ავსტრალიის ღიას დირექტორმა **კრეიგ ტილიმ**.

ავსტრალიის ღია პირველობა 14-27 იანვარს მელბურნ პარკის კორტებზე ჩატარდება.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

მასტერსის თასი

შანხაი (ჩინეთი).
ქერქვეშა ტარაფლექსი
საპრიზო ფონდი: 4 450 000 დოლარი

ოქროს ჯგუფი

დავიდ ფერერი (ესპ, 6)-რიშარ გასკე (საფრ, 8) 6:1, 6:1

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3) 6:4, 6:4

	თ	მ	ნ	ს-ბალ
1. დავიდ ფერერი	3	3	0	6-1
2. რაფაელ ნადალი	3	2	1	5-3
3. რიშარ გასკე	3	1	2	3-4
4. ნოვაკ ჯოკოვიჩი	3	0	3	0-6

ნითელი ჯგუფი

	თ	მ	ნ	ს-ბალ
1. ენდი როდიკი	2	2	0	4-1
2. როჯერ ფედერერი	2	1	1	3-2
3. ფერ. გონსალესი	2	1	1	2-3
4. ნიკ. დავიდენკო	2	0	2	1-4

16 ნოემბერი. პარასკევი

HTB-პლუსი (უცხოურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ტოქ-შოუ - 2:1.
17:55 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
19:50 სასტვენი.
20:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 ჩვენი ფეხბურთი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეეფურნალი.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
01:05 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:05 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (უკრაინა)

09:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:32 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
12:00 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
12:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-კალიარი.
14:15 ფეხბურთი. Barca TV.
14:22 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. რივერ პლეიტი-არსენალი.
16:07 ფეხბურთი. Barca TV.
16:15 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. ამერიკა-მილიონარიოსი.
18:02 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
19:47 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
20:16 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-რეინჯერსი.
22:04 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:39 აფროსნობა.
23:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:25 რეტრო-ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. 1988 წელი. ინგლისი-ჰოლანდია.
01:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:25 კრივი. რინგ-საიდი.
02:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
04:17 ფეხბურთი. Barca TV.
04:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი (LIVE).
07:37 სპორტდოსიე. ფეხბურთი.

EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
11:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
12:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-ესპანეთი.
14:00 სპიდვეი. სლოვენიის გრან-პრი.
15:00 სპიდვეი. გერმანიის გრან-პრი.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
17:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
18:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.
19:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. I ცდა. ლეიკ-პლესიდი. აშშ (LIVE).
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-ესპანეთი.
20:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ლეიკ-პლესიდი. აშშ (LIVE).
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
21:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ინგლისი.
22:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
22:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ესპანეთი. პორტუგალია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
00:15 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
00:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-რუმინეთი. პორტუგალია (LIVE).
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. კილი (გერმანია)-მონპელიე (საფრანგეთი).
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
15:00 ახალი ამბები.
17:00 სუპერკროსი. მილანი. იტალია.
18:00 მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
19:45 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. კილი (გერმანია)-მონპელიე (საფრანგეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:15 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. I ცდა. ლეიკ-პლესიდი. აშშ (LIVE).
21:45 ექსტრემალური სპორტი.
22:15 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. ლეიკ-პლესიდი. აშშ (LIVE).
22:45 ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:15 ახალი ამბები.
02:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ესპანეთი. პორტუგალია.
03:15 ახალი ამბები.

ვარსკვლავი

ბეკერს მარტინასი სჯერა

ბორისს შვილის ნახვის ნება დართეს

ბოლო დროს, კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი **ბორის ბეკერი**, რომელიც შვეიცარიელ **მარტინა ჰინგისთან** დაკავშირებულ სკანდალს გამოეხმაურა. როგორც ცნობილია, ჰინგისმა პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ ოფიციალურად აუწყა საზოგადოებას და იქვე განაცხადა, რომ უიმბლდონის დროს აღებულმა დოპინგ-ტესტმა, მისი მხრიდან კოკაინის გამოყენების ფაქტი დააფიქსირა. ამის შემდეგ, შვეიცარიელი ერთხელ გამოჩნდა საზოგადოებაში, მაგრამ თავისი მენეჯერის რჩევით, ბოლოდროინდელ მოვლენებზე კომენტარს არ აკეთებს.

ბორის ბეკერი არ უწონებს მარტინას ამ დუმილს და აცხადებს: *„ვფიქრობ, მისთვის უკეთესი იქნება, თუ ყველაფერს მოჰფენს ნათელს"*. გერმანელი ჩოგბურთელი თვლის, რომ ამგვარი საქციელით, ჰინგისი კიდევ უფრო მეტ ეჭვს აღუძრავს საჩოგბურთო ჩინოვნიკებს.

ამასთან ერთად, ბეკერს ვერ წარმოუდგენია, რომ ისეთი ჭკვიანი ქალი, როგორიც ჰინგისია, ნარკოტიკს მიიღებდა. *„როგორც ვიცი, მარტინას გარემოცვაში ნარკოტიკით არავინ ერთობა"*, - ამბობს უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი.

■ ■ ■

ისე კი, ბეკერს გასარჩევად თავისი სკანდალური საქმეებიც ჰყოფნის. რამდენიმე დღის წინ, ჩოგბურთელი კვლავ შეხვდა რუს **ანჟელა ერმაკოვას**. ეს ის ქალბატონია, რომელმაც შვიდი წლის წინ ბორისისგან ქალიშვილი გააჩინა და ჩოგბურთელს სასამართლოს ძალით აღიარებინა მამობა.

ამჯერად, ბეკერისა და ერმაკოვას შეხვედრის ადგილის ლონდონის სასამართლო იყო, სადაც ოჯახური საქმეები განიხილებოდა. როგორც გაზეთი Bild იტყობინება, გარჩევის საგანი მათი ქალიშვილი, **ანა** გახდა. ადრე, ბეკერს მხოლოდ ანჟელას ნებართვით შეეძლო შვილის ნახვა, მაგრამ ბოლო დროს, მას ამის საშუალებასაც აღარ აძლევდნენ. ახლა კი, მოსამართლის განცხადებით, მხარეებმა ყველა უთანხმება მოაგვარეს, რაც სასამართლოდან გამოსულმა მომღიმარმა ბეკერმაც დაადასტურა: *„კვლავ დამრთეს ნება, რეგულარულად მოვინახულო ჩემი შვილი"*.

ფეხბურთი

პოლონეთი

ლეგია-გროცლინი	0:0

კალათბურთი

ევროლიგა

ქალგირისი-ოლიმპია	91:72
ეფესი-ლე მანი	66:63
უნიკაჯა-ბაკაბი	93:70
პანათინაიკოსი-ბარსელონა	76:66
რომა-ბამბერგი	81:57
ბაუგრეესი-მონგეპასკი	76:61

პოკერი

ბერმანია

პისბარენი-ინგოლშტადტი	10:3

ფინეთი

ქერეპეტი-ილვესი	4:3
კიეკო-ესპეტი	3:1
საიპა-ეპკ	3:1
ტაპარა-იოკერიტი	3:3 დ.დ 4:3

ჩეხეთი

პლზენი-ბრნინეცი	პენ 3:4

შვეიცარია

ციურიხი-სერეტი	1:2

შვედეთი

ბრინანსი-ფერინესადი	2:5
ლინგოპინგი-სიმოდერტალე	3:2
ლულეა-ოდო	დ.დ 2:3
მორა-ალელეფტე	3:2
ბიმრე-ეკ 71	3:1

ჩოგბურთი

ATP. შანხაი

ნადალი-ჯოკოვიჩი 6:4, 6:4
გასკე-ფერერი 1:6, 1:6

მახვილ თვალს უფრო ენდობიან

ჩოგბურთი. „დიდი სლემის" რიგით პირველი ტურნირის, ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ 2008 წელს მათ განზრახული აქვთ გაზარდონ ე.წ. „მახვილი თვალის" (სისტემა Hawk-Eye) გამოყენება. ამიერიდან, ჩოგბურთელს ერთი სეტის განმავლობაში არა სამჯერ, არამედ ოთხჯერ ექნება შესაძლებლობა ვიდეო-რეფერის მიმართოს და ამით გადაამოწმოს მთავარი არბიტრის გადანყვეტილების სისწორე. მოთამაშეებს მეოთხე შანსი მაინ მიეცემათ, თუ სეტში ტაი-ბრეიკი დაინიშნება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ Hawk-Eye-ის სისტემა არა მარტო **როდ ლეივერის** სახელობის ცენტრალურ არენაზე, არამედ მეორე კორტზეც იქნება დამონტაჟებული.

ფორმულა 1

ლუისს სასიყვარულო წერილებს უმალავენ

მსოფლიოს 2007 წლის ვიცე-ჩემპიონმა, ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** ადგილობრივ პრესას ინტერვიუ მისცა, რომელშიც თავის პირად ცხოვრებაზეც ისაბურა.

კერძოდ კითხვაზე, იღებს თუ არა ის სასიყვარულო წერილებს, ლუისმა უპასუხა: *„არა. როგორც ჩანს, „მაკლარენის“ ხელმძღვანელობა მიმალავს ასეთი შინაარსის წერილებს“.*

გარდა ამისა, ჰემილტონმა თავის გულშემატკივრებს მოუყვა, რომ ყვითელი ჩაფხუტი მას ბავშვობის წლებიდან შერჩა. თუმცა მამამისს ეშინოდა, რომ რბოლების შემდეგ თავის შვილს თვალთახედვის არიდან დაკარგავდა და ამის გამო, პატარა ლუისი ყვითელი ჩაფხუტით აღჭურვა.

ჩოგბურთი

26 საათი კორტზე

ორმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა საჩოგბურთო მატჩის ხანგრძლივობის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ეს მაჩვენებელი ოფიციალურად დააფიქსირა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF).

ნოემბრის დასაწყისში, შვეიცარიის ქალაქ დერენდინგენში, 24 წლის **სირილ კამერმანმა** და 18 წლის **სიმონ მიუნცინგერმა** ნამდვილი საჩოგბურთო მარათონი მოაწყვეს. მათ ისე ჩაატარეს 56 სეტი, რომ ჩოგნებისთვის ხელი არ გაუშვიათ და ამისთვის 26 საათი და 15 წუთი დასჭირდათ. თუმცა არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, ვინ გახდა ამ უწვეულო მატჩის გამარჯვებული.

საბოლოოდ, წინა რეკორდი 10 წუთით გაუმჯობესდა. მანამდე რეკორდსმენებად ავსტრიელები **ჰანს გორნდლერი** და **პატრიკ ფეგრინგერი** ითვლებოდნენ, რომლებმაც შეუსვენებლად დაჰყვეს კორტზე 26 საათი და 5 წუთი.

10 ევრო ერთი ეისის სანაცვლოდ

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) ერთ-ერთმა მთავარმა სპონსორმა, კომპანია Whirlpool-მა წელსაც გააგრძელა თავისი საქველმოქმედო აქცია, რომელიც ევროპისა და სამხრეთ აფრიკის გაჭირვებულ დიასახლისების მხარდასაჭერად ტარდება.

აქციის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს - თებერვალში, პარიზის ტურნირიდან მოყოლებული, Whirlpool WTA-ს ტურნირების ყველა მატჩში განხორციელებული თითოეული ეისისთვის, შესაბამის ფონდში 10 ევროს რიცხავდა. საბოლოოდ, სეზონის დასრულების შემდეგ, საერთო თანხამ 104 ათასი ევრო შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ წელს პროფესიონალ ქალ ჩოგბურთელებს 10 400 ეისი შეესრულებიათ.

ბოლო ორწელიწადნახევრის განმავლობაში, ამ აქციით Whirlpool-ის მიერ შეგროვილი თანხა 267 000 ევროს უტოლდება.

მატჩების ჩაწყობას აზრი არ აქვს?

ჩოგბურთში ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებულმა სკანდალმა გერმანიამდეც მიაღწია. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ გერმანულმა პრესამ ტოტალიზატორთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა **ფილიკ კოლშრაიბერი.**

მორიგი კანდალი კი, გერმანული ტელეკომპანია WDR-ის ეთერს უკავშირდება. ტელევიზიით გავიდა ინკოგნიტო ჩოგბურთელის ინტერვიუ, რომელშიც ის ამბობს, რომ გერმანული ჩოგბურთის ერთ-ერთმა წამყვანი მოთამაშე მას ტელეფონით დაუკავშირდა და სთხოვა - 10 ათასი ევრო დაედო ტოტალიზატორში მისი მონანილეობით თამაშზე. ამ სიუჟეტში გმირის სახე არ ჩანდა, მისი ხმა შეცვლილი იყო და არც კონკრეტული გვარები დასახელებულა.

საჩოგბურთო ექსპერტები უკვე გამოეხმაურნენ ამ სკანდალს და ეჭვი შეიტანეს ინფორმაციის სიმართლეში. ყოფილმა პროფესიონალმა **ბერნდ კარბახერმა** განაცხადა, რომ ძლიერი მოთამაშეები ATP-ის ტურზე გაცილებით დიდ ჰონორარებს იღებენ, ვიდრე ტოტალიზატორში შეიძლება მოიგონ, ამიტომაც ფინანსური თვალსაზრისით მსგავს რისკზე წასვლას აზრი არ აქვს.

გარდა ამისა, კარბახერმა ინფორმატორს ურჩია უშუალოდ ATP-ის მიმართოს - მხოლოდ ასე თუ მოხერხდება ნამდვილი დამნაშავის გამოვლენა და დასჯა.

ოლიმპიადა

3491 ოლიმპიადა

პეკინის მოახლოებული ოლიმპიადა ბევრი ჩინელის მეხსიერებაში განსაკუთრებით დიდხანს დარჩება. პეკინმა 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება 2000 წელს მიიღო და იქედან მოყოლებული, უკვე 3491 ბავშვს დაარქვეს **აოიუნი,** რაც „ოლიმპიადას“ ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადები ძირითადად, ვაჟები არიან.

თუმცა ოლიმპიური თემატიკა მხოლოდ ამ სახელით არ შემოიფარგლება. დაახლოებით 4000 ათას ბავშვს დაარქვეს ოლიმპიადის ხუთი სიმბოლოს - პატარა ადამიანების სახელები: **ბეი ბეი, ჟინ ჟინი, ჰუან ჰუანი, იინ იინი** და **ნი ნი.** თუ ამ სახელებს გავაერთიანებთ, მივიღებთ ფრაზას, რომელიც ასე ითარგმნება: *„პეკინი მოგესალმება“.*

საინტერესოა, რომ ჩინეთის მაცხოვრებელთა 87 პროცენტი მხოლოდ 129 გვარს ატარებს. ამიტომაც, 5598 ჩინელს ისევე ჰქვია, როგორც NBA-ის ვარსკვლავ **იაო მინს,** ხოლო 18 462 ადამიანი ცნობილი მძლეოსნის, 110 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიო რეკორდსმენის **ლიუ სიანის** სეხნიაა.

ბიბლია არ აიკრძალება

ჩინეთის ოფიციალურმა სტრუქტურებმა უარყვეს ევროპულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს პეკინის თამაშებზე აკრძალული იქნება ბიბლია.

„ეს მხოლოდ გაზეთების მიერ გავრცელებული ჭორია. სახელმწიფო არ განიხილავს მსგავსი ტიპის აკრძალვების შემოღებას“, - აცხადებს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი **ლიუ ყიანჩაო.**

მანვე ისიც განაცხადა, რომ უცხოელებს ნებადართული ექნებათ რელიგიური ატრიბუტიკის პირადი მიზნებისთვის გამოყენება და შესაბამისი რიტუალების ჩატარება.



ტესტები

პენსიონერი შუმახერი უსწრაფესია

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ შუმახერი** ცოტა ხნით დაუბრუნდა ფორმულა ერთს. მან ბარსელონაში, გასული სეზონის "ფერარით" ტესტირებაში მიიღო მონაწილეობა და ტესტპროგრამა საუკეთესო შედეგით დაასრულა.

38 წლის პილოტმა სპორტს თავი შარშანდელი სეზონის შემდეგ დაანება და მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონაში ჩატარებულ ტესტირებაზე კვლავ საუკეთესო იყო, კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სპორტში დაბრუნებას არ აპირებს.

"ფერარის" ხელმძღვანელობამ შუმახერის ბარსელონური გაელვების მიზეზად, "სანახევროდ საკუთარი სიამოვნებისთვის გარჯა, სანახევროდ კი ტექნიკური მიზეზი" დაასახელა. საქმე ისაა, რომ შუმახერს მანქანა ელექტრონული დამხმარე სისტემების გარეშე უნდა გამოეცადა, რისი დიდი გამოცდილებაც მას კარიერის განმავლობაში დაუგროვდა.

შეგახსენებთ, რომ მომდევნო სეზონიდან, ფორმულა ერთში იკრძალება ტრექშნ-კონტროლისა და სხვა დამხმარე ელექტრონული სისტემები. შუმახერი არაერთი სეზონის განმავლობაში გამოდიოდა ისეთი ბოლიდებით, რომლებშიც ასეთი სისტემები არ გამოიყენებოდა (ძველი რეგლაძეხტიც მათ გამოყენებას კრძალავდა). ტესტირების დროს, ძუძის იხეიერებისთვის ფასდაუდებელი რჩევების მიცემა შეუძლია. სწორედ ამიტომ, "ფერარიმ" ის ტესტურ პროგრამაში ჩართო.

"გარნშუნებთ, რომ დაბრუნდეს, ის თავის სიტყვას კიდევ იტყვის. მიხაელი თვითნაბადი ნიჭის პატრონია და ფორმულა ერთის ფანებისთვის კიდევ ბევრი სიამოვნების მოტანა შეუძლია", - ასე შეაფასა თავისი ყოფილი მეტოქე ბრიტანელმა **დევიდ კულტჰარდმა.**

"კატალუნია მონტმელოზე" შუმახერმა 64 წრე გაიარა და მისი საუკეთესო შედეგი წუთი და 21.922 წამი იყო. მეორე საუკეთესო დრო (1:22.129) აჩვენა "ფერარის" იტალიელმა ტესტპილოტმა **ლუკა ბადოერმა,** შემდეგი კი "მაკლარენის" ესპანელი ტესტერი **პედრო დ ლა როსა** იყო (1:22.687). "მაკლარენის" ბოლიდის საჭეს ასევე ბრიტანელი **გარი პაფეტი** მიუჯდა.

"ტორო როსოს" გამოცდაში მონაწილეობა მიიღო ჩემპ კარის სერიის (ინდი კარის განაყოფი სერიაა) ოთხგზის ჩემპიონმა, ფრანგმა **სებასტიან ბურდემ,** ვისთვისაც ეს ფორმულა ერთში არაოფიციალური დებიუტია.

აღსანიშნავია, რომ ტესტირებისას, რომელსაც 3 000 მაყურებელი ესწრებოდა, რამდენიმე გუნდმა ახალი პილოტები გამოსცადა. მათ შორის იყო ინდოელი **კარუნ ჩანჰოკი,** ვინც გასულ სეზონში GP2-ის მხარდამჭერი სერიის ერთი რბოლის მოგებით გამოიჩინა თავი. მას თავისი ბოლიდის საჭე "რედ ბულმა" ანდო. ჩანდჰოკმა ტრასაზე 39 წრე დაჰყო და 20 პილოტიდან მხოლოდ ორს აჯობა.

პირველი ტესტი ჩაატარა „დიდი ცირკის“ ახალმა გუნდმა, ინდურმა "ფორს ინდიამ", რომელიც გასულ სეზონში ჰოლანდიური "სპაიკერის" სახელითაა ასპარეზობდა. მისი ბოლიდებით, ჰოლანდიელმა **ხიედო ვან დერ გარდემ** და ესპანელმა **როლდან როდრიგესმა** შესაბამისად, მე-19 და მე-20 შედეგები დააფიქსირეს.

მერაბ ლორთქიფანიძე



ლუის ჰემილტონს სასამართლოში ტიტულის მოგება არ სურს

ლოს დარბაზშიო, - ამბობს 22 წლის პილოტი, ვინც ფორმულა ერთში პირველი სეზონი გაატარა. ამასთან, ის სამეფო რბოლების ისტორიაში პირველი შავკანიანი პილოტია.

"ჩვენი აპელაციის მიზეზი აშკარაა - ჩვენმა მეტოქეებმა რეგლამენტი დაარღვიეს და ამით გარკვეული უპირატესობა მოიპოვეს. მე ამას დოპინგის გამოყენებას შევადარებდი. ვფიქრობ, რომ აპელაციის შედეგი წესის დამრღვევი გუნდების დისკვალიფიკაცია იქნება. პილოტები აქ არაფერ შუაში არიან. მათ უნებურად, მათივე გუნდების მიერ წესის დარღვევით ისარგებლეს. ამიტომ, ჩვენ ამ რბოლიდან წესის დამრღვევი გუნდების დისკვალიფიკაციას მოვითხოვთ და თუ ასე მოხდა, მაშინ პილოტებიც იზარალებენ", - ამბობს "მაკლარენის" ადვოკატი **იან მილი.**

საქმეს ოთხი დამოუკიდებელი მსაჯული განიხილავს, რომლებიც სავარაუდოდ, საბოლოო გადაწყვეტილებას დღეს მიიღებენ.

მერაბ ლორთქიფანიძე

მსოფლიო ჩემპიონატი

ჩემპიონი დღეს გამოცხადდება

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) სააპელაციო სასამართლომ დაიწყო "მაკლარენის" აპელაციის განხილვა, რომლითაც ინგლისური გუნდი ბრაზილიის დიდი პრიზის შედეგების გადახედვას მოითხოვს. თუ აპელაცია დაკმაყოფილდა, მაშინ მსოფლიო ჩემპიონად "მაკლარენის" ბრიტანელი პილოტი **ლუის ჰემილტონი** გამოცხადდება.

საქმე ისაა, რომ რბოლის ფინიშზე, ჰემილტონის წინ მისული ექვსი მანქანიდან სამი არ შეესაბამებოდა ტექნიკურ რეგლამენტს. კერძოდ, მათ ავზებში არსებული საწვავის ტემპერატურა რეგლამენტით დადგენილზე დაბალი იყო. "მაკლარენის" შეფი **რონ დენისი** თვლის, რომ ამ ფაქტორის წყალობით, "ბეემვე ზაუბერისა" და "უილიამსის" პილოტებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, რამაც ჰემილტონის შედეგზე უარყოფითად იმოქმედა.

შეგახსენებთ, რომ ახლანდელი მდგომარეობით, მსოფლიო ჩემპიონი "ფერარის" ფინელი პილოტი **კიმი რაიკონენია,** რომელმაც თითო ულით ჩამოიტოვა ჰემილტონი და მისი ესპანელი თანაგუნდელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო.** თუ აპელაცია დაკმაყოფილდა, მაშინ სამ პილოტს შედეგი გაუუქმდება და ჰემილტონიც სამი საფეხურით წინ ნაიწევს, რითაც ამდენივე ქულა დაემატება. ამგვარად, საბოლოო კლასიფიკაციაშიც ის რაიკონენს ორი ქულით გაუსწრებს და ჩემპიონიც გახდება.

ოღონდ, ჰემილტონი აცხადებს, რომ არ სურს აპელაციით ტიტულის მოპოვება. ჩემი მიზანი ისაა, რომ ჩემპიონი ტრასაზე მიღწეული შედეგებით გავხდე და არა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნემსარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თამარიძილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სურმანიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აბიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
ძეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერეკლე მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახვლედელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა